

659  
1967

ՀԱՅԿԱՅԻՆ

ՎԵՐԵՐ

19667



საქართველოს  
საზოგადოებრივი - კოლმეტიკური  
მუხრანალი

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივი - კოლმეტიკური  
მუხრანალი  
საქართველოს მფარველთა  
კავშირის ახარის  
განყოფილების მრგანო



შინაიარსი

|                              |    |
|------------------------------|----|
| ბ. ტაბიძე — წინ, წინ საზოგ-  |    |
| ლო მხარე! (ლექსი)            | 3  |
| რ. კომახიძე — დიდი ოქტომ-    |    |
| ბრის დროში                   | 4  |
| ნ. მაღაშონია — ოქტომბრის     |    |
| დილა (ლექსი)                 | 14 |
| შ. ხალვაში — იმედით ლა-      |    |
| მაში (ლექსი)                 | 15 |
| შ. შუშლაძე — ოქტომბერს       |    |
| (ლექსი)                      | 16 |
| ა. გურბანიძე — (ლექსები)     | 17 |
| ბ. ლორია — ამავი უბრალო ადა- |    |
| მიანებისა (მოთხრობა)         | 18 |
| ჟ. ჯაყელი — ლენინი           |    |
| (ლექსი)                      | 36 |

10.441.

6

1967

ნოემბერი  
დეკემბერი



შ. რუმკა — ოქტომბრის დღია ...  
 მამის ღიმილი (ლექსი) . . . . . 37  
 ლ. სეიდოშვილი — სამსხვერპლოდ  
 შენდა (ლექსი) . . . . . 38  
 ვ. შუპროვსკი — შეხვედრა გზაში  
 (მოთხრობა — თარგმან  
 ტ. ხინთიბიძემ) . . . . . 40  
 ნ. გვარამაძე — აწვეხი — ოქტომ-  
 ბრის პირველი შეკვლე  
 (ლექსი) . . . . . 43  
 ზ. გორგოლაძე — დროშები  
 (ლექსი) . . . . . 44  
 ჯ. ქაბაშაძე — მშვიდობის  
 დღია (ლექსი) . . . . . 45  
 ი. მელია — ამირანი  
 (ლექსი) . . . . . 45  
 დ. მუხაშვი — ორმოცდაათი წლისა  
 ხარ! (ლექსი) . . . . . 46

დღეები და აღმშენებელი

მ. ვარშანიძე — გულს ვარსკვლავები  
 ეჯახებთან (ნარკვევი) . . . . . 48

სამოთხლო და გამარჯვება

ხ. ბეშანიძე — მშობლიური მიწის  
 მისაღვამებთან . . . . . 54  
 ი. ცაბცაძე — გმირთა  
 ნაკვალევზე . . . . . 60

პუბლიცისტიკა

ბ. შერვაშიძე — ორი წერილი . . . . . 64  
 ანდრის წარსულიდან  
 ხ. ახვლედიანი — ბრძოლა და  
 გამარჯვება . . . . . 68  
 ბ. სურგულაძე — საბჭოთა ხელისუ-  
 ლების გამარჯვება აჭარაში . . . . . 76  
 რ. სურმანიძე — ისინი იბრძოდნენ  
 ოქტომბრისათვის . . . . . 81

ხელოვნება

ბ. მსხალაძე — ბათუმის ოპერის  
 თეატრი . . . . . 84

ფოლკლორი


ბ. ახვლედიანი — რევოლუციურ  
 ბრძოლებში შობილი . . . . . 87

მოგონებანი

ვ. მახარაძე — წარსულის  
 ფურცლებიდან . . . . . 91

ჟურნალ „ლიტერატურული

აჭარის“ 1967 წლის ნომერის  
 შინაარსი . . . . . 94



რედაქტორი ნანა გვარიშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია,  
 აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბუთად 7/XII 1967 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო

5 თაბახი, შეკვეთის № 6632, გვ 00671, ქაღალდის ზომა 60×90, ტირაჟი 1.600.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის  
 მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლექსებმზერის, 22).



## ბალახიონ ვაბიძე

### წინ, წინ, სამშობლო მხარევ!

წინ, წინ, სამშობლო მხარევ!  
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი  
ის ოქტომბერი, რამაც  
შესძრა მსოფლიო მთელი!  
გამოქანება მძლავრი  
ცხრაასჩვიდმეტის ტალღის —  
ეს არის ძალა, ნება  
და მისწრაფება ხალხის,  
ეს არის სული ხალხის,  
ეს არის გული ხალხის,  
ეს არის ნება ხალხის,  
ხალხის და მხოლოდ ხალხის.  
შვენის მეგრძოლის სული

და ჩაფიქრება შვენის...  
ჩაფიქრებული ხალხი  
როცა იგონებს ლენინს.  
ზევით ლაევარდი ცაა,  
ქვევით—მსოფლიო ბაღი,  
თვითონ ლენინიც ხმაა, —  
ხმაა მეგრძოლი ხალხის,  
მშვიდობისაქენ მძლავრად  
მიზღვავებული ხალხის.  
წინ, წინ, სამშობლო მხარევ!  
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი  
ის ოქტომბერი, რამაც  
შესძრა მსოფლიო მთელი.





## რეპუბლიკური

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

## დიდი ოქტომბრის დროებით

1917 წლის 7 ნოემბერს ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მუშებისა და გლეხების, ჯარისკაცებისა და მატროსების შეიარაღებული აჯანყების შედეგად რუსეთში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. დამკვიდრდა პროლეტარიატის დიქტატურა, დამყარდა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ამით შეიქმნა პირველი და მთავარი პოლიტიკური პირობა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, მუშათა კლასის დიადი მიზნის — სოციალიზმისა და კომუნიზმის განსახორციელებლად. ეს იყო არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოაღვიძა და დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა წარსულში ჩამორჩენილი ხალხები. ზოგიერთი მათგანი იხსნა სულიერი გადაგვარებისა და ფიზიკური გადაშენებისაგან. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით, მათ მოიპოვეს საკუთარი სახელმწიფოებრიობა, თავი დააღწიეს ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას, ეზიარნენ მეურნეობისა და კულტურის უმაღლეს სოციალისტურ ფორმებს. საბჭოთა კავშირის სოციალისტური ერების აღიარებით, ამ დიად გარდაქმნებში დიდი როლი შეასრულეს რუსეთის მუშათა კლასმა, რუსმა ხალხმა, მსოფლიოში პირველმა საბჭოთა რესპუბლიკამ — რუსეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ.

\* \* \*

წარსულში აჭარამ მეტად რთული ისტორიული გზა განვლო. საქართველოში ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი მხარე, რომელსაც ისტორი-



ულად იმდენი დარბევა, აოხრება და ტანჯვა-წამება განეცადოს, რამდენიც აჭარამ გადაიტანა.

ამ პატარა კუთხის ერთმა მუჭა მოსახლეობამ გასაოცარი გამძლეობა გამოიჩინა, მტერს არ დანებდა, ეროვნული სული და ტრადიციები დავიწყებას არ მისცა, კოლონიზატორ-ასიმილატორთა ბატონობას ხანგრძლივი, განმათავისუფლებელი ბრძოლები დაუპირისპირა, მაგრამ ეს ბრძოლები უთანასწორო იყო და მარცხით მთავრდებოდა.

აჭარის მშრომელთა ისტორიაში ერთ-ერთი შავბნელი პერიოდი იყო 1917-1920 წლები. როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა — მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა, რომლებმაც ბლოკი შეკრეს ინგლისელ, ამერიკელ, გერმანელ, ფრანგ და სხვა იმპერიალისტებთან, ამიერკავკასია მოწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და აქ დაამყარეს ბურჟუაზიის დიქტატურა. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება ხელთ იგდო კონტრრევოლუციურმა კოალიციამ მენშევიკების მეთაურობით.

მენშევიკები, რომლებიც ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტით ვაჭრობდნენ, უსირცხვილოდ გაჰკიდნენ „დამოუკიდებლობაზე“. ამხელდა რა მენშევიკების თვალთმაქცობასა და მათი პროპაგანდის სიყალბეს, ვ. ი. ლენინი 1918 წლის 29 ივლისს აღნიშნავდა: „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანელთა ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 6).

მენშევიკების ბატონობის წლებში მასების მღელვარება და უკმაყოფილება დღითიდღე ძლიერდებოდა. მენშევიკური მთავრობის ლიდერებიც კი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში შექმნილი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, ბოლშევიკური ორგანიზაციების გავლენის ზრდა. სიტუაცია სულ უფრო მძაფრი ხდებოდა. მენშევიკებს უნარი აღარ შესწევდათ შეენარჩუნებინათ სახელმწიფო ხელისუფლება, მუშათა კლასი ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით ძალას იკრებდა ძალაუფლების ხელში ასაღებად.

ბოლშევიკური ორგანიზაციის ბათუმის კომიტეტის თაოსნობით მუშები და გლეხები ქმნიდნენ წითელი გვარდიის რაზმებს, რომლებიც ორგანიზებულ თავდასხმებს აწყობდნენ მენშევიკური მთავრობის ჯარის ნაწილებზე, ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

და აი, 1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა მოძმე ხალხებს დახმარებით, წითელი არმიის ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის



ნაწილების მხარდაჭერით დაამხეს ბურჟუაზიისა და მემამულეთა ბატონობა, საბოლოოდ განდევნეს საქართველოს მიწა-წყლიდან იმპერიალისტების ლაქიები—მენშევიკები და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად ამოისუნთქა თავისუფლად.

1921 წლის 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება აჭარაშიც დამყარდა. ამ სასიხარულო დღეს აჭარის მშრომელებს მიესალმა საქართველოს სსრ-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. „ძმებო და ამაზნაგებო,—წერდა იგი, — როგორც იქნა ბოლო მოეღო თქვენს ტანჯვა-ვაებას, თქვენ თავისუფალი ხართ. თქვენი კუთხე... ბევრჯერ იყო აოხრებული და აწიოკებული. თქვენ დაგცინოდნენ როგორც ინგლისის, ამერიკის და საქართველოს იმპერიალისტები, ისე მენშევიკი ძალდამტანებლები. შეუღაცხევს თქვენი ადათი, ზნე, სარწმუნოება და სინდისი. დღეიდან დაცინვას ბოლო მოეღო. ამ დიდებულ და სასიქადულო ჟამს საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობა მთელი ქვეყნისა და მუშების წინაშე აცხადებს, რომ აჭარის მშრომელებს მინიჭებული აქვთ ავტონომია საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე.

გაუმარჯოს აჭარის მუშებს და გლეხებს!“. (გაზეთი „იზვესტია“, 1921 წ. 14 აპრილი).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოასწავებდა ახალი ჟრის დასაწყისს აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში.

\* \* \*

აჭარის რევოლუციური კომიტეტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ფუნქციებს ასრულებდა და რომლის ხელშიც იყო კონცენტრირებული მთელი სახელმწიფო ხელისუფლება, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ შეუდგა რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებას. ფართოდ გაჩაღდა მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. პირველი რიგის ამოცანად იქნა მიჩნეული ბეგების ეკონომიური ბატონობის ლიკვიდაცია, გლეხობის გამოყვანა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ აქტებს, რომლებიც ბოლოს უღებდნენ კაპიტალისტურ საკუთრებას, საფუძველს უყრიდნენ ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას, განამტკიცებდნენ რევოლუციურ წესრიგს. ეს იყო მრეწველობის ნაციონალიზაცია, მემამულეთა მიწების კონფისკაცია, ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფა.

ქალაქისა და სოფლის მშრომელები საქმით დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება გამოხატავდა მასების ინტერესებს. რევოლუციურმა გარდაქმნებმა გამოადგინა მშრომელთა რევოლუციური ენერგია.



ახალი, ლენინური ტიპის დემოკრატიის შემოღება, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა, ქალის მამაკაცთან თანასწორი უფლების აღიარება, სახელმწიფო მართვაში მშრომელთა პოლიტიკური და დემოკრატიული თავისუფლების დამკვიდრება, იმის შეგნება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხალხის კუთვნილება გახდა, ალაფრთოვანებდა მუშებს და გლეხებს, რაზმავდა და ამკიდრობდა მათ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო. აჭარის მშრომელთა სიხარული უსაზღვრო იყო. ყოველგან იმართებოდა მიტინგები, რაც საერთო სახალხო ზეიმში გადადიოდა. მიტინგის მონაწილეები მადლობის გრძნობით გამსჭვალულ მისასალმებელ დეპეშებს უგზავნიდნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ხალხთა ბელადს ვ. ი. ლენინს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს მთავრობა, გამოიჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, საშა გეგეჭკორი, მიხა კახიანი, შალვა ელიავა, მამია ორახელაშვილი და სხვები მუდმივ მზრუნველობას იჩენდნენ აჭარის სოციალისტური გზით აყვავება-გაფურჩქვნისათვის, მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის ადგილობრივ მკვიდრთაგან კადრების დაჩქარებით მომზადებისათვის.

აჭარის საბჭოების მესამე ყრილობის სახელზე 1923 წლის 25 იანვარს გამოგზავნილ დეპეშაში ს. ორჯონიკიძე მოუწოდებდა დელეგატებს: — „ჩვენი ამოცანა არის აჭარის აღორძინება კულტურულად, პოლიტიკურად და ეკონომიურად. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აჭარის ახალგაზრდობას. სიტყვების დრო დასრულდა, სოფლად საქმისათვის უნდა წასვლა“.

\* \* \*

აჭარის მშრომელებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად გააჩაღეს შემოქმედებითი ორგანიზატორული მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით გარდაქმნისა და კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის, ეკონომიკის ყველა სფეროდან კაპიტალისტური ელემენტების აღმოფხვრისა და სოციალიზმის დამკვიდრებისათვის. ამ ამოცანების გადაჭრას დიდად შეუწყო ხელი საქართველოსათვის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მიერ გაწეულმა ეკონომიურმა დახმარებამ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში რუსეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საქართველოს მისცა რვა მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი, ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა აჭარის ეკონომიკის აღდგენა-განვითარებას.

1926-1927 წლებში დამთავრდა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის განხორციელების მეოხებით პირველი ხუთწლეულების მანძილზე აჭარაში შეიქმნა და აღორძინდა თანამედროვე მრეწველობის სრულიად ახალი დარგები. ამუ-



შავდა ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსამენი, მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალი საწარმო, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა უნიკალური გემთსამენი, ელექტროტექნიკური და ელექტროხელსაწყოების ქარხნები, დიდად განვითარდა აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრია. წლითიწლობით იზრდება სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების მოცულობა, მისი ენერგეტიკული ბაზა. მარტო 1957 წლიდან კაპიტალურმა დაბანდებამ 135 მილიონ მანეთს მიაღწია.

აჭარის დღევანდელი სახე რომ შევადაროთ რევოლუციამდელს, აშკარად დავინახავთ, თუ რა უდიდესი ცვლილებები მოხდა ცხოვრებაში.

1966 წელს მრეწველობის საერთო პროდუქტია 1921 წელთან შედარებით 120-ჯერ გაიზარდა, ხოლო ნავთობგადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება და ქიმიური მრეწველობა — 130-150-ჯერ. ამჟამად აჭარაში 75 თანამედროვე მსხვილი სამრეწველო საწარმოა.

ახალი სამრეწველო საწარმოების შექმნა ყოველდღიურად ადიდებდა მრეწველობის კადრებს. მარტო ბათუმის სამრეწველო საწარმოებში 1929 წლისათვის მუშათა რიცხვმა თითქმის 14 ათასს მიაღწია. მრეწველობის კადრების დაჩქარებით მომზადების მიზნით, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ადგილობრივ მკვიდრთაგან სახელმწიფო ხარჯზე ასობით ახალგაზრდა იქნა მივლინებული თბილისში, ბაქოში და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

უდიდესი ცვლილება განიცადა აჭარის სოფლის მეურნეობაშიც.

რევოლუციამდელი აჭარის სოფლის მეურნეობა ნატურალური წარმოების დონეზე იდგა. გლეხობის ძირითადი მასა პრიმიტიული იარაღით სარგებლობდა, ხელით შრომობდა, მიჯაჭვული იყო მიწაზე, რომელიც მემამულეებსა და ბეგებს ეკუთვნოდა. გაძვალტყავებულ გლეხობას საკუთარ მეურნეობაში სარჩო ვერ მოყავდა. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, აჭარაშიც საჭირო იყო წვრილი, დაქუცმაცებული ინდივიდუალური მეურნეობის მსხვილ, სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს წლობით დაძაბული ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მოუხდათ. დაიწყო ათასობით ჰექტარი მიწის მოწყობა, ყამირის, გატეხა, დაჭაობებული და ეკალ-ბარდით დაფარული მიწების მელიორაცია, გაწმენდა და სავარგულებად გადაქცევა. მარტო ამ გზით ათვისებულ იქნა 25 ათასი ჰექტარი მიწა. სწორედ ამ მიწებზე ჩაეყარა საფუძველი აჭარაში პირველ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს. სპეციალიზაციის გონივრული გამოყენებით გაშენდა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები: ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, თამბაქო, ვენახი, ხეხილი, დაფნა. კოლექტიური მეურნეობის შექმნამ საშუალება მოგვცა გაგვეტარებინა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფართო ღონისძიებები და დაგვეწერა მოწინავე აგროტექნიკა. გლეხობის ფართო მასები დარწმუნდნენ მეურნეობის



ამ ახალი ფორმის უპირატესობაში და მასობრივად იბრუნეს პირი კოლექტივისაკენ. სოფლის მეურნეობა დაადგა სწრაფი აღმავლობის გზას. ეს იყო ჭეშმარიტად რევოლუციური გადატრიალება მშრომელი გლეხის შეგნებასა და ყოფაში, გლეხმა თავი დააღწია საუკუნეობრივ ეკონომიურ ჩაგვრას, ჩამორჩენილობას, დაიწყო ბედნიერი, შეძლებული ცხოვრება.

რევოლუციამდელ აჭარაში სუბტროპიკულ კულტურებს სულ რაღაც ხუთას ჰექტარამდე ფართობი ეჭირა, ამჟამად მათ ცამეტ ათას ჰექტარზე მეტი უკავია. ყოველწლიურად ფართოვდება პლანტაციები, ამასთან ხელით შრომას ცვლის მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა. აჭარის სოფლის მეურნეობა აღჭურვილია მაღალკვალიფიციური კადრებით, და ყოველწლიურად იღებს დიდძალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მიწნერალურ სასუქებს, პერბიციდებს, შხამქიმიკატებს.

აჭარა უძველესი დროიდან ითვლებოდა მევენახეობისა და მეხილეობის ერთ-ერთ მხარედ საქართველოში. ისტორიის უკუღმართი ბედის გამო მეურნეობის ეს დარგები წარსულში გადაშენდა. მხოლოდ ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, დაიწყო მევენახეობის აღმავლობა, ვითარდება მეღვინეობა, ფართოვდება ხეხილის ბაღები, მებაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.

მატერიალური წარმოების ზრდამ განაპირობა მოსახლეობის კეთილდღეობის ზეუნელებელი გაუმჯობესება. იერი იცვალეს აჭარის ქალაქებში, დაბებში და სოფლებში. მათ ამშვენებენ ახალი მაგისტრალები, მწვანე საფარით შემკული პარკები და ქუჩები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულების ლამაზი ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები.

ქალაქებისა და დაბების საბინაო ფონდს ყოველწლიურად თვრამეტი-ოც ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ემატება. თითქმის ყველა კოლმეურნის ოჯახი უკანასკნელ წლებში აგებულ ლამაზ და ფართო ბინებში ცხოვრობს. წლითიწლობით იზრდება მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი.

სახალხო მეურნეობის აღმავლობის კვალობაზე დიდად დაწინაურდა რკინიგზის, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი თუ წინათ გლეხი ზურგიით ეზიდებოდა ტვირთს, ხოლო საუკეთესო სატრანსპორტო საშუალებად ურემი ითვლებოდა, ახლა ყველა სოფელს აქვს საავტომობილო გზები, შეიქმნა ავტომანქანების მძღავრი პარკები. წელს ბათუმში შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო.

თვალსაჩინო ღონისძიებები განხორციელდა საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის. შავი ზღვის სანაპიროზე აშენდა პირველხარისხოვანი კურორტები და აგარაკები.

დიდი სამუშაოები შესრულდა გარემოს გაჯანსაღებისა და დაავადებათა კერების ლიკვიდაციისათვის. ამას ხელი შეუწყო ჯანმრთელობის დაცვის მძღავრი ქსელის შექმნამ. თუ რევოლუციამდელ აჭარაში სულ ექვსი



სამედიცინო დაწესებულება იყო 25 ექიმით, ამჟამად მოსახლეობის ჯან-  
რთელობის დაცვას ემსახურება 264 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მათ შორის 44 საავადმყოფო 3.300-ზე მეტი სამედიცინო  
პერსონალით.

ცხოვრების დონის ამაღლებამ განაპირობა მოსახლეობის ზრდა. ახ-  
ლა აჭარის მოსახლეობა 300 ათასს აღწევს, ნაცვლად 126 ათასი კაცისა 1926.  
წელს. იმის საილუსტრაციოდ, თუ დღევანდელ აჭარაში რაოდენ მტკიცეა  
ოჯახი, შეიძლება დავასახელოთ ასეთი ფაქტი: 18 ათას ოჯახში იზრდება  
არანაკლებ ხუთ-ხუთი ბავშვი. მეფის მთავრობისა და მენშევიკების ბატო-  
ნობის დროს კი აჭარაში მოსახლეობა არამც თუ არ გაზრდილა, პირიქით,  
შემცირების გზას დაადგა.

სახალხო მეურნეობის აღმავლობამ, წარმოების სოციალისტური წე-  
სის დამკვიდრებამ გამოიწვია მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდაც.  
მარტო ქალაქებში 1966 წელს ირიცხებოდა 66.702 მუშა-მოსამსახურე, ნა-  
ცვლად 57.310 კაცისა 1960 წელს.

\* \* \*

სამხრეთ საქართველო და მასში შემავალი აჭარა უძველესი ქართული  
კულტურის აკვანი იყო. ამას მოწმობს ჩვენს მხარეში ბლომად შემონახუ-  
ლი ძველი მატერიალური კულტურის ძეგლები. ხიხანის, სხალთის, ცი-  
ხისძირის, გონიოს ციხე-სიმაგრეები, მახუნცეთის, დანდალოს, ხულოს  
ქვეთკირის თალიანი ხიდეები, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრები,  
ჭურჭელი და სამკაულები აკვირვებს მნახველს ორიგინალობითა და ნაკე-  
თობათა სილამაზით, ჩვენი წინაპრების ხუროთმოძღვრული გემოვნებითა  
და ოსტატობით. „ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულში სამხრეთ საქართვე-  
ლომ, კერძოდ, დღევანდელმა აჭარამ, — ამბობს ვ. პ. მკავანაძე, — განსა-  
კუთრებული როლი შეასრულა. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში სამხრეთ  
საქართველო წარმოადგენდა ქართული და მაშინდელი მსოფლიო კულტუ-  
რის ერთ-ერთ მძლავრ კერას. ცნობილია, რომ ფაზისის აკადემია ფაქტი-  
ურად სამხრეთ საქართველოს პირმოა“. (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1967 წ.  
9/IX, № 178). მაგრამ ისტორიის უკუღმართობით ეს კულტურა ჩაკვდა. მა-  
რთალია, აჭარამ ბევრი რამ შემოინახა და დაიცვა, მაგრამ მთელი სამი სა-  
უკუნის მანძილზე სულიერი კულტურის საგანძური აღარ გამდიდრებულა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ჩვიდმეტი სკოლა  
231 მოსწავლით. სკოლების უმრავლესობას არ გააჩნდა საკუთარი შენობა.  
სამაგიეროდ მოქმედებდა 50 მედრესე, რომლებიც ისლამის დოგმებით  
გონებას უჩლუნგებდა ადამიანებს. წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა  
მოსახლეობის სამ პროცენტს ძლივს აღწევდა. არ იყო მწერლობა და მხა-  
ტვრობა, მშრომელ კაცს აუტანელ სიღატაკესთან ერთად მძიმე ტვირთად  
აწვა გაუენათლებლობა და უწიგნურობა.



საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა კულტურული რევოლუცია. სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარებასთან ერთად, არაჩვეულებრივი სისწრაფით აღორძინდა ქართული კულტურა. შეიქმნა სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქაელი. ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო სპეციალური სკოლები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ. ძლიერ ცოტა იყო მასწავლებელთა კადრები. ამ მხრივ აჭარას დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს მიწინავე რაიონებმა, განსაკუთრებით გურიამ. აჭარელმა კაცმა მთვლემარე მდგომარეობიდან გამოიღვიძა არაჩვეულებრივი ენერგიით და მტკიცედ დაადგა ახალი ცხოვრების შენების გზას. არა მარტო ახალგაზრდობა, ხნირებიც არნახული ენთუზიაზმით და სიყვარულით დაეწაფნენ სწავლა-განათლებას ოცდაათიანი წლების დასასრულს წერა-კითხვის უცოდინარობა ლიკვიდირებულ იქნა.

ამჟამად მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურება 414 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რვა სპეციალური სასწავლებელი და ტექნიკუმი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი. მოსწავლეთა რიცხვა 66.235 კაცს მიაღწია. სასკოლო ასაკის ყველა ახალგაზრდა ჩამოყალიბდა სწავლებაში. მრავალი აჭარელი ახალგაზრდა განათლებას იღებს თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. ახლა აჭარაში ყოველი მეოთხე კაცი სწავლობს.

აღიზარდა ინტელიგენციის შესანიშნავი თაობა. ისინი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

წინათ აჭარაში არ იყო არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება; ამჟამად ათამდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, სადაც მეცნიერულ მუშაობას ეწევა სამასამდე კაცი. მათგან 53 მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატია. მთელ საბჭოთა კავშირში საყოველთაო აღიარება დაიმსახურა აკადემიკოსმა ქ. ბახტაძემ, რომლის ხელმძღვანელობით სელექციის წესით გამოყვანილ იქნა ჩაისა და ციტრუსების ახალი ჯიშები.

ოციანი წლების დამდეგს ბათუმში თითო-ოროლა მწერალი მოღვაწეობდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში იშვა და დიდად დაწინაურდა შემოქმედებითი ორგანიზაციები. 1927 წელს შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება. ახლა რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციები 50-ზე მეტს მწერალსა და მხატვარს აერთიანებს. მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებაში.

თუ რევოლუციამდელ აჭარაში გამოცემული იყო ათიოდე დასახელების წიგნი, ისიც უმნიშვნელო ტირაჟით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიბეჭდა ექვსასზე მეტი დასახელების წიგნი 1,5 მილიონი ცალი:



საერთო ტირაჟით. წელს ბათუმში კვლავ გაიხსნა სახელმწიფო გამომცემლობა, რომელიც ყოველწლიურად ორმოცდაათამდე დასახელების წიგნს გამოსცემს.

ნაყოფიერად მუშაობენ რესპუბლიკის საკლუბო დაწესებულებები. 1921 წელს აჭარაში იყო მხოლოდ ორი კლუბი და ერთი ბიბლიოთეკა. ახლა გვაქვს 29 კულტურის სახლი და სასახლე, 142 კლუბი, 210 ბიბლიოთეკა, მუზეუმები, სახელმწიფო თეატრი, სახელმწიფო ანსამბლი, ფილარმონიის განყოფილება, ხალხური შემოქმედების საოლქო სახლი, თექვსმეტი კინოთეატრი და 140 კინოდანადგარი, რადიოსატრანსლაციო სადგური, 57 რადიოკვანძი, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზორების ცისფერი ეკრანები. კოლმეურნეთა ოჯახებს ანათებს „ილიჩის ნათურები“.

პროფესიული ხელოვნების მხარდამხარ გაიფურჩქნა და აყვავდა ხალხური ხელოვნება, მშრომელთა ყოფაში დამკვიდრდა სპორტი, ტურიზმი, ყოველწლიურად იმართება მხატვრული გამოვენები, სპორტული შეჯიბრებები.

დიდი ინტერესი გამოიწვია წელს გამართულმა თვითმოქმედი ხელოვნების ფესტივალმა და სპარტაკიადამ, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. მათში მონაწილეობა მიიღო ათასობით მუშამ, კოლმეურნემ და ინტელიგენციის წარმომადგენელმა. გამოვლინდა ასობით ნიჭიერი ხელოვანი და სპორტსმენი. ბევრმა მათგანმა აღიარება დაიმსახურა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრების შედეგად წარმოიშვა ახალი ადამიანი. სამუდამოდ დამარცხდა ძველი საზოგადოების სოციალური უკუღმართობით გამოწვეული მანკიერებანი. ბნელმა ინსტინქტებმა, მტრობამ და შუღლმა, გაუტანლობამ და სიხარბემ გზა დაუთმო გონიერებას, ადამიანთა შორის ახალ, სოციალისტურ ურთიერთობას. ხალხთა ძმურ მეგობრობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაწეულ იქნა დიდი ორგანიზატორულ-აღმშრდებლობითი მუშაობა ჩვენი ადამიანების რევოლუციურ ტრადიციებზე—კომუნისტური შეგნებულობითა და ჰუმანური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამის შედეგად იშვა და დღითიდღე მტკიცდება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის თვისებები, რომლებიც ანათესავენ ჩვენი სამშობლოს ყველა ერის ადამიანებს.

ჩვენი რესპუბლიკის ყოველნაირი სიკეთის შექმნაში ქართველებთან ერთად თავდადებით შრომობენ 40-ზე მეტი მოძმე ეროვნების წარმომადგენლები.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი თვალსაჩინო სოციალური მონაპოვარია აჭარელი ქალის განთავისუფლება. ისლამის დოგმებით დაბეჩავებული და ჩადრში გახვეული აჭარელი ქალი მთლიანად ჩამოშორებული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ახლა აჭარაში არ არის



საზოგადოებრივი ასპარეზი, სადაც მამაკაცების მხარდამხარ თავიანთი სიძლიერით სეულ სიტყვას არ ამბობდნენ ჩვენი შრომისმოყვარე სახელოვანი ქალები.

აჭარის მშრომელთა მაღალი შეგნებულობა გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. ისინი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ჩაებნენ საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი რესპუბლიკიდან ფრონტზე გაემგზავრა ოცდასამიათასამდე კაცი. ბევრმა მათგანმა ვაჟკაცობის უბადლო მაგალითები გვიჩვენა და სიცოცხლე შესწირა სამშობლოს. ასევე მამაცურად იბრძოდნენ ზურგში დარჩენილი მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები და თავდადებული შრომით გარკვეული წვლილი შეიტანეს მტრის განადგურებაში.

ახლა, როდესაც ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხმა, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, აჭარის მშრომელებსაც თამამად შეუძლიათ იამაყონ და თქვან, რომ ამ მიღწევებში მათი წვლილიცაა. მათ საიუბილეო წლის საწარმოო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით გაანაღდეს.

საიუბილეო წელი განსაკუთრებით სადღესასწაულო და დაუვიწყარია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის. იმ წარმატებებისათვის, რომლებიც მათ მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახალხო მეურნეობის განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაში, აჭარის ასს რესპუბლიკა დაჯილდოვდა უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

აჭარის მშრომელთა დიდ პატრიოტულ შემართებაზე მეტყველებს ისიც, რომ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 3.956 კაცი, მათ შორის სოციალისტური შრომის გმირია 183 კაცი. ოთხათასამდე კაცი კი ატარებს სხვადასხვა საპატიო წოდებას.

ზეიმით, მიღწევებითა და მაღალი ჯილდოებით აღნიშნავენ რა სოციალისტური სახელმწიფოს ორმოცდაათი წლისთავს, ჩვენი რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ყურადღებას მიაპყრობენ იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და შემდგომმა პლენუმებმა დაუსახეს საბჭოთა ხალხს... ისინი კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშის ქვეშ დარაზმულნი, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, განუხრებლად ივლიან წინ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების გზით.





## ნესგორ მაღაზონია

### ოქტომბრის დილა

პალმის ფოთოლს სიო არხევს წყნარი,  
 ზღვის ნიავე ტალღას ეწყვილება.  
 ღამის ქუჩა, როგორც ლექსის პქარი,  
 მთას მიაწყდა მრავალწერტილებად.  
 მთვარემ უბანს დაუარა ფრთხილად, —  
 თავად ნახოს, ვის სძინავს და როგორ.  
 საცა არის, თვალს გაახელს დილა  
 და მარათონს გაუდგება გორ-გორ.,  
 ბუღბუღს ნამი ყვავილებში დააქვს,  
 გორაკებზე გაიცრიცა ნისლი.  
 სძინავს ქალაქს  
 და არ სძინავს ქალაქს  
 საოქტომბრო დილის მოლოდინში.  
 აი, უკვე მზე ამზადებს ღიმილს,  
 ძალას იკრებს დაცვარული მიწა,  
 ქარხნებს მოსწყდა შრომის დაძახილი  
 და გაისმა მოწოდების ფიცად:  
 — ჩვენ ლენინის ორდენიან დროშას,  
 ნახევარი საუკუნის დროშას,  
 შრომისა და გამარჯვების დროშას,  
 გადმოცემულს გამარჯვებულ ხელში,  
 გულში ვიკრავთ, შვეებით სავსე გულში.  
 გულში ვიკრავთ, ტრფობით სავსე გულში  
 და ასევე ღირსეულად გავშლით  
 კომუნიზმის ნათელ სასახლეში!.



## იმედივით ლამაზი

ორმოცდაათი წლის გმირი და ბრძენ-ბუმბერაზი  
 ჩანს ოქტომბერი, იმედივით მარად ლამაზი,  
 სიმართლის ცეცხლი, დედამიწის ძალა და აზრი.  
 რევოლუციამ ეკლიანი გზა განვლო ბევრი,  
 რევოლუციის კაჟიანი, მზიანი კევრით  
 სულ გაილეწა ღამეების უვალ ტევრი  
 და გაიწალდა ბუძენარები საუკუნეთა,  
 ქართლში ფოთოლსაც უნატრია: დამეცეს ნეტა  
 სხივი, რომელიც იგიზგიზებს ოქტომბრის მზედა.  
 გადაიდარა, გადიყარა მამულმა ბური,  
 წლებს ბუხარივით მიეტბუნა ალერსი ძმური  
 და ოქტომბერი გახდა ყველა ნატვრის სადგური.  
 რას ნიშნავს თურმე თავისუფალ კაცის შეძლება:  
 მკლავს გაშლის მიწა და ბელტებად დაიკეცება  
 და იგრძნობ სახე დედამიწას როგორ ეცვლება.  
 ორმოცდაათი წლის გმირობა ზეიმობს ახლა,  
 მისით მიწაზე ხომ მონობის ყინული გალხვა,  
 კაცი კაცს ენდო, კარი ფართოდ გააღო სახლმა,  
 მცეც გზას დავადექ ამ ოქტომბრის წყაროს მწყურვალს,  
 მერგო თანხმობა, არ მხვედრია არსად უარი.  
 პოდა, ჩემია ეს ქვეყანა კიდით-კიდეში,  
 ამაყი მოველ, თუმცა ზოგჯერ დარდსაც ვიტევდი.  
 ახლა ჩემს თვალწინ მზეს ედემი გადაუშლია,  
 რაც გამაჩნია, სულ ოქტომბრის სამსახურშია.  
 შენ მოგენდევი, ოქტომბერო, სამარადისოდ,  
 ძნებო, ეს შუქი წამალივით შუბლზე წავისოთ.  
 ოქტომბრის ელვით მოქარგული ცა შევიყვაროთ,  
 დავიახლოვოთ კოსმოსიდან ვარსკვლავთ სამყაროც.  
 ჩვენი ესმოდეს არა მარტო ზღვასა და ხმელეთს,  
 არამედ ციდან პლანეტებიც გვიწვდიდეს ხელებს.  
 ასეც იქნება! — ოქტომბერო, პირობას გაძლევთ,  
 ვერარა შეძრავს ჩვენს ანაგებ მშვედობის ტაძრებს.  
 დგას ოქტომბერი, იმედივით მარად ლამაზი,  
 სიმართლის ცეცხლი, დედამიწის ძალა და აზრი.



ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს

როცა შენზე ლექსის ბწყარით  
მე სიმღერას ვბედავ,  
უმაღლესი პირმღმარი  
დამიდგება დედა.  
და თვითონვე მართავს თითქოს  
ჩემი ლექსის ბწყარებს.  
ვწერ და  
ჩასვლას აღარ ფიქრობს  
არც მზე,  
აღარც მთვარე,  
საოცნებო ყველა დროსი,  
მამისა და პაპის,  
შენ ლენინის მოხველ დროშით  
და „ავრორას“ ზალპით.  
იმდროიდან იადონი  
ვარდზე ღამეს ათევს.  
მტკვარი,  
როგორც ვოლგა-დონი  
დროს უმღერის ნათელს.  
ათასი მზით რომ აინთოს.  
პაწაწინა ლექსი,  
მეტს მოითხოვს მაინც სიტბოს.  
უკვდავების ფესვი.  
ვინც ინდომებს, მუსრს  
გავავლებთ,  
მტრობას ვინც ინდომებს.  
სამუდამოდ გადაუჭრით.  
გზებს საშინელ ომებს.




## მე ფეხადგმული მიწა ვარ

მე სიყვარულში ვიწამე  
ჩემი სიცოცხლის გზა-მარად.  
მე ფეხადგმული მიწა ვარ  
წვიმებმა რომ ვერ დამალა.  
ქართულ მიწიდან ამოსულს  
ასე იოლად ვინ წამშლის.  
მე განა ბევრი რამე მსურს:  
ვიყო მიწაზეც, მიწაშიც!...  
სულში დაგროვდა სიმწვანე  
და აღზევანის მარილი...  
მე ფეხადგმული მიწა ვარ  
თბილისში მოსიარულე.  
არავის მე არ გავატან  
ჩემს სხეულს, თუნდაც გათელონ:  
ათას სიყვარულს ვატარებ  
და არცერთს უსაქართველოდ!...  
მისი სიტკბო და სიმწარე  
ჩემი ღელვაა ახალი...  
აქ ფეხადგმული მიწა ვარ,  
აქვე დასამარხავი!...

## ცხრა მთას იქითაც...

— ცხრა მთას იქითაც! — იტყოდნენ  
წინათ,  
როს მოყვებოდნენ ცუდ ამბებს  
ხალხში...  
მე კი ვიტყოდი: — ცხრა მთას იქითაც  
ნუ ატირდება ობოლი ბავშვი.







პარმენ ლორია

## ამგავი უბრალო ადამიანებისა

რამ დაგაშრო შე ოხერო  
ლარიბების ბედის წყაროვ...  
ი. ღავითაშვილი.

მამაჩემს ბატონყმობის უღელი არ უთრევია, მისი სიმწვავე არ განუ-  
ცდია, მაგრამ ნაბატონარისაგან ბევრი სიავე და ბოროტება ახსოვს.

გაკოტრებული აზნაური ხშირად მოინახულებდა ნაყმევის ოჯახს,  
ლაზათიანად გამოთვრებოდა, ბატონყმობის „სანუკვარ“ დროს მოიგონებ-  
და, შემდეგ თავგამოხსნისას, ვითომ გაუსწორებელი ანგარიშის მიღებას  
მოითხოვდა, ძველ ქისას პირს მოუხსნიდა. მამაჩემი არარსებული ვალის  
გადახდაზე უარს რომ ეტყოდა, გაგულისებული ნაბატონარი თავის გაზ-  
რეკილ ცხენს მოახტებოდა და წყევლა-მუქარით მოკუტრცხლავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბოქაული გამოგზავნიდა ჩაფარს ნაბატონა-  
რის საჩივრის გამო, აზნაურის შეურაცხყოფისათვის მამაჩემს ორ დღეს  
ნოობახში\* ჩაამწყვდევდა, მაგრამ გადაუხდელი ვალის შესახებ ენასაც  
არ დასწრავდა. ალბათ, მეფის ერთგულმა მოხელემაც კარგად იცოდა ნაბა-  
ტონართა მუცლის გვრემა და ძველი ვექსილებისა და საჩივრების არაფე-  
რი სჯეროდა.

„გამკითხავი“ და „მწყალობელი“ სხვაც ბევრი ჰყავდა საბრალო  
გლეხკაცს: მღვდელი, ნაცვალი, მამასახლისი, ჩარჩი, ვაჭარი...

ყველა თავის მოთხოვნით მოდიოდა, მაგრამ ღვთის მოცი-  
ქული, მამა გიორგი სულ კარზე გვყავდა მოდარაჯებული. გაჭირვებისა

\* საპატიმრო.



თუ დალხინების დროს კარგი ჰიროსუფალივით დაგვტრიალებდა თავს და ჩვენი ოჯახის ავსა და კარგს თანაბარი განწყობილებით „იზიარებდა“. ნათლობის დროსაც ისე მხიარული და კმაყოფილი იყო, როგორც ქალაქის დაქორწინებისას, უკანასკნელ ზიარებასაც ისე მოლიმარი აწვდიდა მომავლად, როგორც კუბოში ჩასვენებულ ცხედარს „შენდობას“. იმ დროსაც უბრწყინავდა თვალები, როცა დრამის ფულის ასაკრეფად მოსულ ჩაფარს გლეხის ოჯახიდან უკანასკნელი ლოგინი გაჰქონდა ვალში.

უფრო სასურველად ჩარჩ-ვაჭრების გამოჩენა მიმაჩნდა. დათაფლული ენით გვაბრუებდნენ, ფერად-ფერად ჩითეულობას გვთავაზობდნენ. ხოლო თუ ხელზე გროში არ გვქონდა, ჰირნახულსაც გვკერდებოდნენ: ისე მოქნილად და მოხერხებულად დაგვტყუებდნენ ხელიდან მოყიდული ნივთის ორმაგ საღირაოს, რომ ჩვენ მადლიერნიც კი ვრჩებოდით.

პატარაობიდანვე განვიცდიდი ჩვენი ოჯახის უბედობას. მებრალებოდა საწყალი მამა, როცა ნაცვალის წინ თავდახრილი იდგა და გადასახადის დროულად შეუტანლობისათვის ბოდიშს იხდიდა, ცოტა ხნით ვადის გაგრძელებას სთხოვდა. ან მაშინ, როცა ოჯახში სახადი გაჩნდებოდა და წამლის საყიდელი გროში არ გვქონდა.

მებრალებოდა, თანავუგრძნობდი, მაგრამ იმის სევდასა და გულისტკივილს ვერაფერს ვრგებდი.

მამა პროფესიით ღურგალი იყო. ხის დაზგა ედგა. ეჩო, სატეხი და შალაშინი მუდამ მზად ჰქონდა. თუ ვინმე სკამსა და კამოდს დაუკვეთდა და მასალას მოუტანდა, დაკვეთას თავის დროზე და ხარისხიანს ჩააბარებდა. აღებული გროშებით ჩითისა და ნარმის პერანგებს გვიყიდდა და შეგვემოსავდა.

მაგრამ არ იყო მოგებიანი ეს პროფესია. ნაკლები ჰქონდა მოთხოვნილება. სკამის მაგივრად შინგამოთლილ ჯორკოებზედაც კარგად სხდებოდნენ, ხოლო კამოდები და სკივრები ვის რად უნდოდა, როცა შიგ ჩასალაგებული არა ჰქონდათ რა.

ამის გამო მამაჩემმა მონათესავე ხელობა არჩია, ხურობა ამჯობინა და სახლებისა და ნალია-ბედლების აგებაში დახელოვნდა.

ახლა მეტი ფასი დაედო მის მარჯვენას. სამუშაო ბევრი იყო და დამკვეთიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ შრომის ანაზღაურება ვერ ახარებდა.

— ოსიმავე, — მოაკითხა ერთხელ ჩვენმა ახლო მეზობელმა. — ნალიეს აშენებას ვაპირებ, მასალა მზად მაქვს და მდგომარეობაც ხელს მიწყობს, მარა... თუ ცოტა ხანს ფულს მადროვებ და ახლა არ მომთხოვ... აგერ ძროხა ხბოს მოიგებს, გოჭებიც წამოიზრდებიან, ცოტას ჰველსა და ნაღულს დაეაგროვებ, რაღაცას კიდევ წამოგუმატებ, გაცივიდი და...

მამაჩემი თანაგრძნობით შეხვდა მეზობლის თხოვნას.



რამდენიმე დღეში ნალია აუგო, დაულოცა და დაიმედებული, გასამრჩელოს მალე მიიღებს, შინ კმაყოფილი წამოვიდა.

მაგრამ უთქვამთ, უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევო.

იმ გლეხს ძროხა დაუმარცხდა. გოჭებს ჰირი დაერია და ამოხოცა. ვერც „სხვა რამე“ მოეშველა და... მამაჩემთან პირი გაუტყდა. შერცხვა, რაც ნამუსიანი გლეხისათვის ყველაზე დიდი სატანჯველი და საძრახისია.

მამაჩემი ბუზღუნებდა, სწუხდა, მაგრამ გაჭირვებულ მეზობელს საწყევლად ვერ იმეტებდა.

საქმე ცუდად არ წასვლოდა, ესე თოთიბაძე ჩემთან პირს არ გაიტეხდა, ჩემს გროშებს არ შეირჩენდაო. — ამბობდა იგი და ქვეყნად სიღარიბისა და უსამართლობის გამჩენს წყევლიდა.

ბევრი იყო ესე თოთიბაძის დღეში, უარესში უფრო მეტი. ჩვენც ვეროვით იმათ რიცხვში, მაგრამ...

მუდამ ასე არ იქნება. მუშისთვისაც გათენდება. გლეხკაცისთვისაც... ყველასათვის, ყველასათვის გათენდებაო, ამბობდა მამა.

მამას მოსწონდა და უყვარდა თავისი პროფესია. უყვარდა დაზგა, გონიო, ეჩო და შალაშინი, ხერხი, ჩაქუჩი, ქლიბი და ჭიბოშანი. უკეთესი ხელობა და პროფესია ჩემთვისაც ვერ მოეძებნა, თუმცა მე ერთკლასიანი დამამთავრებინა და სწავლულად მთვლიდა.

იქნებ მიმეღო მისი რჩევა და დარიგება. შემეყვარებოდა ხის დაზგა, ეჩო და შალაშინი. გამოვსულიყავ კარგი დურგალი, ან კარგი ხურო. მიმეღო დაკვეთა, მეშენებინა სახლები და ნაღიები, მერანდა ძელები და მორები.

ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ...

უფრო სარწმუნო და დასაჯერია, რომ მამაჩემის რჩევის მიხედვით იმ დუხჭირ დროში ხმელი ლუკმაც კი სანატრელი მექნებოდა.

## ახალი დაზგა და პროფესია

ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბერმა ჭაბუკობაში მომისწრო.

თითქოს გაყინული მდინარე გაღზვა, ამოძრავდა, აბობოქრდა, ნაპირი გადმოხეთქა, სტეპებს მოედო, ყამირებს დაუარა, დედამიწას გული გაუთბო და ქვეყანა ახლებურად ააბიბინა...

გლეხკაცს გაეხსნა ბედი. ფასი დაედო შრომასა და შემოქმედებას.

შეიცვალა ჩემი ცხოვრება და ჩემიანების მდგომარეობა.

ქოხში შეიჭრა მზის ნათელი და არარად ქმნილი გახდა სვინანდ.

წიგნი და სწავლა სავალდებულო გახდა ყველასათვის და ბევრმა ნიჟმამ გაშალა ფრთები.

და, როცა მამაჩემმა თავის დაზგას მოავლო თვალი, ბედნიერმა და კმაყოფილმა გაიღიმა. აწი შიმშილი ვერ დაჩაგრავს მშრომელი კაცის





ოჯახსა და შთამომავალს, ნაბატონარი და ბოქაული ვერ შეაწუხებს მას მეცსა და განაწამებსო. იმედით სავსე თვალებით შემომყურებდა მოხუცი კაცი და ახალი ბედით კმაყოფილი, მაინც თავისას გაიძახოდა: დაზგა დაიდგი, ოსტატი გახდი, რომ უფრო უკეთ ემსახურო ქვეყანასა და მშრომელ ხალხსო.

მეც დავუჯერე. ძნელი, მაგრამ კეთილი გზა ავირჩიე. კარგად გაწაფულ და სახელოვან ოსტატთა დახმარებით ერთი პატარა ოსტატი გავხდი, დაზგა გავმართე, სამუშაო იარაღი მოვლეს-მოვპირე და მასალები მოვიმარაგე.

და უკვე საკმაოდ დიდი ხანია დაკვეთას ვასრულებ და კეთილ საქმეს ვემსახურები.

მამას მაინც ვერ ვარწმუნებ, სახლებისა და ბელლების აგებას რომელიმე საქმე თუ სჯობია.

ვერ გავუმტყუნებ. უწიგნურმა და საწყალმა გლეხმა სამოცდაათი წელიწადი ამ პროფესიას შეაღია და ახლაც ოთხმოცდაათ წელს მიღწეულს ჩემთვის უკეთესი ხელობა ვერ მოუნახავს. ახლაც ისე მიდის დაზგასთან და ხელსაწყოს გამოალაგებს, როგორც ჭაბუკობისას, მაგრამ აღრინდელი ძალღონე რომ აღარ შესწევს, ძალიან წუხს.

ერთხელ ესე თოთიბაძე ესტუმრა. გაიხსენეს ძველი დრო და ნალიის ამენების ამბავი. — მაშინ რომ სირცხვილი ვჭამე, აქამდე ვერ მომიწელებია; დაგჭირდე, მთელი ოჯახი გვიმსახურეო. — უთხრა მოხუცს.

— შენი ოჯახიდან ისედაც დიდად დავალებული ვარო, — უთხრა მამამ, — შენს ქალიშვილს რომ არ გადავერჩინე, ახლა ჩემი ძვალიც არ იქნებოდაო.

შვილის შექება ეამა ესეს: — მისი ხელობა ეს არის, ჩემო ძმაო, და თუ ვინმეს წაადგება, ამას რაღა სჯობიაო.

მამაჩემს გარდა სხვებიც აქებენ ესეს ქალიშვილს: იშვიათი მკურნალიაო.

ესეს გოგო და მკურნალი?! თუმცა გოგო კი არა, სამოცს მიღწეული ქალია. ესე მაინც გოგოს ეძახის და მაღლობით იხსენიებს, ვინც მის ოჯახს არგუნა ასეთი ბედი.

აბა შენ ვის შეგიძლია წაადგე და დაეხმაროო, მსაყვედურობს მამა და ჩემი პროფესია შეუფერებლად მიაჩნია.

შეიძლება მართალი იყოს. სად გლეხი კაცის შვილი და სად...

მაგრამ განა მარტო ერთეულებს გაუხსნა ბედი ჩვენმა დრომ?!

თუ გერასიმე კვირღელის ობლად გაზრდილი ბიჭი სახელმოხვეჭილი გეოლოგია, თუ ალფესი გოგლაძის ვაჟები ინჟინრებია, ვითომ მე რით ვარ მათზე ნაკლები?...

მწერლობა ნიჭის საქმეაო, მედავება მამაჩემი. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ასეთი მაღლიო. — და ჩამოთვლის ჩვენს სახელოვან კლასიკო-



სებს: ილიას, აკაკის, ვაჟას, რუსთველსაც მოიხსენიებს, თუმცა მისი პოეზია არ წაუკითხავს. ილიასა და აკაკის ნაწერებსაც გვიან გაეცნო, მაგრამ როცა ჩვენი რჩევით წერა-კითხვა ისწავლა და წიგნი დაიხაზო.

მათ ჰქონდათ ცოდნა, მათ ჰქონდათ ნიჭი, იცოდნენ ხალხის ამბავი და სატკივარიო, ამბობს მამა.

ვეკამათები: შეიძლება იმათ ვერ გავუტოლოდ, იმდენი ვერ შევძლო, მაგრამ ცოტაოდენ წვლილს მაინც ხომ შევიტან მათ აგებულ ტაძარში-მეთქი!

განგებამ ხელი მოგიმართოსო, — დამლოცა ბოლოს და დაზგა მიკურთხა.

მშობლის დალოცვა ყველაზე ძვირფასი ნობათია შვილისათვის..

ჰოდა, აი ვდგავარ ჩემს დაზგასთან და საჭირო მასალებს ვარჩევ-მამაჩემს პირადი საჭიროებისათვის მოსახმარ ნივთს აკეთებინებდნენ, გასაწმენდ-გასაარანდავი მასალა მოჰქონდათ. ჩემთან კი საქვეყნოდ სასარგებლო და საჭირო დაკვეთა მოაქვთ და მასალებს მთავაზობენ.

ერთხელ ერთმა უცნობმა შემოაღო ჩემი სახელოსნოს კარი და მომესალმა.

— ძალიან დიდი გზა მაქვს გავლილი. — წამოიწყო მან. — ისტორიაა ჩემი ამბავი. თუ დაწერ და ისარგებლებ, დაგიფასდება. — და მოკლედ მომიყვამ: სულ უბრალოზე მოუკლავს კაცი, გაქცეულა და ათი წელიწადი ტყე-ტყე უვლია, შემდეგ შეუპყრიათ, გაუსამართლებიათ, სასჯელი მოუხდია და ორი ათეული წლის შემდეგ ოჯახს დაბრუნებია.

— მერე, რა სიკეთეს მოგგვრის შენ ასეთი მოთხრობა-მეთქი. — შევეკითხე მე. — ხომ ყველა დაგწყევლის და შეგაჩვენებს ასეთი ბოროტების ჩამდენს?

— დაე დამძრახონ და შემაჩვენონ, ილაპარაკონ ჩემს უღირს საქმეებზე, მაგრამ მიმბაძველები ნუ მეყოლება, იარონ კეთილი გზითა და კეთილი მიზნებითო.

მომეწონა მისი ნათქვამი, მალე შევეუბრულე დაკვეთა და... მართლაც ბევრ ვინმეს წაადგა ამ კაცის ნაამბობი.

ამგვარი დაკვეთა სხვებისაგანაც მიმიღია, უკეთესი მასალაც მოუტანიათ, მაგრამ ყველას ვერ გავწვდომივარ...

ზოგჯერ დაკვეთის გარეშეც მიპოვნია საქმე და სამუშაო... ჩვენში იმდენი პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი და მუშაკია, რომ მათი თვისებების შესწავლა და გამოვლინება საქვეყნო, სასარგებლო საქმედ ჩამეთვლება და მეც სიამოვნებით ვასრულებ მას.

## მამის ცრემლი

წყლიდან ამოყვანილ ჩვილს მღვდელმა შუბლზე, მკერდზე და ფეხებზე მირონი მოსცხო და ნათლიას გადასცა. მისგან ვერცხლის მანეთიანი



ჩაიჯიბა, კარგად გამოთვრა და ფოფოლიასათვის მოსაკითხით  
ჯინსავსე თავისი ჯორით შინისაკენ გასწია.

ნათლობის გლეხური ზეიმი დამთავრდა. ნათლია და სტუმრები წავიდ-  
წამოვიდნენ და ოჯახში ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო: დიასახლისმა  
ნათლობის ცერემონიალით შეწუხებული ბავშვი დაბანა, დააძუძურა, და-  
აძინა და შემდეგ საოჯახო საქმეს დაუტრიალდა, ხოლო, როცა ყველაფერს  
მორჩა, მივიდა და ქმრის გვერდით ჯორკოზე ჩამოჯდა:

— ეს საქმეც მოვათავეთ, ჩემო ივანე, ბალანე მოვნათლეთ, დაბანილ-  
დასუფთავებულიც მყავს, მას ენაცვალოს დედა. ბარემ ხვალ დილით გა-  
ვუდგები ჩემს გზას. ამდენი დაგვიანებაც არ შეიძლება. ვინ იცის, რო-  
გორ მელოდებიან. იქნება იმ კაცმა კიდევაც აიყვანა ვინმე. რამდენია  
ჩემისთანა გაჭირვებული.

ივანემ ჯერ კერიის პირას ჩაჩოქილ ბავშვებს გადახედა, ნაღვლიანად  
ჩაიქნია თავი და ცოლს მიუბრუნდა.

— რა გაეწყობა. თუ ასეთი ბედი დაჰყვა ჩვენს მეცხრე შვილს, დეე.  
მისი კუთვნილი ძუძუ სხვამ წოვოს, მისი ულუფა დედის რძე სხვამ სვას  
და მან კი მამამისის მოთხოვნებული ფაფა ლოკოს და ტყემლიან ლობი-  
ოს შეაჩვიოს პირი... წადი, ჩემო კარგო, წადი. ბედნიერი იყოს შენი გზა,  
კურთხეულ იყოს შენი ძუძუს რძე. წადი, სადგურამდე ბიჭი გაიყოლიე. —  
და ივანემ თავის უფროს თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ვაჟს დაადგა თვალი:  
— ადრე ადგები, დედაშენს ნატანების სადგურამდე ჩაჰყვები, მატარებ-  
ლით გაისტუმრებ და გამობრუნდები.

— მეც დედას მივყვები! — ჩაერია საუბარში სამოთხი წლის ვარ-  
ლამი. — დედასთან მინდა მე! — მივიდა და დედას კალთაში ჩაუჯდა.

— კი, შვილო, კი. — თავზე გადაუსვა ხელი დედამ პატარას. — მე  
მხოლოდ ორი დღით ჩავალ ბათუმში, პატარა გოგონას ძუძუს მოვაწოვებ  
და დაებრუნდები.

— არ მინდა! — შეწუხდა ბიჭი. — იმ გოგონას მისმა დედიკომ აჭა-  
მოს ძუძუ... ეს ძუძუ ჩემი იყო, ახლა დათოსია. დათოს არ უნდა ძუძუ?

დედამ აუხსნა, რომ გოგონა, რომელთანაც ის მიდის, მოშივებულია,  
დედამის რძე არა აქვს. თუ დროზე არ მიეშველა და ძუძუ არ მისცა,  
მოკვდება...

— ჩვენი დათოც ხომ მოკვდება უდედოთ? — თითქოს განგებამ შთა-  
ავონაო, ისე წამოიძახა ბავშვმა.

ბავშვის ნათქვამი მშობლების გულს ტყვიასავით მოხვდა, მაგრამ მის-  
თვის ანგარიში არ გაუწევიათ და დილით, როცა მას ეძინა, ივანემ ცოლს  
უფროსი ვაჟი გააყოლა და გაისტუმრა.

— ჩვენს დარდს ნუ გაიყოლიებ, თუ ქალი ხარ, არაფერი გავგვჭირდე-  
ბა. შენ თავს მოუარე და გაუფრთხილდი. თუ კეთილი გულის ადამიანე-





ბია, შეიძლება ხანდახან ნება მოგვცეს მოგინახულოთ და ბალნები განსწავლოთ. — ივანე მეუღლეს მოეხვია და გადაკოცნა.

— ჩემი დათიე მეცოდება, თორემ სხვებს რა უჭირს, მოზრდილებია. — თვალეები აუცრემლდა დედას. შემდეგ ქმარს დაუბარა, როგორ მოქცეოდა პატარას, რომელსაც ბედმა უღედოდ გაზრდა არგუნა წილად, რა ეჭმიათ, როგორ დაეხანათ და მოევლოთ.

და გაისტუმრა ივანემ მეუღლე. გაისტუმრა და მთელი ოჯახის სიმძიმე ზურგზე მოიკიდა.

ტვირთი ძნელი სატარებელია, სიმძიმე ღლის და ასუსტებს ორგანიზმს, მაგრამ მას უფრო ადვილად იტანს ადამიანი, ვიდრე სულიერ განცდებსა და მწუხარებას.

ივანე უფრო ადვილად შეურიგდა თავის ხვედრს, ვიდრე მისი მეუღლე ელისაბედი, რომელმაც მკერდიდან საკუთარი შვილი მოიწყვიტა, ჩვილს ძუძუ გამოგლიჯა პირიდან, საკუთარი ოჯახი მიატოვა და სხვის ოჯახში გადაბარგდა ორიოდ გროშის გულისთვის.

ცუდ პირობებში არ მოხვდა საბრალო ქალი. მდიდრის ოჯახში მას არაფერი აკლდა, ურიგოდაც არ ეპყრობოდნენ, პატარა პირმშოს თავმდაბალ ძიძას დიდად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. მაგრამ ელისაბედისათვის ყველაფერი ეს უმნიშვნელო იყო დარდისა და ნალველის გასაქარვებლად.

შვილი ეგუება და ეჩვევა უდებობას. ძუძუმწოვარი ჩვილისათვის ყველა დედა და პატრონი, ვინც კი საზრდოს მიაწვდის და გამოკვებავს, მაგრამ დედისთვის მკერდიდან მოწყვეტილი შვილის დავიწყება და მწარე დარდის მონელება არ ეგების.

პატარა დათია უფრო ადვილად შეურიგდა უდებობას, ვიდრე დედა უმისობას. შვილებსა და ოჯახზე ფიქრით და დარდით ლაშქვებს თეთრად ათენებდა საბრალო ქალი. თუ ვინმე თანასოფელს შეხვდებოდა, მაშინვე თავისი ოჯახისა და შვილების ამბავს გამოკითხავდა...

იმედიანი სიტყვებით უმაგრებდნენ გულს ოჯახის დედას: ივანე კარგად უვლის შვილებსო, პატარა დათიაც იზრდება და ლამაზდებაო. მოსავალსაც კარგი პირი უჩანსო. მეზობლებიც კარგად არიანო.

ელისაბედს თითქმის ეჭვი არ ეპარებოდა თანასოფელთა ნამბობში, თუმცა გული ვერ დაემშვიდებინა. მოუთმენლად ელოდა იგი უფრო ახლობლის გამოჩენას, რომლის ნამბობს დაიჯერებდა და გულს დაიწყებდა რებდა.

და რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოაკითხა ივანემ სხვის ოჯახში ჩასახლებულ მეუღლეს და ოჯახის ამბავი ჩამოუტანა.

— როგორ არის ჩემს მიერ მოძულებული დათია? მას ენაცვალოს დედა. — ყველაზე უწინ ეს იკითხა დედამ



— ყველანი კარგად ვართ, ელისაბედ. რაი უნდა გაგვჭირებოდეს?

მაგრამ ივანე რომ რაღაცას მაღავედა, ხმაზე შენიშნა ელისაბედმა.

— დათიე რაღა არის-მეთქი, არ გეყურება?

— რაი უშავს... — მაგრამ თვალებიდან მოწყვეტილმა კურცხალმა გასცა ივანე და საბრალო დედას მწარე სინამდვილე გაუშეღავენა.

მას შემდეგ ელისაბედს დიდხანს არ მოწევია დიდუცის ოჯახში ძი-  
ძად ყოფნა, გლეხი ქალის რძით მოჩიტული გოგონა მშობლებმა კეთილ-  
შობილი გვარის ქალს ჩააბარეს აღსაზრდელად, ელისაბედს გამონაცვალ  
ძველმანებით აუესეს ბოლჩა, კუთვნილი გროშები მიუთვალეს და გაის-  
ტუმრეს.

„კაცსა მიჰხედეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,

მაშინ მისგან აღარა ხამს არდასულთა ჭირთა ხსოვნა“.

ამით დაამთავრა ვარლამმა თავისი მოგონება მწარე წარსულზე და  
შემომხედდა: — გამოგადგება ჩვენი ასაკის ადამიანთა ადრინდელი ცხოვ-  
რების გასაშუქებლად.

— მერედა, შენი აზრით, საჭიროა უკუღმართ დროთა გახსენება?

— უთუოდ, უთუოდ. — არ დააყოვნა პასუხი ვარლამმა. — ჩვენმა  
შვილებმა და შვილიშვილებმა, რომლებიც ასე ბედნიერად იზრდებიან და  
ლაღად ცხოვრობენ, უნდა იცოდნენ, როგორი ეკლიანი გზით უვლია მათ  
წინაპრებს, რა ცეცხლში წრთობილან და რაოდენი სისხლი და ოფლი  
დაუღვრიათ ერთხელ მოპოვებულ გამარჯვებათა დასამკვიდრებლად.

## დედინაცვალი

დღევანდელი მასპინძელი ჩემი კარგი მეგობარია. მართალია, დღემდე  
ჩვენ ერთმანეთის ოჯახში პურმარილი არ მიგვიღია, თუმცა ერთ სუფრა-  
ზე მრავალჯერ მოგვიღებნია. ალბათ, ამის მიზეზიც გვექონდა: ხან ოჯახური  
მდგომარეობა, ხან უდროობა, ხან კი ბინის სივიწროვე და შეუძლებლობა.  
დღეს თითქოს ყველაფერი გვიწყობდა ხელს და შემთხვევაც გამოვიყენეთ.  
პირველად მან გამოიჩინა ინიციატივა. წინაღობით გამაფრთხილა: ხვალ  
მცირე სადილი მექნება შინაურებთან და უსათუოდ მესტუმრეო. ცოტა არ  
იყოს, მეუხერხულა, მაგრამ უარი ვერ ვკადრე და მეორე დღეს სადილო-  
ბის უკან ვეწვიე. ესამოვნა. მეუღლე და სტუმრები წარმომიდგინა. ჩვენ  
ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ჩამოვსხედით.

არაუშავს ცხოვრობს ჩემი მეგობარი. რასაკვირველია, არა ისე, რო-  
გორც იმ თანამდებობისა და მდგომარეობის პირს შეეძლო მოწყობილიყო  
და ეცხოვრა, მაგრამ მისი ბუნებისა და შეხედულების ადამიანისათვის  
სხვანაირად წარმოუდგენელი იქნებოდა. კაცი, რომელიც მისთვის მინდო-  
ბილი საქმის ერთგულია, უანგარო და პატიოსანი, სიხარბე და გაუმაძღრო-  
ბა არ ახასიათებს, მუდამ გულმშვიდი და ბედნიერია. ასეთი იყო ჩემი





მეგობარიც. სახელმწიფო და სახალხო ინტერესები მიაჩნდა პირად და პირველ საზრუნავ საქმედ, საკუთარ ბედნიერებაზე თითქმის არც კი ფიქრობდა. კეთილი და უანგარო მუშაკი ყველას უყვარდა და მეც ეს თვისებები მაკავშირებდა მასთან.

„გული გულს იცნობსო“, ნათქვამია. ალბათ, ამისდამიხედვით მეგობრდებიან ადამიანებიც. მეგობრდებიან მაშინ, როდესაც გული გულს იცნობს, მაგრამ ეს მხოლოდ კეთილი ნების ადამიანებზე ითქმის. უკეთურნი და ბოროტებიც ეცნობიან ურთიერთს გულის მიხედვით, დაახლოვდებიან, მაგრამ ვერ მეგობრდებიან...

მეგობრობა, ამხანაგობა და სიყვარული კეთილშობილ ადამიანთა თვისება და ხვედრია.

ის იყო დიასახლისი სუფრის გაწყობას მორჩა, რომ ორი სტუმარიც შემოგვემატა—ახალგაზრდა ქერა ქალი და შუახნის შავგვრემანი მამაკაცი.

— ჩემი ქვისლი და მისი მეუღლეა.— წამჩურჩულა ჩემმა მეგობარმა. დიასახლისი სიყვარულით მოეხვია ორთავეს და გულში ჩაიკრა. შემდეგ გვერდით მიუჯდა და გაესაუბრა.

თუ ახალგაზრდობილი კაცი ჩემი მეგობრის ქვისლია, იმ შემთხვევაში მისი მეუღლე და ჩვენი დიასახლისი მკვიდრი დები იქნებიან. — გავიფიქრე მე და მზერა ამ ორ ქალზე გადავიტანე.

ისინი სრულიად არ გავდნენ ერთმანეთს. არ გავდნენ, არამც თუ დედამამიწვილობით, არამედ ეროვნებითაც კი. დიასახლისი სამხრეთელი ქალის ტიპია, ქართული თვალწარბი და სწორი ცხვირი ამშვენებს, სტუმარი ქალი კი ჩრდილოელის იერისაა: ქერა თმა, ლურჯი თვალები, პაჭუა ცხვირი. ქართულს გურული აქცენტით ლაპარაკობს, მაგრამ ზოგიერთი სიტყვის გამოთქმაში მიხვდებით, რომ არც ამ კუთხის ქალია. ალბათ, რომელიმე გურული გლეხის ოჯახის აღზრდილია, ან ნაშვილები. მაგრამ ამდენი ვარაუდის საშუალება აღარ მომცა დიასახლისმა. სუფრასთან მიგვიწვია.

— თამადად ეგვენის ვასახელებ. — სავსე ჭიქა ასწია მან და სუფრის თავში მჯდომ ქმარს გადახედა.

ჩემი მეგობარი ღიმილით მიუბრუნდა მეუღლეს:

— ქალო, ჩემს გარდა ვერავინ დაინახე აქ?

— რა ვიცი, სუფრის თავში შენ ზიხარ და ვიფიქრე, იქნებ ეწყინოს, სხვა რომ დავასახელო-მეთქი. — გაეხუმრა ცოლი.

— მართალი ბრძანდებით, მართალი! — დავუდასტურეთ დიასახლისს ჩვენც. — ეგვენი ისეთი კაცია, რომ ასეთ თანამდებობას სხვას არ დაუთმობს.

უხვ სუფრას და გემრიელ სასმელ-საჭმელს ტკბილი სიტყვა და საუბარი მოჰყვა. თამადამ სტუმარი ქალი ადღეგრძელა და მისი კეთილშობილობა აღნიშნა. დიასახლისი ჩემკენ გადმოიხარა და წამჩურჩულა:





— ვინც იცნობს მაგის ქალობას და კეთილშობილებას, კარგის თქმას არ დაზარდება.

— რა არის თქვენი?

— აკი გაგაცანით. და არის. ის კი მისი მეუღლე, ჩემი სიძე.

— მაპატიეთ, ასე გამაცანით, მაგრამ მე ძალიან სუსტი მეხსიერება მაქვს და... მართალი რომ ვითხრათ...

— არ ვგავართ ერთმანეთს?

— დიას, ასე უნდა მეთქვა.

— მართალი ბრძანდებით. ერთი დედ-მამის შვილი არა ვართ, მაგრამ... და ერთი ამბავი მომიყვამ:

ანდრო კოჭენიძეს რომ მეუღლე გარდაეცვალა, სამი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა მოსავლე-აღსაზრდელი. ორი ხუთი-ექვსი წლის ვაჟი, ხოლო მესამე ორი წლის. გოგონა. ხელმარტო კაცისათვის მეტად ძნელი იყო ასეთ მდგომარეობაში ოჯახის გაძღოლა და პატარების მოვლა, განსაკუთრებით გოგონასი, რომელიც ის იყო ახლად იწყებდა სიარულს და აჭიკჭიკებას. „მკვდარს ტირილი ვერ მოარჩენს, შველა უნდა საღს და მთელსო“ — მოაგონდა პოეტის სიტყვები უდროოდ დაქვრივებულს და საღად შეხედა საქმეს. ცოლი სამი თვეც არ უგლოვია, რომ ოჯახში ახალგაზრდა ქალი შემოიყვანა და უღელი გაუზიარა. ამ კუთხის ქალი მაინც მოეყვანათ, — აღაპარაკდნენ მეზობელი ქალები. დედინაცვალი ახლობელიც რა სიკეთეა, რომ სხვა ერისა და ტომის ქალი რა იყოსო.

ობლებმაც ხომ ავი თვალით შეხედეს ახალგაზრდა დედინაცვალს, რომელიც არც ასაკით იყო მათი დედობის შესაფერი, არც ზნე-ჩვეულებით. რაც მთავარია, არ იცოდა ქართული ენა, რომ მოფერებოდა და ღაყვავებით დაეახლოვებინა ბავშვები.

დედინაცვალი ოდითგანვე ცუდად იხსენიება, სიავისა და უკეთურობის სინონიმად არის ცნობილი. არც ერთ ზღაპარში არ აქებენ მას. ეს სიტყვა სიამოვნებითა და სიყვარულით არავის უთქვამს.

მაგრამ...

— დღეს სულ სხვა დრო და ხანაა შვილო. დედინაცვლის სახელს ნუ მიიკუთვნებ, ჩემო ძვირფასო. დედის მაგივრად მოევლინე ობლებს და დედად გაუხდი. — ასე დაუბარა მშობელმა დედამ თავის ქალიშვილს და გზა დაულოცა.

— კაცი უცხოა და სხვა ტომის შვილი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში გარდა სასაუბრო ენისა აღარაფერი ანსხვავებს ერთმანეთისაგან ადამიანებს. ქართული ენა და ზნე-ჩვეულება მშობლიურ ენასა და ჩვეულებას უნდა შეუერთო და შეუგუო. გახსოვდეს, რომ ამქვეყნად ცხოვრებას სიყვარული და სიკეთე ალამაზებს და ამშვენებს. — აქესენტი კრიშევიმიძე ასეთი დარიგება მისცა თავის ქალიშვილს და ქმარს ჩააბარა. — იკურობეთ, იმ-



რაცლეთ და იბედნიერეთ, შვილებო. — დალოცა და ბოლოს გუბრისაქენ გამოამგზავრა.

და ჩრდილოელი კახაის ქალიშვილი შევიდა გურული გლეხის ოჯახში, როგორც უცხო და უცნობი, მაგრამ სულით და გულით მინდობილი.

ყველაზე უწინ ახალფეხადგმულ გერს გაცნო და დაუახლოვდა დედინაცვალს. მათ უფრო ადრე გაუგეს ერთმანეთს. ერთად დაიწყეს ენის ამოდგმა. პატარა გერის ტიკტიკს აყოლებდა ხმას ახალგაზრდა დედინაცვალს. მალე განზე გამდგარი და გაბუტული ბიჭებიც შემობრუნდნენ ოჯახში შემოსული ახალგაზრდა მზრუნველისაკენ და, როცა მასში სიყვარულითა და სიკეთით სავსე გული აღმოაჩინეს, დაუახლოვდნენ და შეიყვარეს.

მართალია, მეზობლის ქალები კვლავ ჭორიკანობდნენ, საყვედურობდნენ ანდროს მისამართით, ავინებდნენ, წყევლიდნენ, ყოველგვარ წესის დამრღვევად რაცხდნენ, პირველი ცოლის უპატივცემლობას სწამებდნენ. ცოლისდამაც უსაყვედურა, გაუხანაყენდა და დაემღერა, მაგრამ ანდრო კმაყოფილი იყო იმით, რომ მისი ოჯახი უქალობას არ განიცდიდა და ბავშვებს შოვლა არ აკლდა.

ახალი ცოცხია, ჯერჯერობით კარგად ჰგვის, მაგრამ ნახეთ, მალე რა მოიმოქმედოს საქებარმა დედაკაცმაო, ამბობდნენ კოჭეხიძის საქციელით უკმაყოფილო მეზობლები და ნათესავები.

სამი თვის დაქორწინებული იყო ანდრო, როცა დიდი სამამულო ომამოცხადდა და სოფელი ვაჟკაცებისაგან დაიცალა.

— შენ იცი და შენმა ქალობამ, — უთხრა ანდრომ მეუღლეს, — ამ ბავშვებს თუ მოუვლი და პატრონობას გაუწევ, მე მკითხე შენი პატივისცემა. ცოცხალი თუ დავბრუნდი, გადავიხდი ამავს, თუ არა და კეთილი საქმე კეთილი გზით წარმართავს შენს ცხოვრებას.

მარომ პირობა მისცა ქმარს: ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც საჭიროა, ოჯახსაც მივხედავ, ბავშვებსაც მოვუვლი, შენ მხნედ იყავი, აქაურობის დარდს ნუ გაიყოლებო, მაგრამ ანდროს ახალგაზრდა ქალისაგან ამ პირობის შესრულების იმედი არ ჰქონდა.

არც მეზობლები მოელოდნენ ამგვარ სიკეთეს.

უცხო ერისა და ტომის კი არა, ახლობელი და თანასოფელი ქალი არ გაჩერდება გერებთან ოჯახში და ომში წასულ კაცს არ დაელოდებაო.

ყოველდღე ელოდნენ ობლების გზა-მარაზე გამოყრასა და ოჯახის დაყრუებას.

— მართალი გითხრათ, მეც ასე ვფიქრობდი. — გამომიტყდა დიასახლისი და სტუმარი ქალისაკენ გაიხედა. — ყოველდღე ველოდი სამწუხარო და საწყენ ამბავს. ყოფილ სიძეზე ნაწყენი ვიყავი და ვემღუროდი, ჩემი დის მაგივრად ოჯახში შემოყვანილ ქალს არ ვიცნობდი და არც მისი ნახვა-გაცნობა მსურდა, მაგრამ საწყალი ჩემი დისშვილების სანახავად



ჩვედი სადგურში და სოფლისაკენ გავყევი შარას. მივდივარ, მაგრამ ფეხი არ მემორჩილება. ვაი თუ ცოცხლები აღარ დამიხვდნენ, ან იქნებ კეთილ ადამიანებს ჰყავთ შეფარებული, სხვის კარზე იმყოფებიან და სამაღლოდ მიგდებულ ლუკმას ინაწილებენ. ან კიდევ...

ერთმანეთზე უარესი და უარესი მეხატებოდა თვალწინ

სამი ბავშვი, მომავალი სამი ადამიანი, ჩემი დის თბილ დარჩენილი შვილები. უპატრონოდ, განუკითხავად მიტოვებული პატარები...

მერე, მეპატიება მე მათი ბედის ასე მივიწყება? მე ხომ მათი მკვიდრი დეიდა ვარ, ყველაზე უფრო ახლობელი, სისხლი და ხორცი?!

უფრო სასტიკი განაჩენი რომ არ მიმეზლო საკუთარი თავისათვის, შემამსუბუქებელი მიზეზებიც აღმოვაჩინე. მართლაც, არც ისე დიდი დანაშავე ვარ: ერთი რომ ჩემს სიძეს არ ეპატიება ჩემი დის გამოუგლოვებლად მეორე ცოლის შერთვა, უცხო ტომისა და ერის ქალის ოჯახში ზოგვანა და პატარების მასზე მინდობა... მაინც ვერ მოვიშუშე გული ამ მოტივებით. მაინც ვერ ვაპატიე ჩემ თავს დანაშაული.

ამ ფიქრებსა და საკუთარ თავთან სჯაბასში გართული ყოფილი სიძის კიშკარს მივუახლოვდი და ეზოში გადავიხედე.

ხის ძირას, მწვანეზე სამი ბავშვი ზის. ორი წიგნს კითხულობს, მესამეს, პატარა გოგონას ხელში თვითნაკეთი თოჯინა უჭირავს და ეთამაშება... ჩემი დისშვილებია, მაგრამ დავიჯერო, ასე მოვლილი ყავს ვინმეს?

პირველად გოგონამ შემნიშნა და მომეგება:

— ვის ეძებ, დეიდა? — მეკითხება იგი და მომჩერებია.

— შენ ვინ ხარ? — პასუხის ნაცვლად ვეკითხები მე.

— ცილა ვარ... ეს ჩემი დედოფალაა. დედამ გამიკეთა. მე კიდევ მაქვს სათამაშოები. ბაბაი რომ ომიდან დაბრუნდება, ბევრ სათამაშოს მომიტანს.

— ომშია მამაშენი?

— ჰო, ომშია. ფაშისტებს ეჩხუბება. დედა ამბობს: მალე გამოგზავნის წერილსო. სულ ფოსტალიონს ელოდება.

— დეიდა გყავს?

— დეიდაც მყავს, მაგრამ იგი შორს არის. დედა მეუბნება, როცა ჩამოვა, კარგად უნდა დაუხვდეთო. ორი კაბა მაქვს სულ ახალ-ახალი.

— სად არის ახლა დედაშენი?

— ჩაის საკრეფად. ჩვენი ქალები სულ იქ არიან.

ჩვენს საუბარს ბიჭებმაც მიაქციეს ყურადღება, წამოცვივდნენ და მომაშურეს.

— დეიდა! — მიცნო უფროსმა ვაჟმა, მომვარდა და გულში ჩამეკრა.

— დეიდა! — მიბაძა მას უმცროსმა, მაგრამ გოგონა ჯერ კიდევ გაოგნებული იდგა ერთ ადგილას.



—ეს არის იგი დეიდა, ჩამოვაო, რომ ჩიოდა დედა,—უთხრა გოგონას მამამ.

— ჩვენი დეიდა?! — აფრთქალდა გოგონა და მომეხვია. — წამოდი სახლში, ჩემი კაბები გაჩვენო. — და სახლისაკენ გაიწვია.

— მე წავალ და დედას ვაცნობებ.—თქვა უფროსმა ბიჭმა და გაიქცა. ჩვენ სახლში შევედით. კარგი მომვლელისა და მზრუნველის ხელი აჩნდა ყველაფერს. ბავშვებისათვის ცალ-ცალკე ლოგინი, საგარეო და საშინაო ტანსაცმელი, ერთი სიტყვით, ომიანობის პირობებში ბევრ ბედნიერ, პატრონიან ოჯახს შეშურდებოდა ასე კარგად მოვლილი ოჯახი და ისიც მარტოხელა ქალის ხელით.

უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდი. ვინანე, აქამდე რომ ვერ ვინახულე ღვიძლი დის მაგიერი, ჩემი დის ობოლი შვილების მზრუნველ-პატრონი. ფრთხილად, მაგრამ მაინც გამოვკითხე ბავშვებს ამ კეთილი ქალის შესახებ ზოგი რამ, რაზედაც გულწრფელად და პირუთვნელად მიპასუხეს. პირველად გვეშინოდა, ვერიდებოდით, მისი ენა ჩვენ არ გვესმოდა, ჩვენი მას, მაგრამ მამა რომ ომში წავიდა და მარტო დავრჩით, მაშინ ერთმანეთის ენაც ვისწავლეთ და დედა-შვილებიც გავხდით. ამიხსნა ბიჭმა.

ოჯახი დავათვალიერე. კარგი დიასახლისის ხელი ატყვია. გამრჩე ქალი ყოფილა მარია აქესენტის ასული. ბარაქლა მის ქალობას!

ცოტა ხნის შემდეგ ისიც შემოიჭრა ეზოში. შემკრთალი, დარცხვნილი შეშინებული, მაგრამ ამავე დროს პირნათელი და კმაყოფილი.

მე მას კარებთან შევეგებე. სიტყვა არ მითქვამს, ცრემლმოზრეული მოვეჩვიე, გულში ჩავიკარი და გადავკოცნე.

— აი ასეთი ქალი გახლავთ, ბატონებო, ჩემი დის მაგიერი მარია აქესენტის ასული. — და დიასახლისი კვლავ მოეხვია ქებისაგან დარცხვნილსა და სახეაჭარხლებულ სტუმარ ქალს.

— უსათუოდ ზოტბის ღირსია, — ჩავილაპარაკე მე და თამადას შევხედე.

— უსათუოდ. — დამიდასტურა ევგენიმ და სასმისი ასწია. — მაშ, ახლა ნება მიბოძეთ მეორედ შევსვა სადღეგრძელო იმ ქალისა, რომელმაც ჩვენი ღროის დედინაცვალი მშობელ დედად აქცია და ობლებს მშობელი დედა დაუბრუნა.

ჩვენც სასმისები შევავსეთ.

— ალბათ, მალე ანდროც დაგიბრუნდათ და წამოგეშველათ? — ვკითხე მას.

— ცალიან კაი მალე, ბატონო. — გაიღიმა მარია აქესენტის ასულმა, — ვაჟები საცოლშვილო დავახვედრე, ციცაი გასათხოვარი.

— მართლა? — ახლა ანდროს მივუბრუნდი მე.

— სწორია. სამ თვეს ტყვედ ვიყავი. იქიდან გავიპარე და პარტიზა-





ნებს შევუერთდი. ვიბრძოდით ხან აქ, ხან იქ. აფრიკაშიც კი მომიხდა ყოფნა. ათ წელზე მეტს დავყავი უცხოეთში.

— ჩვენ კი მკვდარი გვეგონა, ბატონო. — დაუმატა მარიამ და ქმარს მხარზე დაადო ხელი.

— კეთილი ადამიანები არ კვდებიან, ჩემო ძვირფასო! — ვუთხარი მე და ორივე ხელი ჩამოვართვი.

## უმცროსი ძმა

დედას ობლების დამყრელსა

ყელზე ხვევია გველია.

ხალხური.

იგი ტანმორჩილი, ლამაზი გოგონაა. ბოდიშის მოხდით შემოვიდა და შეთავაზებულ სკამზე მოკრძალებით ჩამოჯდა.

ვგრძნობ, რალაც აქვს სათქმელი, მოსაყოლი, მაგრამ ვერ ბედავს, დუმს და საკუთარ თითებს აწვალებს.

დუმის ისევ მე ვარღვევ და ვეკითხები, სადაურია და როდის ჩამობრძანდა.

— ბრძანება თქვენი იყოს, დღეს ჩამოვედი. — მიპასუხა მან და ამ პასუხით მივხვდი, რომ იგი აჭარის მთიანი რაიონიდან არის. იქაურებს ჩვე-ვიათ ასე თავაზიანი სიტყვა-პასუხი.

— დიახ, იქაური ვარ. იქ ვცხოვრობ, იქ ვმსახურობ. — დამისახელა სოფელიც.

ვიცნობ იმ სოფელს, აჭარისწყლის ხეობაში ერთ-ერთი ლამაზი ადგილია. გემრიელი ხილი მოდის, თამბაქოც მოჰყავთ; ერთი ჩანია ვენახიც დაუბრუნეს ნავენახარს და მარნები ზღუშხუნა ღვინით აავსეს.

— თქვენი სახელი?

— ზაირა.

და ამბავი იწყება ამნაირად:

ზაირას მამა სამამულო ომში დაიღუპა. ოთხი შვილი დაობლდა.

ზოგიერთი ქალისათვის უღირსი არის დედის სახელი...

მიატოვა ობლები ზაირას დედამ და მეორე ქმარს გაჰყვა.

მეზობლებმა მიხედეს ობლებს, პატარა ზაირა და მისი უმცროსი ძმა ბათუმში ჩამოიყვანეს და უდედმამო ბავშვთა სახლში მიაბარეს, დანარჩენ ორს სოფელშივე გაუწიეს პატრონობა.

ომის ცეცხლი ბობოქრობდა. რჩეულ ვაჟკაცებთან ერთად ქვეყნის ქონება და დოვლათი ისპობოდა და ნადგურდებოდა. სჭირდა სურსათ-სა-ნოვავე, სჭირდა სამოსელის შოვნა, მაგრამ მეომართა ოჯახებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. უდედმამოდ დარჩენილებს





არ აკლებდნენ მოვლას, მაგრამ მშობლიურ ალერსს მოკლებულებს. მინდოდა  
ცოტა ნუგეშს ჰგვრიდა ეს მზრუნველობა.

ყოველ დილით ნახულობდა ზაირა თავის პატარა ძმას. საღამომდე  
მასთან იყო. ერთად ჭამდნენ და სვამდნენ, ერთად თამაშობდნენ, მხოლოდ  
სხვადასხვა ოთახში აძინებდნენ. დილით ისევ სვდებოდნენ ერთმანეთს...  
ისევ ერთად იყვნენ...

ასე ატარებდნენ დღეებს უდღემამო ბავშვთა სახლში ზაირა და მისი  
თანატოლები. ეჩვეოდნენ ერთმანეთსა და აღმზრდელებს.

ერთხელ, დილით, ბავშვებს შორის ზაირამ ძმა ვერ შენიშნა და შე-  
წუხდა. მთელი სახლი მოიარა, ყველგან შეიხედ-შეიჭვრიტა, მაგრამ ძმა  
რომ ვერ იპოვნა, ატირდა.

მომვლენები ზაირას მოეფერნენ, დაუყვავეს, გაართეს და დაამშვი-  
დეს. მალე მოგიყვანთ, მალე განახვებთო, ეუბნებოდნენ, მაგრამ დღეებს  
თვეები მიჰყვებოდა, თვეებს წლებიც მიჰყვა და ეს „მალე“ დიდი ხნის  
ლოდინად გადაექცა გოგონას.

შეურიგდა თუ შეეჩვია თავის ხვედრს ზაირა. ალბათ, იზრდება ვაჟი  
ვაჟებთან, — ფიქრობდა იგი, — დავაყვაცდება, დასრულდება და მომძებნი-  
სო...

მოხუცებული წარსულით ცოცხლობს, ახალგაზრდა — მომავლით.  
ზაირაც მომავლით ცხოვრობდა და სულდგმულობდა. გავიდა ხანი. გაი-  
ზარდა ზაირა. დასრულდა, დაქალდა, სწავლა-განათლება მიიღო, საკუთარ  
სოფელს დაუბრუნდა, სამსახურში მოეწყო, მაგრამ ის ბიჭი?!

და ახლა უფრო მოეკიდა გულზე ცეცხლი.

მოკვდა და არ გაუმხილეს?

გაგზავნეს სადმე და ვერ იპოვნეს?

აქამდე თუ მოფერებითა და დაყვავებით შეიძლებოდა ზაირას დაჯე-  
რება და დამშვიდება, ახლა... დარდებს დაემსჭვალა გოგონას გული.  
„ჩვენს ქვეყანაში ადამიანი ასე როგორ უნდა დაიკარგოს?“ ფიქრობდა იგი.

ბავშვთა სახლის იმდროინდელი აღმზრდელებიდან არავინ გაუმ-  
ელაგნა ზაირას ძმის ამბავი. ვერ უთხრეს სინამდვილე, ზოგს საქმის ვარ-  
თულების შეეშინდა, ზოგს დაერიდა, ზოგმა კი შეიბრალა ძმის მაძებარი  
ქალიშვილი. მაგრამ ზაირა ხომ პატარა აღარაა, გზა ვერ იპოვნოს, ვერ გა-  
მონახოს საჭირო საშუალება?!

და შეუდგა ძებნას: საბჭოთა ორგანოების, გაზეთებისა და ნაცნობ-  
მეგობრების დახმარებით... შეუდგა ძებნას და...

— როგორც იქნა ვიპოვე... აღმოვაჩინე.! — აღტაცებით მეუბნება  
ჩემი სტუმარი ქალიშვილი და სახე უბრწყინავს.

— იპოვნეთ?! მომილოცავს! — ვიზიარებ მის კმაყოფილებასა და სი-  
ხარულს.



— დიახ, ვიპოვე, მაგრამ... — უეცრად სახეზე ბინდი გაეცა გონას. — ვიპოვე, მაგრამ... არა ჩემი ძმა...

— როგორ თუ არა თქვენი ძმა?! შეცდომით ვინმე სხვაზე განიშნეს?!

— არა, არა, მე ნამდვილად ჩემი ღვიძლი ძმა ვიპოვე, მაგრამ სხვისი შვილი.

— არ მესმის!

— როგორ არ გესმით?! სისხლითა და ხორციით ჩემი ძმაა, დედაჩემის შობილი, მისი ძუძუნაწოვი, მაგრამ ახლა სხვისი შვილია, სხვის ოჯახში ცხოვრობს, სხვის სახელზე იზრდება.

— მაგრამ ცოცხალია და დავაუკაცებელი?

— დიახ, ცოცხალია და დავაუკაცებელი. მეოთხე კურსის სტუდენტია.

— ძალიან კარგი, უკეთესი რა გასურდა მისთვის?

— მისთვის?! იგი კმაყოფილი და ბედნიერია, მაგრამ... მე მინდა ძმა მყავდეს... დიახ, მე მინდოდა... სწორედ ამიტომ მოვედი თქვენთან, რომ რჩევა მოგეცათ... მას ახლა მშობლები ჰყავს. მამა, დედა, ნათესავები... დოვლათით სახსრს ოჯახი. გავიცანი მე ისინი. მეტისმეტად კეთილი კაცია ბარნაბ ქ-ვა. დიდი შრომა გაუწევია მას ჩემი ძმის აღსაზრდელად. უდემამო ბავშვთა სახლიდან გაყვანილი ბავშვი შვილად მიუღია, საკუთარ საცხოვრებელში შეუფარებია და მთელი ქონების მონაწილე გაუბოძა, მაგრამ... მეც ხომ ძმა მინდა!

— და გასურს წაართვა აღმზრდელებს იგი?

ზაირა ჩაფიქრდა.

— წავართვა?! შვილი როგორ უნდა წავართვა, მაგრამ... ჩემი ძმა რომ არის? მე ხომ მიყვარდა და მიყვარს იგი? რამდენი ცრემლი მიღვრია მისი დაკარგვის გამო, რამდენი ენერგია დამიხარჯავს მის ძებნაში!...

— ჰოდა, შენს შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ძმა გიპოვნია, მისი აღმზრდელი, კეთილი ადამიანები გაგიცნია.

— მაგრამ ჩემი ძმა? — მაინც ჯიუტად იმეორებდა ქალიშვილი.

— რა აზრის არის, ხომ არ უარყოფს, რომ შენ მისი და ხარ?

— არა. როცა შეეხვდი და გავიცანი, გაეხარდა. ძლივს აღიდგინა მეხსიერებაში ჩარჩენილი ძველი ამბავი. მოიგონა, უდემამოსა და უბატრონოს, როგორ ერთბაშად გაუჩნდა ორივე ერთად, როგორი სიყვარულითა და სიხარულით მიიღეს უცნობ ოჯახში... შემდეგ თანდათან ყველაფერა დაივიწყა და აჭარელი გლეხკაცის შვილი, მეგრელი გლეხკაცის მემკვიდრე გახდა.

— მე მაინც მისი აზრი მაინტერესებს, — ვეუბნები მე.

— მას უნდა ვყავდე ერთგულ დად და მეგობრად. იყოს ჩემი ძმა და ნათესავი, მაგრამ ამავე დროს არ სურს დასტოვოს უცხო ოჯახი და მამისეულ კერას დაუბრუნდეს.

— ვფიქრობ, არ ცდება ამ შემთხვევაში. — ვეუბნები მე. — მართალია,



სისხლისა და ხორცის უარყოფა არ არის კარგი, მკვიდრი მშობლების, მე-  
ვიწყება საძრახისია, მაგრამ... ყველაზე უფრო ვინ გიყვარს შენ და ვის  
აფასებ?

ჩემი ახალგაზრდა სტუმარი ჩაფიქრდა.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, მშობლების მივიწყება საძრახისია, მაგ-  
რამ მე... იქნება გამიმტყუნოთ, მაგრამ... მე ვინც აღმზარდა და მიპატრო-  
ნა, უფრო იმის მადლობელი ვარ... მამა არ მახსოვს. არ ვიცი როგორ უნ-  
და მიყვარდეს იგი, ხოლო დედაჩემზე უფრო მიყვარს აღმზრდელი ადამი-  
ანები და ჩვენი ქვეყანა. — და რას იტყვისო, მე შემომხედა.

— მაშ, რატომ გიკვირს, თქვენს ძმას უყვარდეს ისინი, ვინც მას ამა-  
გი დასდო და აღზარდა?

— არა, არ მიკვირს და არც ვუმტყუნებ, მაგრამ... მეც მინდა მყავდეს  
მოკეთებები და ნათესავი, ვიყო ჩემ ძმასავით ბედნიერი და კმაყოფილი...  
არ ვგრძნობდე თავს მართოდ და ობლად.

საკუთარი ძმის გასხვისებას მაინც ვერ შეირიგებოდა ჩემი თანამოსა-  
უბრე. გაუმხელელი ეგოიზმი მაინც სუნთქავდა მასში.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ კოლექტივში გაიზარდეთ,— ვუთხარი მე. —  
სხვადასხვა ოჯახის, სხვადასხვა კუთხისა და ეროვნების შვილებთან. იქ  
ხომ ერთმანეთის დაძმები იყავით, ახლაც ხომ გახარებთ მათი ნახვა-  
შეხვედრა?

— ალტაცებით ვეხვევით ერთიმეორეს. — დამიდასტურა ზაირამ.

— მერე ხომ არავის წყენია და გიშლის ასეთ საქციელს? ხომ არავის  
შეშურს და ეხარბება?

— ვის შეუძლია დაგვიშალოს ჩვენ მეგობრობა? — კითხვითვე  
მიპასუხა მან. — ჩვენ, ყველას, ურთიერთის სიყვარული უნდა გვაშეგო-  
ბრებდეს. და გვაშეგობრებს კიდევ.

— მართალია. და ამიტომაც ნუ ჩაერევით თქვენი ძმის ცხოვრებაში  
არასასურველი განზრახვით. ის კეთილი ადამიანები, რომლებსაც ასე შე-  
მოუბრუნებიათ უდემამოდ დარჩენილი ბავშვის ბედი, მადლობის დადი-  
ლი სიყვარულის ღირსნი არიან.

— მეც მადლიერებით ვიხსენიებ, მაგრამ იცით რა... ღვიძლ ძმას  
რომ არ დამიკარგავდნენ...

— განა გიშლიან მასთან შეხვედრას და მეგობრობას?

— პირიქით! — თვალები გაუბრწყინდა ქალიშვილს. — შემომთავაზეს,  
შვილად გაგვიხდი, შენი ძმის ბედი და ჩვენი ოჯახის ჭირი და ღვინი გაი-  
ზიარო.

— მერე, თქვენ?

— ენა დამება, დავიბენი. ვერაფერი ვუპასუხე. მადლობა გადავუხა-  
დე და წამოვედი.

— და კეთილი ოჯახის გულწრფელი რჩევა უარჰყავი?



— არა, უარი არ მითქვამს, დასტურიც არ მიმიცია. ვნახოთ, ცხოვრება და მომავალი რას მიკარნახებს... მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ დაკარგული ძმა ვიპოვნე და გამოვეცანი. და თუ თქვენც მირჩევთ, დაე, დარჩეს ყველაფერი კვლავინდებურად, ითვლებოდეს ჩემი ძმა ჩემად, მისი კეთილი აღმზრდელები ჩემს მეორე მშობლებად და მეგობრებად. ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი და მეც მას უნდა მივეწოდო.

მომეწონა მისი ნათქვამი.

— საწუწუნო და დასანანი არაფერი გქონია, ჩემო კეთილო. — ვუთხარი მე. — ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა მით არის ასე კარგი და მომხიბვლელი, რომ ჩვენში ბევრია კეთილი ნების ადამიანი და ოჯახი, რომლებსაც გული თბილი აქვთ და კარები ღია ერთმანეთის მისაღებად და დასახმარებლად... ბედნიერი ყოფილიყოს ამ ხალხისა და ადამიანების მომავალი, ჩემო ძვირფასო!

ზაირამ მაღლობა გადამიხადა, პაწია ხელი ჩამომართვა და ჩვენ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

მე





## ჯაქალ ჯაქალი

ლ პ ნ ი ნ ი

ეს მე ვარ ერთი და უთვალავი  
და მეტიც, ვინაც ნახა ლენინი,  
რადგან ლენინი ქუჩაში დადის  
და დიდ სიცხადეს ჰქვია ლენინი.  
დიახ, მე ვნახე დიდი ლენინი,  
რადგანაც მახსოვს გაჩენის დღიდან  
მზე და ცისკარი აღმოვლენილი  
დიდი ლენინის გულივით წმინდა!  
ვნახე ლენინი!  
სადაც ახალი  
აღმშენებლები თლიან, აგებენ,  
იქ, სადაც წვდება აზრი მაღალი  
და ლენინურად ახლის გაგება;  
სადაც აგებენ კაშხალს თუ ბრძმედებს  
და კოსმოდრომთან ხვდებიან მგზავრებს,  
სადაც მზე ადგას ბავშვებს და დედებს  
და სამშვიდობოს რეკავენ ზარებს.  
დიახ, მე ვნახე მთელი სიცხადით,  
როგორც ცისკარი აღმოვლენილი...  
გაზაფხულივით მიწაზე დადის,  
მთელ პლანეტაზე დადის ლენინი.



## ოქტომბრის დილა... მაშის ღიმილი...

როცა ოქტომბრის დილა თენდება,  
 ყოველთვის ის დღე გამახსენდება.  
 ერთი კარგი დღე — სიყრმის დღიდანა,  
 გამორჩეული ლამაზ ფერითა  
 მარად სახსოვარ დამრჩა თარიღად;  
 როცა მშობლიურ, სათნო ღიმილით,  
 მამამ ალამი შინ მომიტანა,  
 და მითხრა, ხვალე ოქტომბერი,  
 სოფლის ზეიმზე მე შენ წაგიყვან!  
 ის ღამე იყო ღამე უგრძესი,  
 და როგორც იქნა, მაინც გათენდა.  
 ოქტომბრის დილა,  
 მამლის ყივილი,  
 გაღვიძებული მაშის ღიმილი.  
 და მეწამული ჩემი ალამი,  
 ყოველთვის ერთად გამახსენდება,  
 როცა ოქტომბრის დილა თენდება.  
 მაშინ მეგონა ქვეყანა ვნახე, —  
 ვნახე მსოფლიოს ხმები მქუხარი,  
 მეგონა ყელზეც დროშა ეკეთათ.  
 — მე ამიყვანე, —  
 მამას ვუთხარი, —  
 თორემ ოქტომბერს კარგად ვერ ვხედავ!  
 ეს ყოველივე გამახსენდება  
 როცა ოქტომბრის დილა თენდება.  
 ოქტომბრის დილა,  
 მამლის ყივილი,  
 ჩემი ალამი,  
 მაშის ღიმილი  
 ჩემი ბავშვობა,  
 სოფლის ზეიმი... გამახსენდება....  
 ახლა ოქტომბერს კრემლის კედელთან  
 ვხვდები და ყველგან ოქტომბერს ვხედავ.  
 და როცა ის დღე გამახსენდება,



ჩემი პირველი ზეიმის დილა,  
 ასე მგონია, ეს დღეც ის არი!  
 თლონდ გაზრდილა ეს ყოველივე  
 და მეც გაგზრდილვარ...  
 კრემლზე რომ დიდი დროშა გაშლილა,  
 ვფიქრობ-ალამი ჩემი გაზრდილა.  
 მზეც თითქოს არის მამის ღიმილი,  
 კურანტთა ჟღერა—მამლის ყივილი-  
 და მოზეიმე ქვეყანა მთელი, —  
 ჩემი სოფელი!...  
 ასე გაზრდილა მაშინდელი დღე,  
 ასე გაზრდილა მთელი ქვეყანა.  
 და თითქოს, იმ დღეს,  
 მამამ ზეიმზე  
 დამტოვა, სახლში არ წამიყვანა...

## ლალ სილიზვილი

### სამსხვერპლოდ შენდა...

ამატანინე ტვირთი ჩემი საწუთროდ ზედა...  
 დამადებინე თავი ჩემი სამსხვერპლოდ შენდა...  
 ხომ გახსოვს, გახსოვს, კრწანისის სევდა.  
 რა მოსატანი არის ახლა ჭილაძე შედან.  
 განგებ არ ვამბობ სხვა სახელებს, უბრალოდ მინდა,  
 არ ჩამომართვა მკრეხელობად და იგულისხმე...  
 როცა დაიწყებ შუშანიკიდან,  
 არ გამოტოვო ყველა შურის ხე,  
 რომელიც ყველა კაცის გულში ხარობდა ფრიად  
 და ყველა კაცის ბედისწერა ეკიდა ხეზე.  
 კაცი, რომელიც გატეხდა ხმიაღს,  
 ის ამავე დროს ფიქრობდა შენზე.  
 შობდა თუ ზრდიდა,  
 ძმობდა თუ კლავდა,  
 სიკეთის ნერგი ხარობდა ირგვლივ.



ყველგან და ყველგან იგი კაცს ჰგავდა  
და რასაც ჰგავდა, თვით იყო იგი.  
იყო ალერსში შვილთან თუ ცოლთან,  
თუ ცხოვრებაში უტკბობდა რიგითს,  
მან სიყვარულის იცოდა წონა  
და შენს სიყვარულს ნიშნავდა იგი.  
მდინარეები მთისა და ბარის,  
დღისა და ღამის უღევი დავა,  
გამოსარჩლება მზისა და მთვარის, —  
გადაქცეული ჩვენა ვართ თავად.  
ხმაური დილის,  
თუ ჩქროლა ხალხის,  
განუყოფელი ჰოცა და არაც,  
სურვილი წვდომის, სურვილი ნახვის...  
გადაქცეული — ჩვენა ვართ თავად.  
ქვა,  
ზეცა,  
მიწა,  
თუ ხე ირიბა:  
ჩვენში ცხოვრობდნენ ყველა ისინი.  
ამიტომ შენი ცრემლით ვტირივართ,  
ამიტომ შენი ცრემლით ვიცინით.  
ატაცებული ჩვენი ფიქრები შეერთდეს ძლიერ  
და როგორც ცეცხლის ბირთვი ისე ავარდეს ცაში.  
და თუ მოგონილ ღმერთებს ვერ ვძლიეთ,  
ჩვენ მოვიგონებთ ახალ ღმერთს მაშინ.  
და ეს სამყარო  
ერთი ხელის მოქნევის ხელა,  
სულ იქით მისწით  
რომ ჩაეტეოს ამ დღეში ყველა.





## პოიზონი ქაქოვსკი

### შენველრა გზაში

გვიანი შემოდგომის მზიანი დღე იდგა. მანქანით ნოვი ტარგიდან კრაკოვში მივდიოდით. კრაკოვში ცის ქვეშ თეთრად ქათქათებდნენ ბრტყელეკას ფოთლები, ბრწყინავდა პირველი თოვლი. მთისძირში შრილებდა ხშირი ფიჭვნარი, წითელ-ყვითელ ფერებად ელავდნენ რცხილის, მუხისა და ბზის ფოთლები, ზოგი მათგანი ნელი ტრიალით ეცემოდა გახუტებულ ბალახზე. პატარა მთის სოფლებში ალისფრად მოჩანდნენ სააღდგომო დროშები და ტრანსპარანტები.

ნორჩი ფიჭვის ტყიდან მოულოდნელად გამოვიდა ქალი, რომელსაც ხელში პატარა კალათა ეჭირა. მან ხელი დამიჭნია, მანქანის გაჩერება მთხოვა და მსუბუქი, მოზღვნილი ნაბიჯით ჩემსკენ წამოვიდა. ქალი ძალზე ახალგაზრდა მეჩვენა. როცა დაღარულ სახის ნაკვთებსა და ჭაღარა თმას დაუყვირდი, მივხვდი, ხნეირი იყო.

— წამიყვანეთ გეთაყვა! — მთხოვა ღიმილით. მე თეთრად ჩაწყობილი კბილების ელვამ გამაოცა.

— საით მიდიხართ, დეიდა? — დავინტერესდი მე.

— კრაკოვში, ბადიში უნდა ვინახულო — თქვა სოფელი ქალის ჩვეული დამაჯერებლობით. — მასთან წიგნები მიმაქვს, ჩვენი სოფლის მაღაზიაში იყიდებოდა. მოგესხენებათ, ქალაქში ასე იოლად ვერ იშოვი.

— მაინც რა წიგნებია?

— სასწავლო წიგნები გახლავთ, ერთი მათგანი რუსული ენის სახელმძღვანელოა, ჩემი ბადიში რუსულ ენას სწავლობს.

— ეჰ, საყვარელო, — ხელები კალთაზე დაიწყო და მშვიდად განაგრძო, — მან არ იცის რა ბედნიერება ხვდა წილად, ახლა მისი მოვალეობა მხოლოდ სწავლაა და მეტი არაფერი. სადილს ცხვირწინ უდგამენ, ძროხის წველას არავინ ავალებს და ბატებს საძოვარზე როდი მიერეკება. მე კი ახლაც მახსოვს როგორ მისუსხავდა ფეხს ყინვა, ბატებიც თითქმის ჯინაზე იფანტებოდნენ. ქოხში დედას ცხრა შვილი ყავდით. მუდამ ფაცა ფუცში იყო, ჩემთვის ვის ეცალა. ხელმოკლედ ვცხოვრობდით. ნავთის მომჭირნეობაც აუცილებელი იყო. ღამით ვიწრო მაგიდაზე თუ პატარა



ადგილს დაეჭირდი, სადაც ლამფის შუქი მოატანდა, ეს ჩემთვის ბედნიერება იყო, რათა წიგნში ჩამეხედა.

კალათიანი ქალი საუბარს აგრძელებდა, მეც სიამოვნებით ვუსმენდი. — მამაჩემი იმ დროს ავსტრიის არმიაში მსახურობდა. გალიციაში მცხოვრებ პოლონელებს არმიაში ძალით ერეკებოდნენ. — ქალმა რატომღაც ჩაიღიმა და მერე ჩაფიქრებით განაგრძო, — მაშინ სულ სხვა დრო იყო. სწავლა გროშადაც არ ღირდა. მე წიგნით ხელში სხვენზე ვიმალეობდი და ხელებს მილთან ვითბობდი. მამა მკაცრად ამბობდა, — ქალისათვის სწავლა დროის დაქარგვაა და მეტი არაფერი. გათხოვდება და დამთავრდა შენი სწავლაც და მეცნიერებაც.

თანამოსაუბრე წუთით გაჩერდა. კალათიდან დამაქრული ვაშლი ამოიღო და მომაწოდა, — გასინჯეთ, ტკბილი ვაშლია. — შემდეგ კი საუბარს დაუბრუნდა, — მშვენიერი დრო დადგა. ახლა ახალგაზრდები ამაყად გაიძახიან: რევოლუცია, სოციალიზმი! მაგრამ როდი იციან ეს ბედნიერი ყოფა რა სისხლითა და წვალებით მოვიპოვეთ. მე ვიცნობდი იმ ადამიანს, რომელიც ბედნიერებას წაუძღვა.

— ვის? — უნებლიეთ წამოვიძახე.

— ლენინს, — მშვიდად მომიგო ქალმა, — მაშინ ერთი ციციქნა გოგო ვახლდით, — და ჩემმა თანამგზავრმა ხელით მაჩვენა თუ რა სიმაღლისა ყოფილა.

— მამაჩემი მასთან ხშირად მგზავნიდა, მაგრამ ვინაობას კი არ მიმხელდა.

— მამაშენი მას როგორ მიმართავდა, ალბათ ისე, როგორც მიღებულ იყო მთელს რუსეთში, ვლადიმერ ილიჩ? არა? — შევეკითხე მე.

— წარმოიდგინეთ, არა. — ხელი გააქნია ქალმა. — უწოდებდნენ რუსს და მეტს არაფერს. მეც ასე მავალეობდნენ, წახვალ რუსთან, მეც სიამოვნებით მივდიოდი იმ ძალზე კეთილ, მხიარულ კაცთან. იგი სათუთად გადამისვამდა თავზე ხელს და ხუმრობით მკითხავდა, — შენც რუსი ხომ არა ხარ?!

— მე კი ვპასუხობდი, — არა, მე პოლონელი ვარ!.

სწავლის შესახებ თითქმის ყოველთვის მეკითხებოდა. მასთან საუბარი ადვილი იყო.

— როგორი იყო ის?

— მოძრავი, დაუდგარი, ფოსტაში გაზეთების მოტანამდე ერთი საათით ადრე მოდიოდა, ახლაც მაგონდება — როგორ უყვარდა ფოსტის ბირდაბირ მუხის მორზე ჩამოჯდომა და ისე კითხვს. მე მაშინ აზრადაც არ მომდიოდა, რომ ეს უბრალო კაცი რევოლუციის ბელადი იყო, რომელიც ასე კარგად მოაწყობდა ჩემს ცხოვრებას.

კალათიანმა ქალმა შარავზას თვალი გაუსწორა და განაგრძო, — როცა ომის შემდეგ ექსკურსიას ახალი ვარშავის სანახავად ვახლდი, იგი მარმა-



რილოს კვარცხლბეკზე ვიხილე, იდგა და კვლავინდებურად მილიონებს ექსკურსიამძღოლს აღტაცებით ვუთხარი, — მე მას ვიცნობ.

— აქ გასაკვირი არაფერია. მას მთელი მსოფლიო იცნობს, — მომი-  
გო და მოულოდნელად მკითხა, — ხომ არ გახსოვს მისი გვარი?

ვიგრძენი, როგორ გავწითლდი, ჩემთვის რამდენჯერ ალერსით თავ-  
ზე ხელი გადაუსვამს და მე კი არ ვიცოდი.

როცა ძეგლთან ახლოს მივედი და ლენინი ამოვიკითხე, მტკიცედ  
განვუცხადე. — დიახ ის არის! პორონინოში ყოფნის დროს მე მას  
ახლო ვიცნობდი.

ჩემს ირგვლივ ხალხის ტალღა გაჩნდა და კითხვები დამაყარეს.

ქალი წუთით ჩაფიქრდა და ამალელებლად განაგრძო, — გინდ დამი-  
ჯერეთ გინდ არა, მე ამ კაცზე ვლოცულობ, რადგან იგი ფიქრობდა და  
სწუხდა ჩემზე, თქვენზე, ყველა იმ ადამიანზე, რომლებიც სიბეჩავითა და  
სილატაკით მიწაზე იყო მიჯაჭვული. მან გახადა ჩვენი ცხოვრება ასე ხა-  
ლისიანი და კარგი... რევოლუციამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა,  
დაამსხვრია ბორკილები და ახალ ცხოვრებას გაუღო კარი.

მზე თვალეზში გვაჭერდა და გახელის საშუალებას არ გვაძლევდა.  
კრაკოვი ახლოს იყო. საზეიმოდ მოერთოთ. ქარხნებისა და ფაბრიკების  
ბოლი ღრუბლებამდის აღიოდა.

— ადრე დავიბადე, — სინანულით სთქვა კალათიანმა ქალმა, —  
მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რომ ახალ ცხოვრებას მოვესწარი. ჩემი ბა-  
დიში უფრო ბედნიერია, ისწავლის და ინჟინერი გახდება.

ჩემს თანამოსაუბრეს გადმოსვლაში მივეშველე. დიდხანს გავყურებდი  
მის მსუბუქ და მტკიცე ნაბიჯებს. ამ ქალის ცხოვრება კიდევ ერთი ნათელი  
მაგალითი იყო, თუ როგორი გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ ჩემმა ხალხმა,  
რაოდენ ბევრი მისცა მას ოქტომბრის რევოლუციამ. და ვფიქრობდი,  
რომ იცხოვრო — ეს ნიშნავს იბრძოლო უკეთესი მერმისისათვის, ოო-  
გორც ეს გააკეთა ლენინმა.

თარგმნა ტ. ხინთიბიძემ.





ნანა გვარიშვილი

## აჭკესი—ოქტომბრის პირველი მეკვლე

თურქულ ფესსა და გლეხის ძველ წულას,  
მღვრიე ჭოროხი მიათრევს ქაფით.  
ახალ ფესსაცმლით მიიჩქარის ახალი ყოფა,  
მთებში გაისმა ნაბიჯი სწრაფი...  
რაც იყო, მორჩა, ეყოფა!  
თავისუფლებამ დაიმქუხარა!  
გლეხმა ძლივს მოიცილა სიტყვა „ფუხარა“,  
ქარმა გადაჰყარა მედრესეები  
და პაწაწინას პატარა თითმა  
კვლავ გადაფურცლა „დედა-ენა“  
ჩიტების სტვენა,  
პეპლების ლხენა,  
მზეს დახვდა ყველა ცისკარი ღია  
და წყარომ კორდთან დაიძახა: აი, ია!  
შაშვმა ჭახჭახით ხევს მოაგონა ხმა მაჭახელის,  
მთა, ღობე-ყორე, ხევი და ღელე სინათლეს ელის,  
ქალის თვალებმა ჩადრის ქვეშ რომ ინატრეს  
ცრემლებით, ცრემლებით, ცრემლებით —  
სინათლე, სინათლე, სინათლე!  
გლეხმა ბაშლულში მოაგროვა ცივინათელა  
და შეაგება მშენებლებს წინა.  
აჭარისწყალზე გაჩნდა აწყესი.  
გამოღვიძების ზარები რეკდნენ!  
შორეულ მთებში გზას აუყვამალა ანძებით  
ილიჩის შუქი, ოქტომბრის მეკვლე.



დ რ თ შ ე ბ ი

კლდეში გაძვრწილი თეთრი ქალაქიდან,  
გრანიტის კიბეებზე ქოშებით,  
დაეშვა დედოფალი, გნოლი ქარაფიდან,  
მთებზე გუგუნებდნენ დროშები.  
როგორც სინაზე და როგორც სიყვარული,  
თრთოდნენ ფეხშიშველი შროშნები,  
ლანდი ნუქარდინის ეგდო მიხმალული,  
ველზე მქუხარებდნენ დროშები.  
კახის თქარათქური... ელვა აივნების...  
ლეღვა ლოცვიანი ოცნების,  
ტაძრებს ასდიოდა ნისლის ყვავილები,  
ხევში ჭიხვინებდნენ დროშები.  
ალვა აიფოთლა... ვაზი მოფოფინდა...  
მინდვრებს დაუბრუნდნენ ფრთოსნები,  
ყველა ქოხიდან და ყველა ორლობიდან  
ბავშვებს გამოჰქონდათ დროშები.  
დუღდნენ დაფდაფები... ქუხდნენ  
ორკესტრები  
შიშის, დაფეთების გარეშე,  
ჩვენი პერანგების ფრიალს მოვესწრებით  
ჩვენი ოცნებების მხარეში.  
სულო ბობოქარო ჩემი წინაპარის,  
თითქო მაჭარივით დადუღდი,  
შენი სისხლის ნამი ზეცას შეფრიალებს  
ჩანგით, ვენახით და თავთუხით.  
რამდენ გრიგალიან,  
რამდენ ბურანიან  
იყავ ლამეების მთეველი,  
შენი შავნაბადას სისხლი ურევია  
სისხლში მინინის და ნეველის..  
ძველთა განათების არის საუკუნე,  
ზრუნვის, ძიების და ოცნების  
და ზღვას გაჰგუგუნებს,  
და ცას გაჰგუგუნებს...  
სისხლით მოქსოვილი დროშები.



## მშვიდობის დღეა

გამოვალ დილით, გავყვები ქუჩას,  
 ვუღიმი ყველას,  
 მიღიმის ყველა.  
 ზეცას საავდრო პირი არ უჩანს,  
 ზღვა მშვიდია და სულაც არ ღელავს.  
 ქუჩაზე ყველა მოდის და მიდის  
 დინჯად, ამაყად, იმედით ხვალის.  
 პატივისცემით, ტრფობით და რიდიტ  
 ხალხი ერთმანეთს გულით შეჰხარის.  
 ბავშვებს ღიმილით თვალებს ავლებენ,  
 ისმის სიცილი და ლაპარაკი...  
 რა იქნებოდა ხალხის გარეშე  
 ეს ქუჩა, ან ეს ჩემი ქალაქი!  
 გავყვები ქუჩას, მხიარულ ქუჩას,  
 ვუცინი ყველას,  
 მიცინის ყველა...  
 ზეცას საავდრო პირი არ უჩანს,  
 ზღვა ლურჯია და სულაც არ ღელავს.

იაკობ მელია

## ა მ ი რ ა ნ ი

მე ვაქციე მტერი მტერად და  
 ახლა გული აღარ მწყდება,  
 ელვა მიჩანს სატევრად და  
 ვარსკვლავები ნაპერწკლებად.  
 თავს რომ მხურავს  
 ცისარტყელა, —  
 შვიდათ შვიდი ფერი არი,  
 ვიყავ, ვარ და კვლავ  
 სახელად

მეწოდება ამირანი.  
 მე ოდითგან ვეფხსა ვგავდი  
 და ვერ მძლევდა მტერი კრული,  
 შავი ზღვიდან დერბენდამდი  
 ყალყზე ვიყავ შემართული.  
 ქედს არ ვუხრი  
 ქვეყნად დრო-ჟამს  
 და ხალეხად ვიმჩნევ ნახმლევს,



ხევსურებმა ძლევის დროშად.  
ჩემი სახე გამოსახეს.  
ჩვენ სიყვარულს ვერვინ  
შეცვლის,

ოქტომბერო! გწამდეს ასე  
მე წავართვი ღმერთებს  
ცეცხლი  
შენ ამაგი დამიფასე.

## ქსენია მუხომია

### ორმოცდაათი წლისა ხარ!

ორმოცდაათი წლისა ხარ უკვე,  
ორმოცდაათი გაზაფხულის ნათელი მოთოვს  
შენი კამკამა თავანიდან,  
მირეკავ ღრუბლებს  
და უკვდავებად ესხურები ბალახს და  
ფოთოლს.

შენი სახელით ქარიშხლებს  
დავძლევეთ  
და უნაპირო ზღვებს

გადავცურავთ.  
მომეცი გული შენსავით გამძლე,  
შენსავით მტკიცე და ვაჟკაცური!  
მომეცი მკლავი, ჯანი და ძალა  
და ნურც სიმღერა გამითავდება,  
შემამძლებინე შენი სადარი

შრომა, შენება და თავდადება...  
შენ დაიბადე ოქტომბრის თვეში,  
ცას რომ ღარავდა კვამლის სვეტები...  
შენ დაიბადე ქუხილით, თქეშით,  
დიდი ტკივილით და იმედებით  
და მოგვიტანე დილა მზისფერი, —  
დილა, რომელიც ასე გვწყუროდა,  
ხალისი დიდი,  
ღიმილი ბევრი  
და ოცნებების უსასრულობა.



მას შემდეგ გულში ჩქერად იჭრები,  
საქვეყნოდ ბრწყინავს შენი ცისკარი,  
ხარ დაძლეული ყველა იჭვები  
და ახდენილი ყველა სიზმარი!  
მიაპობ სივრცეს ელვარე სხივით  
რეკავს და რეკავს შენი ნაღარა.  
სიკეთეს სთესავ, მშვენებით ღვივი  
მილიონების გულგასახარად.  
ორმოცდაათი წლისა ხარ უკვე,  
ორმოცდაათი გაზაფხულის ნათელი მოთოვს  
შენი კამკამა თავანიდან.  
მირეკავ ღრუბლებს  
და უკვდავებად ესხურები  
ბალახს და ფოთოლს.







## მამია პარმანიძე

### გულს პარსკვლავები ეჯახებოდა

იგი ენაწელიანად მიაშობდა თავის თავგადასავალს. ნაამბობს უბის წიგნაკში ვიწერდი. საუბარი შეწყვიტა და შემნიშნა: დაწვრილებით ნუ ჩაიწერ, მხოლოდ მთავარი შეარჩიეო. არ მიყვარს გაზვიადებაო.

მეც ვასრულებ მის თხოვნას.

\* \* \*

— დავიბადე ასკანაში (ახლა ამ სოფელს მთისპირი ჰქვია),—მიაშობდა ალვასი. — იგი ოზურგეთის მაზრას ეკუთვნოდა. ჩემს მშობლებს 12 შვილი გაუჩნდათ. მათ შორის ერთი გოგო... და ეს ნაბოლრა მე გახლდით. იქნებ ამიტომაც იყო, რომ მშობლები ყველაზე უფრო მე მეაღერებოდნენ და მანებივრებდნენ კიდევ, მაგრამ გურულ ღარიბ გლეხკაცს კარგი სიტყვის მეტი რა ებადა... სულს გვიხუთავდა სიღარიბე და ჩითვის კაბას ვნატრობდით. სჭირდა ოჯახის შენახვა. ყველას უნდა გვეშრომა, წე-

ლებზე ფეხი დაგვედგა, რომ წლის სარჩო არ მოგვეკლებოდა. ვისაც ხელში თოხის დაკავება შეეძლო, ყველა, მხარში უნდა ამოდგომოდა მამას.

მადლობას ვწირავ ჩემს მშობლებს, რომ სწავლას დამაწაფეს. ჯერ სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი დამამთავრებინეს, ხოლო შემდეგ ხონის ოთხკლასიანი. ე. წ. მარინეს სასწავლებელი. ვინც ამ სასწავლებელს დაამთავრებდა, დაწყებით სკოლაში მასწავლებლობის უფლება ეძლეოდა. ჩემს სოფელში სამუშაო ვერ ვიშოვე. ხოლო შორს წასვლაზე მშობლებმა უარი მითხრეს და შინ დავრჩი. ოჯახში საქმეს რა გამოლევდა! ერთი სული მქონდა როდის დავიწყებდი სამსახურს. თითქმის კიდევ მომწყინდა სოფლის ერთფეროვანი და დუხჭირი ცხოვრება. მაგრამ სად უნდა წავსულიყავი? ჩემს ნებაზე ვინ გამიშვებდა!





იმუამად ჩემი ძმა გიორგი ბაქო-  
ში სავთის ერთ-ერთ სარეწში  
მუშაობდა. რა უნდა ვაქეთო აქ,  
ხომ ხედავთ გაჭირვებისაგან სუ-  
ლი გვეხუთება, იქნებ ცოტა გრო-  
ში ვიშოვო და თქვენც გამოგი-  
გზავნითო, დაგვიამედა გიორგიმ  
და თავის ამხანაგებს გაჰყვა ბაქო-  
ში.

გიორგი შვებულებით სოფელში  
რომ ჩამოვიდა, ყველას საჩუქრები  
ჩამოგვითანა. მე გამიტაცა მისმა  
საუბარმა ბაქოს შესახებ და სურ-  
ვილი აღმეძრა თან გავყოლოდი.  
დავუჩოქე გიორგის, რათა მამას  
მოლაპარაკებოდა. ვიცოდი, დედის  
თანხმობა ძნელი არ იყო. გიორგიმ  
ძლივს დაითანხმა მამა. და ერთ  
დღეს ჩვენ ერთად გავემგზავრეთ  
ბაქოსაკენ.

არასოდეს დამავიწყდება ბაქო-  
ში გატარებული დღეები, სადაც  
მეც რევოლუციურ მუშაობაში ჩა-  
ვები.

### საყვავილეს საიდუმლოება

აღვასი ბაქოში პირველად მოხ-  
ვდა. მისთვის ყველაფერი უცხო  
იყო: ხალხი, ქუჩა, ცა, ეზო, ნავთის  
სუნიტ გაჟღენთილი ჰაერიც კი. გი-  
ორგი ეუბნებოდა დას — მარტოდ  
ქალაქში არ გახვიდე, დაიკარგები  
და მერე სად უნდა მოგნახო.  
ზოგჯერ აშინებდა კიდეც — ყრუ  
ქუჩაზე არავინ გაგიტყუოს და არ  
გაგმარცვოსო. გიორგი ადრე დი-  
ლით მიდიოდა სამუშაოზე, აღვასი  
კი ჭარასავით ტრიალებდა სახლში:  
რეცხავდა, კერავდა, საჭმელს ამ-  
ზადებდა და ა. შ. მოვიდოდა თუ

არა გიორგი, ამხანაგები მელოდ-  
ბიანო, მოიბოღიშებდა და ისევ  
წავიდოდა. არც კვირა დღით იც-  
დიდა შინ, ბიბი-ეიბათში საყვავი-  
ლეში მივდივარო, დაიბარებდა  
და გაქრებოდა. აღვასი ფიქრობ-  
და, ალბათ, ვინმე კერძო მესაქუ-  
თრის საყვავილეში ქირაზე ორიო-  
დე გროშისათვის მუშაობს ან  
რალაც საიდუმლოს მიმალავს გი-  
ორგო. ცნობისმოყვარეობამ აი-  
ტანა ქალიშვილი... და ერთ დღეს  
ქმას განუცხადა:

— ან სამსახურში მომაწყე. ან  
არა და, სადაც შენ წახვალ, მეც იქ  
წამიყვანე, შინ მარტო ყოფნა  
ალარ შემიძლია.

გიორგი შეპირდა, რამდენიმე  
დღე მაცაღე და მერე მე ვი-  
ცი და ჩემმა ძმობამო... ერთ დღეს  
ქმამ აღვასი წაიყვანა ბიბი-ეიბათ-  
ში, თავისი საყვავილეს სანახავად.

— საყვავილე დუქანი ორი  
ოთახისაგან შედგებოდა, — ამ-  
ბობს აღვასი. — წინა ოთახში ყვა-  
ვილები ელაგა. მეორე, უკან მიდგ-  
მული ოთახი ყურადღებას არ იბჟ-  
რობდა. კედელს სიძველის გამო  
ხავსიც კი მოკიდებოდა. გიორგიმ  
შეაღო ოთახის კარი და — მოდიო,  
მომადახა. ვილაც შავგვრემანი კაცი  
შემომეგება. ვიუხერხულე და სა-  
ხეზე ავწითლდი.

— ეს ჩემი დაა, — წარმადგინა  
გიორგიმ, — სოფლიდან ახლა მე-  
სტუმრა, ბინაში მარტო ვერ დავ-  
ტოვე და თან წამოვიყვანეო. ეს  
უთხრა და თანაც თვალი ჩაუკრა.

შავგვრემანმა კაცმა ღიმილით



ჩამომართვა ხელი და მანიშნა, და-  
ჯექიო.

— დიდი ხანია ქალაქში ვცხოვ-  
რობ, — მითხრა მან, — ძალიან  
მაინტერესებს სოფლის ცხოვრება.  
მითხარი, გოგონავ, როგორ ცხოვ-  
რობენ თქვენი სოფლის გლეხები,  
ხომ არ ემდურებიან ხელისუფლე-  
ბას?

მე ვღუმდი. სიჩუმე ისევ შეგ-  
ვკრემანმა კაცმა დაარღვია:

— აბა, კარგად დაფიქრდი, ნუ  
დამიმალავ!

— ვერაფერს გეტყვით, პატივ-  
ცემულო, ამის შესახებ არასოდეს  
მქონია გლეხებთან საუბარი. ან მე  
ვინ შემომჩივლებდა თავის გასა-  
ჭირს?

— როგორ შეიძლება, სოფელში  
ცხოვრობდე და არ იცნობდე შენი  
მეზობლების ჭირ-ვარამს. ნუთუ  
ერთხელაც არ დაინტერესდი თანა-  
სოფლელების ბედით, შენ ხომ სა-  
კმაოდ განათლებული გოგო ხარ  
და სოფლის ჭირ-ვარამში უთუოდ  
კარგადაც უნდა ერკვეოდე! — მი-  
საყვედურა მან და თავი გააქნია.

მივხვდი, ჩემს შესახებ ამ კაც-  
თან წინასწარ ჰქონია ჩემს ძმას  
საუბარი, თორემ საიდან ეცოდინ-  
ებოდა ჩემი განათლების შესახებ.  
ერთხანს ორივე ვღუმდით. შემ-  
დეგ მან მითხრა: გეტყობა, ცუდი  
ქალიშვილი არ უნდა იყო, მაგრამ  
რაც საჭიროა, ის კი არ გცოდნია.  
შევეცდები გასწავლო ის, რაც აუ-  
ცილებელია და მერე ვნახოთ. ახ-  
ლა დრო არა მაქვს, კიდევ ჩამო-  
ვალ, სულ მალე, და მაშინ გან-

ვავრძოთ საუბარი. ახლა კი წასვ-  
მდის! — წასვლის წინ თავაზიან-  
ად დაგვემშვიდობა.

სამი დღის შემდეგ გიორგიმ  
კვლავ წამიყვანა საყვავილეში, ის  
კაცი გველოდებო. მართლაც, შე-  
ვკვრემანი კაცი ისევ იქ დაგვხვდა.  
გიორგი მას „კობას“ ეძახდა. იმ  
დღეს დიდხანს მესაუბრა. მინს-  
ნიდა და მასწავლიდა, ისე, რო-  
გორც მასწავლებელი მოწაფეს. სა-  
ყვავილე გახდა ჩემი სკოლა, ხო-  
ლო კობა — მასწავლებელი. მან ამ-  
იხილა თვალი, მან ჩამახედა ცხო-  
ვრების სიღრმეში. მაშინ გავიგე,  
რა იყო კლასობრივი ბრძოლა, წი-  
ნაღმდეგობა ჩაგრულ და მჩაგვ-  
რელ კლასებს შორის, გავიგე,  
რომ უნდა დაემხოს კაპიტალიზმი  
და ძალაუფლება ხელში უნდა აი-  
ლოს პროლეტარიატმა ღარიბ  
გლეხობასთან ერთად. „ჩვენ ლე-  
ნინელები ვართ. ლენინი ყველა  
ჩაგრულის ბელადი და მასწავლე-  
ბელია. ჩვენ გავიმარჯვებთ! —  
დამაჯერებლად მეუბნებოდა იგი...  
და მინერგავდა გამარჯვების  
მტკიცე რწმენას, როცა დარწმუნ-  
და, შეიძლებოდა ჩემი ნდობა, საი-  
ღუმლო დავალებებსაც მაძლევდა.  
კონსპირაციული ამანათები დამ-  
ქონდა მუშათა უბნებში. ამანა-  
თებს ვაბარებდი „ჩვენს კაცს“.  
ჯერ კიდევ არ ვიცოდი ამანათების  
საიდუმლოება..

გამაცნეს ალიოშა ჯაფარიძეც,  
რომელთანაც შემდეგ საიდუმლოდ  
დამაკავშირეს.



„გაბარებ ჩემს პატარა ძმას“

აღვასი ჩინებულად ასრულებდა საიდუმლო დავალებებს. ბალახანა, ბიბი-ეიბათი, შავი ქალაქი, თეთრი ქალაქი... აი, მუშათა უბნები, სადაც დაჰქონდა მას საიდუმლო ამანათები. კონსპირაციულ საქმიანობაში უკვე გამოცდილება მიიღო, მაგრამ კობა მაინც მუდამ ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყო, თუ კი პოლიციელისაგან საშიშროება მოელოდა. გახსოვდეს, ეტყოდა კობა, ჩვენი ამხანაგების ბედი შენზედაც ჰკიდია.

და აღვასიც უფრთხილდებოდა თავის თავსაც და ამხანაგებსაც. სიფრთხილე კი ნიშნავდა კარგად შენიღბვას...

ამჯერად მზის ჩასვლის შემდეგ უნდა წასულიყო ბალახანაში ახალი დავალების შესასრულებლად.

— აი, პატარა კუბო და პატარა ბარი, — მითხრა კობამ. — შიგ ახვენია შენი შვილი. სამგლოვიარო განწყობილებაში ხარ, თმაგაწეწილი, ხელში გიჭირავს კუბო და მოთქმით სტირი. ბალახანაში დაგხვდება ალიოშა ჯაფარიძე. იგი იქ გელოდება. კუბოს ალიოშას გადასცემ და ეტყვი: „გაბარებ ჩემს პატარა ძმას“. იგი ჩამოგართმევს კუბოს, შენ უკან გამობრუნდები და მომახსენებ დავალების შესრულებას.

დარიგებისამებრ მოვიქცევი. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. კობას მოვახსენე, შევასრულეთქვენი დავალება-მეთქი. მან მიპასუხა: დედისთვის შვილის სი-

კვდილი მეტად მწარეა. იმ წამს დედა საშინელ ტკივილებს განიცდიდა და სასოწარკვეთით მოთქვამს. შენ კი მთელი გრძნობით არ სტიროდი. ამიტომ შეიძლება ჟანდარმერიას ეკვი მიეტანა შენზე და დაეკავებინე. ამ დავალების შესრულებაში ნიშანი „სამი“ გეკუთვნის, — ეს კი არ კმარა.

მივხვდი, ჩვენიანი გამომყოლია სათვალთვალოდ, თორემ ყოველივე ეს საიდან უნდა სცოდნოდა?!

— რა ვქნა, ქალაქების დატოვება მეტად ვერ შევძელი-მეთქი, ვუპასუხე. მაშინ კობამ წყრომით მითხრა: — შენგან ასეთ პასუხს არ ველოდი. ის ხომ პროკლამაციები იყო და არა უბრალო ქალაქდები. ეს პროკლამაციები მუშებს გაფიცვებისავე მოუწოდებს. აი, ნახავ, ხვალ გაფიცვა იქნება. დავალება უნდა შეასრულო მტკიცედ, მთელი პასუხისმგებლობით. არავითარი მოტივები!

და მართლაც, მეორე დღეს გავიგეთ, ნავთის სარეწთა მუშებს გაფიცვა მოეწყოთ. პოლიცია გაშმაგებით დაძრწოდა, მაგრამ ყველგან აწყდებოდა საიდუმლოების მაგარ კედელს.

\* \* \*

1908 წლის დამდეგს პოლიციამ გააძლიერა იატაკქვეშელთა ძებნა. ამოქმედდნენ გამცემნი, ეძებდნენ ლენინელების კვალს, რომ სამაგიერო მიეზღოთ ხელისუფლების „პრესტიჟის“ შემლახველებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც მეფის წინააღმდეგ გამოსვლებს ბედავდა. კობას აპატიმრებენ და ასახლე-



ბენ შორეულ მხარეში. დროებით მიუხიზნენ და მიიმაღნენ იატაკ-ქვეშელები. სწორედ იმჟამად გიორგიმ და ალვასიმ სოფლიდან მიიღეს ელდის დამცემი დეპეშა — ორი ძმა მოულოდნელად ტიფით გარდაცვლილათ... ალვასი უბრუნდება სოფელს.

\* \* \*

— ვცდილობდი ჩვენს სოფელში ჩამომეყალიბებინა არალეგალური პარტიული უჯრედი, — მიაშინებდა ალვასი. — მაშინ ყველაზე მოქმედი რევოლუციური ძალები თავს იყრიდნენ ხიდისთავში. ერთი ნათესავის წყალობით დავუკავშირდი თევდორე კალანდაძეს, რომელიც თავკაცად ითვლებოდა. ამრიგად, კვლავ ჩავები კონსპირაციულ მუშაობაში, რაც ჩემი სტიქია იყო. მაშინ ჰქუხდა გურია რევოლუციის ხმაზე. იგი თითქოს ქარიშხლის მოლოდინში იყო, ცეცხლი უგზიზგივებდა გულში... და მე ეს მახარებდა, ახლოვდებოდა რაღაც დიდი გათენების დღე, ისეთი, კობა რომ მიამბობდა.

ჩვენს სოფელში ცოტა მოგვიანებით, 1917 წელს ჩამოყალიბდა უჯრედი, რომლის მდივნად მე ამირჩიეს და სწორედ იმ დღესვე მიმიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. ასეთი კონსპირაციული უჯრედები ბევრგან ჩამოყალიბდა. სხვადასხვა სოფლის უჯრედების წევრები ერთმანეთს არ იცნობდნენ... ამას მოითხოვდა კონსპირაციული მუშაობა. გვხელმძღვანელობდა თევდორე კალანდაძე. ჩვენი თავკაცები დაკავშირებული იყ-

ვნენ ბათუმის რევოლუციური კომიტეტის თავკაცებთან. იქედან მოგვდიოდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ბათუმი და გურია დაკავშირებული იყო თბილისთან, ამრიგად მზადდებოდა შეიარაღებული აჯანყება.

— აჯანყების ორგანიზებისათვის, — ამბობს ალვასი, — 1919 წელს თბილისიდან გურიაში ჩამოვიდა გიორგი სტურუა. ადგილებზე მოეწყო არალეგალური კონფერენციები. ამ კონფერენციებზე შემუშავდა აჯანყების კონკრეტული გეგმა... ხალხი ბობოქრობდა.

კონფერენციის მასალები სასწრაფოდ უნდა გაეგზავნათ თბილისში. მასალების თბილისში ჩატანა ალვასისათვის დაუვალეობათ. „მიხა ცხაკაიასათვის უნდა გადაეცაო“, იგონებს ალვასი.

მაგრამ აი, რა ხიფათი შეემთხვა გზაში.

## ხერხი სჯობია ღონესა...

ალვასი მიემგზავრება ქ. თბილისს, თან ახლავს ოთხი წლის ობოლი ძმისშვილი, რომლის აღზრდაც თვითონ იკისრა. მიდის და მიაქვს საიდუმლო საბუთები. ოზურგეთამდე ეტლით იმგზავრეს. ჩამოვიდა თუ არა ეტლიდან, მაშინვე ჟანდარმერია თავს დაესხა. გაქცევის ველარ მოახერხებდა, მტერს უნდა დანებებოდა. გულში წყევლა-კრულვას უგზავნიდა მოღალატეს.

— მიმიყვანეს ერობაში, — გადმოგვცემს ალვასი, — ასე ეძახდ-



ნენ ადგილობრივ თვითმმართველობას. შეშინებული ბავშვი ტირილით იკლებდა იქაურობას. წინადადება მომცეს, ბავშვი ჩამება-რებიანა ვინმესათვის ან თვითონვე მიუყვანდნენ ჩემიანებს. ამ წინადადებაზე უარი ვთქვი და მტკიცედ მოვითხოვე, შეეტყობინებინათ ჩემიანებისათვის, მხოლოდ მათ ვანდობ ბავშვს-მეთქი, ხოლო ჩემს ჩხრეკაზე განუტყხადე: ქართველი ქალი ვარ, ჩვენი ადამი და წესი მოგეხსენებათ, მამაკაცს არ მივცემ ნებას სხეულზე ხელი შემახოს, მოიყვანეთ ქალი-მეთქი.

უფროსმა ბრძანა დაეკმაყოფილებინათ ჩემი მოთხოვნა, მე კი ბავშვით ცალკე ოთახში ჩამკეტეს. ჩემს საბუთებში ოთახსამდე კაცი იყო დასახელებული. თუმას ხელში ჩაიგდებდა უნადარმერია, პატიმრობა და სასჯელი არც ერთს არ ასცდებოდა. ვინ იცის, იქნებ, ბევრი მათგანი დაეხვრიტათ ან გადაესახლებინათ. გაჭირვებამ უცებ გონზე მომიყვანა და ერთი ხერხი მომაფიქრებინა. ამანათი ბავშვს უბეში ჩავუდე და ჩემი თავსაფრით შეგვარი, თითქოს იმის შიშით, რომ არ გამიცვიდეს. მოიყვანეს უცნობი ქალი, რომელმაც თავიდან ფეხებამდე „გამჩხრიკა“, მაგრამ ამოდ. ბავშვისათვის, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მიუქცევია. „გადავრჩით“ — გავივლე გულში და ფრთხილი მზე-

რა გავაყოლე ქალს. იმ დღესვე ნახულა ჩემმა ძმამ და ბავშვი სახლში წაიყვანა, მე კი საპატიმროში მიკრეს თავი. ვერაფერი დამიმტკიცეს და სულ მალე გამათავისუფლეს.

კვლავ სოფელს დავუბრუნდი.


\* \* \*

მერე ისევ თბილისი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები... ლოდინი... წითელი ლაშქრის შემოსვლა ქ. თბილისს... თოვლი, სპეტაკი თოვლი თბილისის ქუჩებში... სიხარულისა და აღტაცების ხმები... მიტინგები...

გამარჯვების ნეტარი დღეები... ალვასი ერთხანს მუშაობს დედაქალაქში, ხოლო შემდეგ იგზავნება ოზურგეთში ქალთა შორის მუშაობის გასაჩაღებლად. იქ დაჰყო 1924 წლამდე. შემდეგ გადმოიღის ბათუმში. იგი დიდ მუშაობას ეწევა აჭარელ ქალთა შორის...

\* \* \*

ალვასი ელიზბარის ასული თალაკვაძე 76 წლისაა, მაგრამ კვლავაც ჯელად გამოიყურება, კვლავაც ახალგაზრდულად უძგერს გული. ჩვენთან ერთად ისიც შეხარის ამ ბედნიერ დღეებს, სიყვარულით შეჰყურებს ჩვენს ძვირფას ბავშვებს. ახარებს ზღვა და მზიანი ლურჯი ცა, სადაც დამით, პოეტისა არ იყოს, „გულს ვარსკვლავები ეჩახებიან“.





# საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიის გამომცემი

ხუსეინ ბეჟანიძე

## მშობლიური მიწის მისაღვრომებთან

პოლკოვნიკმა ხუსეინ მურადის-ძე ბეჟანიძემ სამამულო ომში სახელი მოიხვეჭა, როგორც ნიჭიერმა და უნარიანმა ოფიცერმა, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ხ. ბეჟანიძემ დაწერა მოგონება იმ ლეგიონის საბრძოლო ცხოვრებაზე, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა.

ვაჭვეყნებთ ნაწყვეტს ამ მოგონებიდან.

1942 წლის ოქტომბრის დასაწყისში 394-ე დივიზიის ნაწილები მძიმე და უთანასწორო ბრძოლებს ეწეოდნენ: 808-ე და 810-ე მსროლელი პოლკები იბრძოდნენ მარტხის უღელტეხილზე, ხოლო 815-ე პოლკი ქლუხორის მიდამოებში უტევდა მტერს. მოწინააღმდეგეებს სძლია 808-ე მსროლელ ლეგიონს და ხელთ იგდო მეტად ხელსაყრელი პოზიცია. ამის გამო მთავარმა სარდლობამ გადააყენა პოლკის მეთაურიც და კომისარიც. პოლკის მეთაურად მე დამნიშნეს და თან დამავალეს დაკარგული პოზიციის აღდგენა. დაუყოვნებლივ გავემგზავრე სამოქმედო რაიონში. თან გამყვა დივიზიის მეთაურის მოადგილე პოდპოლკოვნიკი ფილატოვი.

\* \* \*

აი, უკვე დანიშნულ ადგილას — პოლკის შტაბში ვართ. პოდპოლკოვნიკი ფილატოვი აცნობს შტაბის თანამშრომლებს მთავარსარდლობის გადაწყვეტილებას. ვეცნობით ერთმანეთს. ვსაუბრობთ.

დამით შევადგინეთ საბრძოლო-სამოქმედო გეგმა. უპირველეს ამოცანად დავისახეთ დაკარგული ზღუდის დაბრუნება. თითოეულ ქვედანაყოფს მიეცა კონკრეტული საბრძოლო დავალება, დავთქვით შეტევის დაწყების დრო და ნიშანი.

\* \* \*

როცა პოლკის მეთაურის საკომანდო პუნქტმა მისცა ბრძოლის დაწყების ნიშანი, ქვედანაყოფები ერთდროულად მოსცდნენ. მესამე ბატალიონი, რომელიც პოლკის მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა, წინ მტკიცედ მიიკაფავდა გზას. მარცხენა ბორცვს მალე დაეპატრონა მე-9 ასეული. ეს ადგილი ხელსაყრელი აღმოჩნდა ნაღმსატყორცნების ცეცხლის კორექტირებისათვის და კიდევაც მარჯვედ ურტყამდნენ ჩვენები.

გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. წინ მიმსრობოი რუხაძის ბატალიონის პოზიციას უმაღლეს იკავებდა სმირნოვის პოლკი და მას ცეცხლით უხსნიდა გზას. რუხაძის ბატა-





ლიონის მეშვიდე და მერვე ასეულებმა თითქმის ერთდროულად დაიწყეს მტერს კლდეებში ჩამჭრალი მტრის გასანადგურებლად. თავის ასეულს წინ გაუძღვა ასეთ-თავური ნიკოლოზ სხირტლაძე. აკაკი ბეროშვილის მეთაურობით გავედით ასეულმა ცეცხლის ალში გახვია მტრის საცეცხლე წერტი. მტერმა ცეცხლი გადართანა მე-3 ბატალიონზე. საჭირო იყო პასუხის მიგება, თორემ მოწინააღმდეგე რიგრიგობით განადგურებდა ჩვენს ბატალიონებს. მეორე ბატალიონი იერიშზე გადავიდა. მე-9 ასეულმა ცეცხლის გრიგალი დაატეხა მტერს. მერე ურთიერთ მხარდაჭერით ოცეულები ცალ-ცალკე გაიჭრნენ მტრის ფრთაზე, მოწინააღმდეგე იძულებული გახდა ამჯერად ბრძოლის ცენტრი გადაეტანა არუთინოვის ასეულისაკენ, რომელიც მტრის ზურგში შეიჭრა. დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, გაჩაღდა ხელის გრანატების დუელი. ს. ხურციყიძე, ტ. მაჭავარიანი, ა. გურუშიძე, ტ. ზაქარიძე, აკაკი დობოროჭიანიძე, მამია კილაძე, აკაკი ბაჯელიძე, იონიანი, მეგრელიძე, იური კაპანაძე გრანატებით შეიჭრნენ მტრის შუაგულში. მტერი ყველა მხრიდან იმუხსრებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის პოზიციებს. ჩვენები თანდათან მწვერვალისაკენ მიიწევდნენ და მოწინააღმდეგეც, უფრო და უფრო აძლიერებდა ცეცხლს.

ამინდი ყოველ წუთს იცვლებოდა, წუთით გაიკაფებდა მზე, მერე უცებ ცა ელვაკექით ჩამოინგროდა, დაუშენდა ხან სეტყვას, ხან თოვლს... მერე ქარბუქი გაბატონდებოდა. ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი დამლუპველი იყო. მე-3 ბატალიონის რაიონიდან შეუხუთათი გვაცნობეს მტრის საცეცხლე პოზიციის დაკავება. ბატალიონის მეთაურმა ვასილ რუხაძემ მომახსენა, მე-3 ასეული სხირტლაძის მეთაურობით პირველი შეიჭრა მტრის სიღრმეში. მე-5 ასეული ლეიტენანტ ჩხაიძის მეთაურობით ჩაება ხელჩართულ ბრძოლაში. მე-5 და მე-8 ასეულების წარმატებები გამოიყენეს პოლკის დანარჩენმა ქვედანაყოფებმა და დღის ბოლოს უღელტეხილის მიდამოებში მტრის ცეცხლის სიმძაფრე თანდათან მინელდა.

დაბინდებისას თითქმის სიწყნარე სუფევდა. მალღობა ღმერთს, ჩვენები უკვე დამკვიდრდნენ უღელტეხილზე.

ძლიერი ქარბუქის გამო თავშესაფრების შესასვლელები და სანგრები თოვლმა დაფარა, ქვედანაყოფებს შორის მამოსვლა სრულებით შეწყდა, სურსათისა და საბრძოლო მასალების მიწოდება შეუძლებელი გახდა. სასტიკი ყინვა მძვინვარებდა. მალე უღელტეხილი და მისი მიდამოები თოვლმა ჩაკეტა. მთავრეხილზე გაჩერება ადარ შეუძლებოდა... და ჩემი პოლკი გადავიდა სოხუმის რაიონის სოფელ წებელდაში, ხოლო 810-ე და 815-ე პოლკები — ჩხალთა-ზახაროვსკის რაიონში. ეს იყო ოქტომბრის მიწურულს. ამრიგად დროებით ისვენებდა და ივსებოდა ჩვენი პოლკი. პოსპიტილიდან გვიბრუნდებოდნენ გამოჯანმრთელებული ოფიცრები და მეზრძოლები. მოდიოდა მეზრძოლთა ახალი ნაკადიც.

\* \* \*

30 დეკემბერს მივიღეთ ბრძანება: 1943 წლის 6 იანვარს უნდა ვყოფილიყავით ქ. ტუაფსეში. არ გვქონდა საკმარისი ტრანსპორტი და ეს გვაფიქრებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ მხრივ დიდი დახმარება გავკვიწია მოსახლეობამ.

დავბანაკდით ტუაფსეს რაიონში. ბრძანების თანახმად მოვემზადეთ საღესანტო ობერაციებისათვის. მაშინ, 394-ე მსროლელი დივიზია დაუქვემდებარეს 56-ე არმიას, რომელსაც სარდლობდა გენერალ-ლეიტენანტი ა. გრეჩკო (ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალი).

ამჟამინდელ აღვნიშნო შემდეგი გარემოება: 1942 წლის დამდეგს მტრის გაშმაგებული შემოტევა კავკასიის მთების მისადგომებზე შეაჩერეს ჩვენებმა. ტუაფსეს რაიონში მტერმა ყოველგვარი ზომა მიიღო ნავთისა და შავ ზღვამდე გასასვლელის ხელში ჩასაგდებად. ტუაფსეს მისადგომებთან ჩვენებმაც და მოწინააღმდეგეებმაც შექმნეს მტკიცე საბრძოლო ზღუდეები. 1943 წლის იანვრის დამდეგს კი 56-ე არმიის ნაწილებმა მთელ სიღრმეში





მოშალეს მტრის ფრონტი და ძლევამოსილი შეტევა განავითარეს. ამ შეტევაში მონაწილეობდნენ 808-ი და 810-ი პოლკები, ხოლო 815-ი პოლკს ამზადებდნენ მალაია ზემოლზე სალაქროდ.

ტუაფსე-გორიში კლუხის რაიონში მთავარი მოგერიების ხაზის გარღვევის შემდეგ ჩვენი ნაწილები განუწყვეტელ კონტრეირში გადვიდნენ. მოწინააღმდეგე გზადაგზა აწყობდა დასაყრდენ პუნქტებს, ცდილობდა გამაგრებას, ებლაუტებოდა ყოველ გოჭ მიწას, მაგრამ ამაოდ.

ერთმა სიძნელემ იჩინა თავი. უგზოობის გამო ქვემეხები ვეღარ გადაჰქონდათ ჩვენებს. ამიტომ მთავარი და ტყით დაფარულ ადგილებში წითელმა ლაშქარმა შეუტეველ იარაღად მიიჩნია ნაღმსატყორცნები. ამ ბრძოლებში სახელი გაითქვეს შალვა ზაუტაშვილის ქვედანაყოფის ნაღმსატყორცნელებმა. აქ გამოვლინდა სწაიპერთა მრისხანე ძალაც, სანდრო ხურციძე, ბარამია, ლესელიძე. ალექსანდრე გურგენიძე, გვარგავილიანი, გერონტი ქელიძე, ახმედ ჭინჭარაძე და მრავალი სხვა მებრძოლი ცნობილი იყვნენ არა მარტო პოლკში, არამედ მთელ დივიზიაში, როგორც საუკეთესო სწაიპერები. მათ მრავალ ფაშისტს მოუწყრაფეს სიცოცხლე.

იანვრის შუა რიცხვებში სუსხიანი ამინდი დადგა, ჰქროდა ჩრდილოეთის ცივი ქარი. გადაულახავ კარჩხალად გადაიქცა კავკასიის მთების ჩრდილოეთი მხარე. ცუდი გზების გამო ბევრი სიძნელე დაგვატყდა თავს. საგრძნობლად შეფერხდა სურსათისა და საბრძოლო მასალის მოწოდება. სანამ ზამთრისათვის მომზადდებოდა გამწვევი ძალა და სანამ დავეშვებოდით ყუბანის ველზე, ამინდიც დათბა, მაგრამ წინსვლა მაინც სჭირდა. უკანდახვევ გაუძნელდა მტერსაც. გერმანელთა მექანიზებული ნაწილები და ავტოტრანსპორტი ეფლობოდა ყუბანის თბილისადაგიან ველებში... და ისინი გზადაგზა ანადგურებდნენ მანქანებს, სწვავდნენ ყველაფერს. არც ერთი გრამი სურსათი და ფურაყი არ მოიპოვებოდა საომარი მოქმედების რაიონში. ავტოტრანსპორტისა და რკინიგზის მაგისტრალებს დიდი მანძილით მოწყდნენ ჩვენები, განსაკუთრებით 56-ე არმიის ნაწილები. აუცილებელი იყო ქ. კრასნოდარის აღება, რათა ხელთ გვეგდო ავტოტრანსპორტისა და რკინიგზის მაგისტრალები.

მტერი მთელი ძალით გვრტევდა და გვიღობავდა გზას. ყოველ კილომეტრზე აწყობდა ღრმად ეშვლიონირებულ მოგერიების ზღუდებს. სტანიცა გეორგიევსკაიას ადგილს შემდეგ მტერმა დაიხია ახალ ზღუდეზე და ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა. მას შეიღირვა კილომეტრის მანძილზე გამთითფილი ჰქონდა ყოველი წერტილი. სოფელ კულტურნაის რაიონში ჩვენი არმიის ნაწილებმა რამდენჯერმე სცადეს გერმანელთა ხაზის გარღვევა, მაგრამ ამაოდ. ამრიგად, მოწინააღმდეგემ მაგრად ჩაკეტა გზა ქ. კრასნოდარისაკენ.

6 თებერვალს 808-ე ქართულ პოლკს დაეაღება მიეცა დაეკავებინა სოფელი კულტურნაია. მერე 810-ე პოლკს სატანკო ასეულის მხარდაჭერით უნდა განევითარებინა შეტევა კალუჟსკაიასა და ნოვოდიმიტროვკას მიმართულებით... ამრიგად ჩვენი არმიის სხვა ნაწილებს შესაძლებლობა მიეცემოდათ ჩამბულიყვნენ ბრძოლაში. 6-დან 8 თებერვალამდე ჩატარდა მოსმზადებელი სამუშაოები. ქვედანაყოფებში მოხალისეთაგან შეიქმნა განადგურებელი ჯგუფები, რომლებიც სათანადოდ აღიჭურვა საბრძოლო იარაღებით. 7 თებერვალს, ღამით, პოლკის სამივე ბატალიონი განვალაგეთ საიერიშო ზღუდესთან. 8 თებერვალს შემოგარენი ნისლით იყო დაფარული. სჭირდა ადგილმდებარეობის ზუსტი ორიენტირება. დილის 5 საათზე ბატალიონებს სიგნალით ეუწყათ შეტევის დაწყება. გაჩაღდა უღმობელი ბრძოლა. მოწინააღმდეგე თავგამეტებით იცავდა თავის პოზიციას. ვასილ რუხაძის ბატალიონმა მალე გაარღვია მოწინააღმდეგის ცეცხლის ხაზი. მერე ბატალიონის სამოქმედო რაიონში კი ბრძოლამ გარდამავალი ხასიათი მიიღო. ჩვენებმა ხან წინ მიიჭკოდნენ და ხან უკან. ბოლოს ბატალიონებმა ერთობლივი შეტევით აიღეს კალუჟსკაია. ჯერი მიდგა სოფელ ნოვოდიმიტროვკას განთავისუფლებაზე. მაგრამ



მეტრმა ძალა მოიკრიბა და ტანკებმა მხარდაჭერით წინ გამოიჭრა. არ დაფრთხილეს ჩვენი ნები. ვასილ რუხაძემ, ასეულის მეთაურებმა: ბერაძემ, ჩხაიძემ, მიხეილ ბოლქვაძემ, აკაკი ბერიშვილმა, არტაშ ვართანიანმა, კონსტანტინე სეინტრაძემ, ნიკოლოზ სხირტლაძემ, გრიგოლ კილაძემ, იური კაბანაძემ, წითელარმიელებმა: ტარასი ზაქარიაძემ, ვლადიმერ მეგრელიძემ, გერონტი ჭელიძემ, გრიგოლ მამულაიშვილმა, ხასან მენაბდემ, ახმედ ჯინ-ჭარაძემ და სხვებმა მძლავრი ცეცხლის გაჩაღებით ტანკებს ჩამოაშორეს ქვეითი ნაწი-ლი და უკუაგდეს კიდეც. დილის 8 საათზე 810-ე პოლკი ტანკების მხარდაჭერით ჩავა ბრძოლაში და დაკისრებული ამოცანა პირნათლად შეასრულა: გაათავისუფლა კულ-ტურნაია და კალუჟსკაია.

მტრის ტანკებს თავიანთი სხეულით გადაეღობნენ და ბრძოლაში გმირულად დაეცნენ პოლკის მაიორი ბულოგოვ, ბატალიონის მეთაური ბერაძე, ასეულის მეთაური ჩხაიძე და სხვები. მძიმედ დაიჭრნენ ბატალიონის მეთაური ვასილ რუხაძე, ასეულის მეთაურები ბოლქვაძე, ვართანიანი და ბატალიონის კომისარი კილაძე, მაგრამ მათ ბრძოლის ველი არ მიუტოვებიათ. თავგანწირულად მუშაობდა პოლკის სანიტარული პერსონალი ეჭი-მების მაჩიტძისა და შვანგირაძის ხელმძღვანელობით. ისინი ბრძოლის ველზე ცეცხლის ქვეშ უწყვეტდნენ სასწრაფო დახმარებას დაჭრილებს. ბრძოლაში დაცემული ჩვენი საყ-ვარელი მეგობრები მივაბარეთ ყუბანის მიწა-წყალს სოფელ კულტურნაიაში.

კულტურნაიას, კალუჟსკაიას და ნოვოდმიტროვკას განთავისუფლების შემდეგ 394-ე დივიზიამ 56-ე არმიის ნაწილებთან ერთად შეტევა განავითარა და მალე გაათავისუფ-ლა ქალაქი კრასნოდარი. 20 თებერვალს 808-ე და 810-ე პოლკები იბრძოდნენ სტანიცა სეფერსკაიას განთავისუფლებისათვის, 22-23 თებერვალს ჩვენი დივიზია გადაისროლეს 56-ე არმიის მარჯვენა ფრთაზე დაბა აბინსკაიას რაიონში. ამ დაბის ჩრდილო-აღმოსავ-ლეთით ომამდე აშენდა აეროდრომი, რომელიც მერე გერმანელთა ხელში აღმოჩნდა. 56-ე არმიამ ვერ შეძლო აეროდრომის აღება. ეს მისია ჩვენს დივიზიას უნდა შეესრუ-ლებინა, რაც ადვილი როდი იყო და აი, რატომ: აბინსკაიას ჩრდილო-დასავლეთით მდი-ნარე აბინკას ორივე ნაპირზე გაშენებულია კაზაკთა ხუტორები. მდინარის სიგანე 10-15 მეტრს აღემატება, ხოლო სიღრმე ორი, ორნახევარი მეტრია. ფონი მოა-ნახება მხოლოდ აბინსკაიას და ხუტორის საწყისში. ხუტორიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრზე იწყება ეკლიანი ბუჩქები. სწორედ აქ გადიოდა გერ-მანელების ცეცხლის ხაზი. ხუტორისა და ბუჩქნარს შორის ტრიალი მინდორი იდო.

23 თებერვალს ჩვენი დივიზია იკავებს საბრძოლო პოზიციებს. ეს მეტრმა აღრევე შენიშნა და მოაწყო ძიება. 808-ე და 810-ე ლეგიონები განლაგდნენ ტყეში ხუტორიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით.

ჩვენ დღეს მივიღეთ ბრძანება, ღამით აგველო აეროდრომი და ხუტორის სამ-ხრეთი ნაწილი, გადაგვეჭრა აბინსკაია-კრისკაიას შარავზა. ჩვენი ლეგიონის მარჯვნივ მოქმედებდა 810-ე ლეგიონი. 815-ე ლეგიონი სეფერსკაიადან დაბრუნების შემდეგ ჩაყ-ტავდა ჩვენს მარცხენა ფრთას დაბა აბინსკაიას მხრიდან. სამწუხაროდ, არტილერია უკან ჩამოგვჩა. დაკისრებული ამოცანა ხელის იარაღით უნდა შეგვესრულებინა.

ღამის 12 საათზე დავიკავეთ მინიშნებული პოზიცია, რომელიც ხუტორის აღმოსავ-ლეთით ორი კილომეტრით იყო დაშორებული. დახვეწით გავიგეთ, რომ მტრის სანგრე-ბი თავისუფალი იყო და ისინი ჩვენ დავიკავეთ. ყველა ბატალიონს მიეცა სათანადო და-ვალება. ყველა ქვედანაყოფმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

ღამის პირველი საათია... და შევნიშნეთ — კაზაკთა სახლებში ღამებში ენთო. ალბათ, ღრვობდნენ — ისმოდა სიმღერა. ერთი სახლიდან თოფმაც იჭექა... და მერე ორი ლანდი გამოჩნდა. მორბოდნენ ჩვენიკენ. როცა მოგვიახლოვდნენ, დავა-კავეთ. თავშესაფარში შევიყვანეთ. ხუტორის მკვიდრნი იყვნენ: მოხუცი და მისი თექ-ვსმეტი წლის ვაჟი. თრთოლვით გვიამბობდა მოხუცი: „23 თებერვალს, ღამით, გერმა-ნელები რუმინელებმა შეცვალეს გერმანელები მანქანებში ჩასხდნენ და წაყიდნენ აბინ-





საკაი-კრიმსკაიას მიმართულებით, რუმინელი ოფიცერები მთელ ღამეს არაყს სვამდნენ. ქალებთან ერთობიან. ჩემს სახლში რუმინელი პოდპოლკოვნიკი დაბინავდა. ამ ღამით არაყით გაღებულმა პოდპოლკოვნიკმა მოინდომა ჩემი თოთხმეტი წლის გოგონას გაეზუბა-ტიურება. ჩემმა მეუღლემ და მე წინააღმდეგობა გავუწიეთ. მე სილა გამაწნა და გარეთ გამომაგდო. მეუღლემ მას სამაგიერო მიაგო... ოფიცერმა უმაღლეს ტყვია დაახალა გულში. ჩვენ გამოვიქცეთ, აბა მეტი რა გზა გვქონდა. დაგვეხმარეთ. მეც მომეცით იარაღი, თქვენთან ერთად მეც წამოვალ!“ თვალთაგან ცრემლი ღაპალუბით ჩამოსდიოდა. ბიჭიც ტიროდა. შეგვეცოდა მამა-შვილი. გავეცი განკარგულება სასწრაფოდ დაგვეკავებინა ხუტორის შენობები. მოხუცის სახლში აღმოჩნდა მოკლული ქალი — ცოლი მისი, მოხუცის გოგონა როგორც იქ გვიამბეს, ოფიცერს თან წაეყვანა.

25 თებერვალს რიყრაჟამდე, აეროდრომისა და ხუტორის დასავლეთი ნაწილი დავიკავეთ და პოზიციები საიმედოდ გავამაგრეთ. საცხოვრებელი შენობები ვადა-ვაქციეთ საბრძოლო წერტილებად. პოლკის მარცხნივ განვალაგეთ ტანკსაწინააღმდეგო ჯგუფები, ყოველი ოცეულიდან გამოიყო ორი-სამი ყუმბარმტყორცნელი და სნაიპერი. ყოველ შენობას გაუყეთდა უკანასასვლელი ფარული კარები.

25 თებერვალს დილით გაჩაღდა გრანატებისა და შაშხანების ძლიერი ცეცხლი. უღმობელი იყო სნაიპერთა დუელი. დანაყოფებს შორის სატელეფონო კავშირი ხშირად წყდებოდა, ხოლო აღდგენა დიდი მსხვერპლი გვიჯდებოდა. დილით მოწინააღმდეგემ ვა-აძლიერა ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ცეცხლი, განსაკუთრებით ლეგიონის მო-გარეების სიღრმეში, მერე კი სცადა დაბა აბინსკაიდან მდინარის ფონის გადმოლახვა. მაგრამ ვერ შეძლო. ჩვენმა მეთვალყურემ შეამჩნია, რომ კრიმსკაიდან აბინსკაიაში შე-მოვიდა მოტორიზებული ქვეითი ჯარი. მივხვდით, მტერი დაბა აბინსკაიდან ტანკების მხარდაჭერით იერიშზე გადმოდიოდა. მივიღეთ საჭირო ზომები... დღე-ღამის განმავლო-ბაში არ შეწყვეტილა ცეცხლი. 26 თებერვალს, დილით, ტანკების მხარდაჭერით მტერა შეეცადა მდინარის გადმოლახვას. ტანკები შემოიჭრნენ მეორე ბატალიონის მარცხენა ფრთაზე. მტრის ქვეითი ნაწილები იზოლირებულ იქნა. ტანკები უკუვაგდეთ. დღის 11 სა-ათზე კვლავ განმეორდა იერიში იმავე რაიონში, მაგრამ მეორე დამესამე ბატალიონების კონტრდარტყმით მტერი კვლავ უკუიქცა.

26 თებერვალს 808-ე მსროლელი პოლკის საინჟინრო სამსახურის უფროსს კაპიტან კალანდას ვუბრძანეთ, სასანგრე ოცეულის მეტბრძოლებთან ერთად მოემზადებინა მდი-ნარე აბინკაზე გადასასვლელი. კალანდა იმ დამესვე გადავიდა მტრის მხარეზე და გასცა ჩვენი საიდუმლოება. იგი გარიყრაჟზე გამოუძღვა მტრის ჯავშანსატანკო ნაწილს, შე-მოუარა პოლკს მარცხენა დაუცველი ფრთიდან, შეიჭრა ზურგში, მიადწია სანიტარულ ასეულის განლაგებას და ტანკებით გაასრესინა ჩვენი დაჭრილი მეტბრძოლები. შუადღე-სას მტერმა მიიღო მშველი ძალები და დღის ბოლოს დაამთავრა 808-ე პოლკის გარემო-ცვა. შექმნილი მდგომარეობის შესახებ ვაცნობეთ დივიზიის სარდლობას და ეთხო-ვეთ დახმარება. მტერმა დღის ბოლოს გააჩაღა 808-ე და 810-ე პოლკების შუალედო და ამრიგად 808-ე პოლკი აღმოჩნდა ჩვენგან სრულიად იზოლირებული. დიდი მსხვერპლის ფასად მოახერხა პოლკმა გარემოცვის გარღვევა და დივიზიასთან შემოერთება. ამ ცხარე ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცა აკაკი ჩიმაკაძე.

დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი მელიქოვი, რომელმაც არ მიიღო სათანადო ზო-მები 808-ე პოლკის გარემოცვიდან გამოყვანისათვის, მოხსნა მთავარსარდლობამ. მარ-ტში 394-ე დივიზია გადაიყვანეს როსტოვის მიდამოებში, ხოლო მე, ფრონტის სარ-დლის, არმიის გენერლის პირადი თხოვნით, გადამიყვანეს 276-ე ქართული დივიზიის განკარგულებაში.

\* \* \*

მე აქ გავიხსენე ზოგიერთი ეპიზოდი ჩემი ფრონტული ცხოვრებიდან. რამდენი რამ უთქმელი დამრჩა! გავიხსენე და თვალწინ დამიდგა ჩემი მეტბრძოლების ნათელი სახეები.




მებრძოლებისა. რომლებიც არ ეპუებოდნენ ბუნების უმკაცრეს სტიქიას და სიძნელეებს...  
სიძნელეები კი მეომარს ყოველ ნაბიჯზე ხვდება.

მაგონდება პათოსით სავსე და გამარჯვების რწმენით პიტალო კლდესავით მტკიცე  
მეომრები. ძალას და გამბედაობას გვმატებდა ჩვენი დიდი სამშობლოს სიყვარული.  
როგორც იტყვიან, დულდა სისხლი ჩვენი ალისფერი. სამართლიანი და ურყევი იყო  
ჩვენი მიზანი და გადაწყვეტილება — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გვებრძოლა ვერა-  
გი მტრის წინააღმდეგ. რაღაც უნდა დაგვჯდომოდა, დაგვეცვა დიდი ოქტომბრის, ჩვენი  
ძმური საბჭოთა ხალხების დიადი მონაპოვარი. ბრძოლებში ბევრი მეომარი მამა-  
ცის სიკვდილით დაეცა. მათი ხატება ფიცად გვეწერა გულის ფიცარზე. ფიცად გვეწე-  
რა სულსა და გულში — სამშობლო და გამარჯვება!

თითქოს ახლაც მესმის ჩემი მებრძოლების ომახიანი სიმღერა:

მე ქართველი ბუხაიძე,  
ბაღყარეთის მთებში ვწევარ...  
რომ შემეძლოს საფლავიდან,  
ძმებო, მხრების წამოწევა,  
მე სიცოცხლეს ხელმეორედ  
შევწირავდი მშობელ მხარეს,  
შევწირავდი იმავ მიწას.  
დღეს რომ გულზე დამაყარეს.  
ვინც დამხედოთ, გადაეცით  
საქართველოს მთებს და ველებს,  
რომ მისი ძე, ბუხაიძე,  
აქა ველეტდი სისხლის მსმელებს,  
არ ვუშვებდი დარიალთან  
გააფთრებულ ყვითელ გველებს...  
მე საფლავში არა ვწევარ, —  
აქ დარაჯად დამაყენეს.  
და ვუბარებ ყოველ ქართველს:  
მისი წმინდა ვალი არი—  
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას  
დერბენტი და დარიალი.





## იასონ სპარსეაძე

### გმირთა ნაკვალევზე

1942 წლის 21 ივლისს ფაშისტთა ჯარებმა დიდი მსხვერპლის ფასად გაარღვიეს როსტოვის ფრონტი და წინ წაიწიეს კავკასიისაკენ. ხელთ იგდეს აზოვის ზღვის სანაპიროები, კრასნოდარის მხარე, ყუბანის მდიდარი ველები და ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიერკავკასიის დაპყრობით ფაშისტური სარდლობა მიზნად ისახავდა საიმედო პლაცდარმის შექმნას, რათა მჭიდრო კავშირი დაემყარებინა თურქეთის არმიასთან და შემდგომ გაჭრილიყო აზლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შეიმუშავა ღონისძიებანი მტრის უკუსვლებად. ჩრდილო კავკასიის ფრონტზე გააგზავნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული დივიზიებიც, რომელთა შორის

იყო 392-ე ქართული მსროლელი დივიზია. მას დავალება მიეცა შეეზოკა მტრის ძალები, მტკიცედ ჩაეკეტა ელზოტოვოს „კარები“ და მაძისონის უღელტეხილის მისაღვომები.

1942 წლის 26 აგვისტოს დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ ი. სილაგაძეს 37-ე არმიის სარდალმა უბრძანა მოგერიებიდან შეტევაზე გადასულიყო. ჩვენს მეომრებს ელოდა სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლები. საქმე ის იყო, რომ მტერმა მიუვალად აქცია კრასნაია პოლიანა, პრავოურვანსკი, სოვეტსკოე, ვლადიმირსკოე, კოტლიარევსკაია, სლავინსკი, მაისკოე, ბუგაევი, ნოვოვიანოვსკი და სხვა სოფლები. ამ ადგილებიდან მტრის გაძევება ადვილი როდი იყო.

ამ ბრძოლებში ქართველმა მეომრებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს, თავზარს სცემდნენ მტერს.



ამიტომაც იყო, რომ ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების სამხედრო საბჭონ მრავალი შეფასება მისცა 392-ე დივიზიის თავგანწირულ ბრძოლას.

1942 წლის 20 ოქტომბერს ი. სილაგაძე თბილისში გადაიყვანეს და დივიზიის სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი გ. ყუფარაძე. დივიზია მოემზადა ახალი ძლიერი შეტევისათვის... და იგი მალე დაიწყო კიდეც... ქართველმა მეომრებმა სასახლოდ შეასრულეს სარდლობის დავალება, თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად. ამ ბრძოლებში თავდადებისა და მამაცობის გამოჩენისათვის კაპიტნებს ალექსი პირმისაშვილს და ვლადიმერ ლურსმანაშვილს, პოლიტბელს ვლადიმერ კანკავას საბჭოთა კავშირის გმირის, ზოლო გ. ყუფარაძეს გენერალ-მაიორის წოდებები მიენიჭათ.

ტრაგიკულად დასრულდა ბატალიონის მეთაურის კაპიტან მიხეილ ბუხაიძის მღელვარე სიცოცხლე. მის ბატალიონს პრავოურვანსკი უნდა დაეკავებინა. იგი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიატოვა და წინ გაუძღვა თავის მეგობრებს შეძახილით — მე თქვენთან ვარ, ამხანაგებო, წინ სამშობლოსათვის! ბატალიონი იერიშზე გადაიყვანა და კიდეც გასწმინდა მტრებისაგან პრავოურვანსკი. მაგრამ იმ ცხარე ბრძოლებში კაპიტანი ბუხაიძე დაეცა მამაცთა სიკვდილით — მტრის ნაღმის ნამსხვრევებმა მას მკერდი დაუფლითა. საყვარელი მეთაური მეგობრებმა

და თანამებრძოლებმა სოფლის რკინიგზის ახლოს დაასაფლავეს.

126 მეგობრილიდან, რომლებიც 1941 წლის 26 ხოვებერს გაემგზავრნენ ბათუმიდან კავკასიის ფრონტზე, 50 ბრძოლის ველზე დაეცა.

ცოცხალი აღარაა ბევრი მათგანი, რომლებიც 1942 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში კავკასიის მისადგომებს იცავდნენ. ხსენებული დივიზიის 1500-მდე მეგობრის სიცოცხლე შეეწირა კავკასიის გადარჩენას, მაგრამ ვინც ომის ხანძარში დაიფრთხლა და თავზე კვამლად გადავიარა, იგი მარად უკვდავია.

მას შემდეგ ორ ათეულზე მეტი წელი გავიდა. გაივლის კიდევ მრავალი ათეული, ასეული წელი და კვლავაც დიდებით მოიგონებენ კავკასიისათვის ბრძოლებში დაღუპულთ.

ჩვენს მშობლიურ ქალაქშიც ცხოვრობენ კავკასიის დაცვისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილენი. მრავალ მათგანს ვიცნობ და ახლო მეგობრობაც გვაქვს. ჩვენ, იმ ბრძოლების მონაწილეთ, სურვილი აღგვეძრა გვემოგზაურა 392-ე ქართული დივიზიის ნაკვალევზე...

ეს მოხდა ამ დღეებში...

უკან მოვიტოვეთ სოხუმი, სოჭი, ტუაფსე, არმავირი, მაიაკოვსკი, პიატიგორსკი, კრასნოდარისა და სევასტოპოლის მხარეები და ჩავედით ნალჩიკში. დავათვალიერეთ 392-ე დივიზიის მიერ ბრძოლით განვლილი სოფლები, რაიონული



ცენტრები და ქალაქები: მაისკი, ბაქსანსკი, ნოვოივანოვსკი, კრასნაია პოლიანა, პრავოურვანსკი, კოტლიარევსკაია, სლავინსკი, ჩეგეში, ცხენსაშენი, ძუგაევი, შეხვედრები გვქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, იმართებოდა სახელდახელო მიტინგები, ყვავილებით ვამკობდით სამომ საფლავებს.

ცოტა რამ მინდა გიამბოთ იმის შესახებ, რაც იქ ვნახეთ.

მარადიული ცეცხლი გიზგიზებს ხუტორ ბაქსანის ძმათა სასაფლაოზე. მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილია 298 მეომრის გვარი, რომელთაგან 24 ქართველია. ამ ხუტორიდან ომში წასულა 582 კაცი, რომელთაგან 213 ოჯახს ვეღარ დაუბრუნდა. ზოგი დაეცა მშობლიური სოფლის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში, ზოგი კიდევ ვინ იცის სად... ძმათა სასაფლაოს ყოველდღიურად ცოცხალი ყვავილებით ამკობენ პიონერები, ძმათა სასაფლაოს დედობრივი მზრუნველობით უვლიან მოხუცი ქალები — ალა აკულენკო და ქსენია სიხოტა.

მაშინ აქ ქუხდა კაპიტანი ბუხაიძეც, აქ დასცა იგი მტრის ულმო ბელმა ტყვიამ. ვეძებთ, მაგრამ ვერ მივაკვლიეთ მის საფლავს და შევწუხდით... და როცა ეს გაიგო მაისკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მიხეილ კისელიოვმა, გვითხრა — თქვენი და ჩვენი საყვარელი ადამიანი ბუხაიძე დიდი ხანია, რაც გადავასვენეთ ნოვოივანოვკაში.

კოლმეურნეობის ვეებერთელა

კულტურის სახლის წინ პარკში ძმათა სასაფლაოზე აღმართულია ობელისკი. მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილ გვარებს შორის ბევრი ჩვენი თანამემამულის გვარიც ამოვიკითხეთ. ამ სოფლიდან ომში წასულა 450 კაცი, რომელთაგან 181 მეგრძოლი ბრძოლის ველზე დაეცა.

სად, რომელ სოფელში არ შეხვდებით ძმათა სასაფლაოებს! სასაფლაოთა უმრავლესობა განათებულია მარადიული ცეცხლით, ადგილობრივი მოსახლეობა სათუთად უვლის მათ.

მაისკის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე აქ აღმართეს გმირთა ძეგლი-ობელისკი. მისი აშენებისათვის მშრომელებმა გაიღეს 16 ათასი მანეთი. სამამულო ომის ბევრმა ვეტერანმა მთელი თვის ხელფასიც კი გაიღო. ეს ოთხკუთხა ობელისკი 12,5 მეტრი სიმაღლისაა. ერთ მხარეზე ასეთი წარწერა აქვს: „1942-1945 წლებში დაღუპული მეგრძოლების უკვდავსაყოფად მაისკის მშრომელებისაგან“. ობელისკზე ამოკვეთილია 800 მეგრძოლის გვარი, რომლებიც მაისკის ველებზე დაეცნენ გმირთა სიკვდილით. აქვე დგას ქანდაკება მეგრძოლისა, რომელსაც ხელში დროშა უჭირავს.

მნახველის გაცეხას იწვევს ქალაქ ნალჩიკის კულტურისა და დასვენების პარკში აღმართული ობელისკი, რომლის სიმაღლე 8 მეტრს შეადგენს. იგი საოტრებად გადაუქცევიათ მის შემქმნელ ოსტ-




ტებს. მის წინ მარადიული ცეცხ-  
ლი გიზგიზებს. საათში ერთხელ  
„მიწიდან“ ისმის სამგლოვიაო მე-  
ლოდიები, რაც 20 წუთს გრძელ-  
დება. სამგლოვიაო მელოდიებს  
გადმოსცემს „ქალთა ანსამბლი“.  
ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თი-  
თქოს დაღუპულ შვილებს დასტი-  
რიან გულდათუთქული დედები.  
უსმენ ამ სამგლოვიაო მელოდიას  
და ტანში გზარავს, შენდაუნებუ-  
რად თვალთაგან ცრემლები გად-  
მოგცვივა. მარმარილოზე ამოკვე-  
თილი 34 მეომრის გვარიდან სამი  
ქართველი აღმოჩნდა. აქ დაცემუ-  
ლთა პატივსაცემად გაიმართა სა-  
ხელდახელო მიტინგი. ორატორე-  
ბი ამალელვებელი სიტყვებით

აღიღებდნენ გმირებს, რომლებიც  
ამ ქალაქისათვის ბრძოლაში დაეც-  
ნენ.

უცრემლოდ ვერ გაეცლები ძმა-  
თა სასაფლაოებს.

მეგობარო, თუ არ გინახავს, წა-  
დი და შენი თვალით ინახულე ძმა-  
თა სასაფლაოები, იქ აღმართული  
ძმათა ობელისკები... ისინი მოგა-  
გონებენ, თუ რას ნიშნავს  
მშობლიური მიწის უზადო სიყვა-  
რული, თუ რაოდენი სისხლი დაი-  
ღვარა ჩვენი ბედნიერებისათვის.

სამარადისო ხსოვნა ჩვენი ლა-  
მაზი სამშობლოს თავდადებულ  
დამცველებს, რომლებიც დაეცნენ  
თავისი ხალხის განსაღიდებლად!







## აშოკან შაკაშოქა

### დრაიზერი და ჩვენი ქვეყანა

ოქტომბრის რევოლუციამ, რომლითაც ახალი ხანა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, შესძრა მთელი მსოფლიო. ჩვენი ქვეყანა პირველი იყო, რომელმაც დაამსხვრია ძველი სახელმწიფოებრივი წყობილება და მის ნანგრევებზე შექმნა ახალი, სოციალისტური სახელმწიფო. ამიერიდან შრომა გათავისუფლდა ბოროტებისაგან და მშრომელი ადამიანი გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი. ამ დიდმა ისტორიულმა მოვლენამ არა ერთ ცნობილ უცხოელ ადამიანზე მოახდინა გადამწყვეტი გავლენა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ამერიკელი მწერალი თეოდორ დრაიზერი.

დრაიზერი საბჭოთა კავშირის მთავრობის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 10 წლისთავის დღესასწაულზე. იგი იყო მოსკოვსა და ლენინგრადში, შემდეგ კი ჩვენი ქვეყნის სამხრეთში გამოემგზავრა. ინახულა საქართველო (თბილისი, ბათუმი).

თეოდორ დრაიზერი აღტაცებაში მოიყვანა ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა, ზღვისპირა პარკმა და ქართულმა სიმღერებმა.

დრაიზერი გულწრფელი სიყვარულით განიშკვალა ახალგაზრდა სოციალის-

ტური ქვეყნისადმი, მისი ადამიანებისადმი, რომლებიც დიდი პათოსით აშენებდნენ ახალ ცხოვრებას.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თ. დრაიზერმა დაწერა აღფრთოვანებული წიგნი საბჭოთა კავშირზე.

მწერლის მეუღლე ელენე დრაიზერი თავის მემუარებში წერს: იგი ბევრს მომითხრობდა იმაზე, თუ რა მამაცნი არიან საბჭოთა ადამიანები; რომ გამსჭვალული არიან იმედითა და ჭეშმარიტი აღფრთოვანებით და ახლა ისინი ხელმეორედ დაბადებას განიცდიანო. საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა ამას და უხაროდა, რადგან გულწრფელად შეიყვარა საბჭოთა ხალხი. ამ გრძნობასთან ერთად მას აღეძრა ამ ხალხის შემდგომი ზრდის, წარმატებისა და ბედნიერების ღრმა სურვილი.

კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლ მწერალს სურვილი აღეძრა გამხდარიყო კომუნისტი, რადგან მან კომუნისტებში დაინახა სიმართლე და ხალხის მომავალი.

1945 წლის ივნისში დრაიზერმა ამერიკის შეერთებულ შტატების კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს უ. ფოსტერს გაუგზავნა წერილი; რომ-



მელშიც იგი ითხოვდა მიეღოთ კომუნისტური პარტიის რიგებში. „ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების მთელმა გზამ, — წერდა დრაიზერი, — ლოგიკურად მიმიყვანა კომუნიზმის ბანაკში, და მე ეთხოვ კომუნისტურ პარტიას, მიმიღოს თავის რიგებში“.

დიდი ამერიკელი მწერალი და პროგრესული საზოგადო მოღვაწე თეოდორ დრაიზერი გარდაიცვალა 1945 წლის 28 დეკემბერს, მაგრამ თავისი შემოქმედებით იგი დღესაც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მოწინავე მებრძოლთა შორის დგას.

თ. დრაიზერი, როგორც მწერალი, ყალიბდებოდა ვასილი საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ამერიკის კაპიტალიზმი უკვე დაადგა იმპერიალისტური განვითარების გზას. დრაიზერის გულწრფელი სურვილი იყო „ეთქვა სიმართლე, როგორიც ის არის“, „ეჩვენებინა კაპიტალისტური ამერიკა შეუღამაზებლად; ცინიკურად გაშიშვლებული სოციალური უთანასწორობა, უფსკრული, რომელიც ჰყოფს ამერიკის საზოგადოებას“ ორ მოპირდაპირე ბანაკად; ეჩვენებინა კონტრასტი სიმდიდრესა და სიღატაკეს შორის, საზიზღარი იერარქია იმპერიალისტური ამერიკისა.

თ. დრაიზერი ჯერ კიდევ რეპორტიორი იყო, როცა ღრმად ჩაწვდა „ცხოვრების ამერიკული წესის“ არსს. მან დიდი მხატვრული ძალით გვიჩვენა კაპიტალისტური ამერიკის ნამდვილი სახე თავის პირველსავე რომანში „ვერი“. ამ ნაწარმოებში რეალისტურადაა ასახული კაპიტალისტური საზოგადოება, სადაც შეუძლებელია ნამდვილი ბედნიერება.

ლიტერატურული მოღვაწეობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე თ. დრაიზერმა ბევრი მრავალმხრივ საინტერესო მხატვრული ნაწარმოები შექმნა, რომელთაც ავტორს საპატიო ადგილი მიანიჭეს მსოფლიო ლიტერატურაში. „სურვილის ტრილოგიაში“, რომანებში „ტიტანი“ და „ფინანსისტი“ მწერალი გვიჩვენებს იმას, თუ რა საზიზღარი გზით მდიდრდებიან კაპიტალის-

ტები. რომანში „ამერიკული ტრაგედია“ აგრეთვე „ტრაგიკულ ამერიკაში“ დიდი დამაჯერებლობით ახსელს ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივ საზოგადოებრივ წყობილებას.

პირველსარისხოვანმა რომანებმა, სტატიებმა და მგზნებარე სიტყვებმა მშვიდობისა და დემოკრატიის დასაცავად თ. დრაიზერს ამერიკის ფართო მასებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის სიყვარული და პატივისცემა მოუხვეჭეს.

დრაიზერი ხაზგასმით აღნიშნავდა კომუნისტების გადაწყვეტ როლს ფაშისტთან ბრძოლაში. იგი წერდა: ფაშისტების მიერ განაწამებ ევროპაში, რომელიც ჰიტლერელთა სამხედრო ხროვის თვითნებობის უღელქვეშ სულს ღაფავს, აღდგენ კომუნისტები, რათა ყველგან სათავეში ჩაუდგენ წინააღმდეგობის მოძრაობას. მას კომუნისტები მიაჩნდა ქვეშაირი დემოკრატიის ყველაზე საიმედო ბურჯად. მკაცრად ამხილებდა გაფთვებული რეაქციის მონაჭორს „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ. მწერალი აფრთხილებდა ამერიკის ყველა პატიოსან ადამიანს: კომუნისტები შეადგენენ ჩვენი ერის სასიცოცხლოდ საჭირო და შემოქმედ ნაწილს და ერის ერთიანობა, ეროვნული დემოკრატია სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ ეს ანგარიშს არ გავუწევთ კომუნისტებსო.

თ. დრაიზერი ხშირად მოუწოდებდა ხალხს, ეფიქრა კაცობრიობის მომავალზე, სამარცხვინო ბოძზე გაეყრა ომის გამჩაღებლები.

მშვიდობისა და ცივილიზაციის მტრები უსირცხვილოდ თხზავდნენ ჭორებს და ცილს სწამებდნენ, ლაფში სვრიდნენ მის სახელს, მაგრამ მწერალი არ უშინდებოდა რეაქციულ ძალებს, მტკიცედ უტევდა მათ. რომანის „გენიოსის“ ახალ ვარიანტში დრაიზერი დამაჯერებლად გვიჩვენებს უოლ-სტრიტის ოლიგარქიის მისწრაფებას — ჩაახშოს მწერალთა და ხელოვანთა თავისუფალი აზრი და კაპიტალის მონებად აქციოს ისინი. მაგ-



რამ თვითონ დრაიზერი ნათელი მაგალითია იმისა, რომ გარდუვალად უერთდება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს ყველაფერი, რაც პროგრესული და სოციალისტური სულისკანონიანია კაპიტალიზმის ქვეყნების კულტურაში.

თ. დრაიზერი სიყვარულითა და აღტაცებით ლაპარაკობდა ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოზე, „რომელსაც ამოძრავებს თავისთავისა და მთელი კა-

ცობრიობის ძალების რწმენა“. მან მსჯელობა დაიწყო ციალური სტატია „მიუძღვნა ლენინს“.

ოქტომბრის იდეებით აღფრთოვანებული ა. დრაიზერი მტკიცედ ჩადგა კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. იგი იყო მთელი მსოფლიოს ხალხთა ერთიანობის მგზნებარე მქადაგებელი, ამიტომ უყვართ თ. დრაიზერი მსოფლიოს ხალხებს და პროგრესულ ადამიანებს.

## რუსეთის რევოლუციის სარკე

გენიალური რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის სახელი მჭიდროდა დაკავშირებული საქართველოსთან. არა ერთი რუსი მწერლის, მათ შორის ლ. ტოლსტოის ლიტერატურული აკვანიც საქართველოში დაირწა. აქ დაამთავრა მან თავისი ნაწარმოები „ბავშვობა“ და აქედანვე გაუგზავნა იგი ნეკრასოვს ჟურნალ „სოვრემენიკისათვის“, სადაც დაიბეჭდა კიდევ.

1851 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის მიტოვების შემდეგ, ლ. ტოლსტოი საქართველოსაკენ (თბილისისაკენ) გამოემგზავრა მისი ძმის — ნიკოლოზის მოწვევით. ნიკოლოზი მაშინ თბილისში არმიაში მსახურობდა.

იმავე წლის 12 ნოემბერს ლ. ტოლსტოი დეიდის ტატიანა ალექსანდრეს ასულ ერგოლსკაიასადმი მიწერილ ბარათში ასე ახასიათებს თბილისს: „თბილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, რომელიც ძლიერ ბაძავს პეტერბურგს და ეს ძალუძს კიდევაც“.

წერილებსა და დღიურებში ლევ ტოლსტოი ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენიებს კავკასიას, კერძოდ, ქართველ ხალხს, აღფრთოვანებულია კავკასიის ბუნების მშვენიერებით, მისი პირველქმნილი პეიზაჟებით.

1852 წელს ტოლსტოი წერდა: მე არასოდეს არ ვნანობ, რომ კავკასიაში ჩამოვედი; არასოდეს არ მიცხოვრია იმაზე უფრო კარგად, არ მიგრძენია თა-

ვი ისე თავისუფლად, როგორც იმ რვა თვეს, რომელიც თბილისში გავატარე!

ტოლსტოი ახლო იცნობდა ბევრ ქართველ საზოგადო მოღვაწეს. განსაკუთრებით დიდი მეგობრობა აკავშირებდა მას ილია ნაკაშიძესთან და სიმონ ესაძესთან, რომლებმაც მას დიდი სამსახური გაუწიეს ჰაჯი მურატის ცხოვრების შესახებ სათანადო მასალების შეგროვებაში.

საქართველოში მცხოვრები რუსი „დუხობორების“ (ტოლსტოის რელიგიურ მოძღვრებასთან ახლო მდგომი ადამიანების) ინტერესების დაცვისათვის მეფის მთავრობამ ილია ნაკაშიძე კავკასიიდან გადაასახლა. ი. ნაკაშიძე მოსკოვს გაემგზავრა, სადაც იგი გულთბილად მიიღო და შეიფარა ტოლსტოიმ. მალე მოსკოვში ჩავიდა ი. ნაკაშიძის მეუღლე ნინო ნაკაშიძეც. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა ამ ორი ოჯახის მეგობრობა.

ტოლსტოი ყოველთვის ოცნებობდა კიდევ ერთხელ ენახა საქართველო, სადაც იგი ახალგაზრდა ოფიცერი ჩამოვიდა და საიდანაც დაბრუნდა, როგორც საქვეყნოდ აღიარებული მწერალი.

1903 წელს ილია ნაკაშიძე საქართველოში გამოემგზავრა პოლიციის ნებადართულად. სამშობლოსაკენ მომავალს ავადმყოფი ტოლსტოი შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა: „მე ჩამოვალ თქვენს სამშობლოში. დიახ, უთუოდ



შესტუმრებით საქართველოში. კვლავაც ვიხილავ საქართველოს მზეს, ადგები და წამოვალ“. მაგრამ ღრმა მოხუცებულობამ და ავადმყოფობამ აღარ დააცალეს მას აესრულებინა გულწრფელი დანაპირები.

საინტერესოა და მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს ლ. ტოლსტოის ცხოვრება-დან.

ტოლსტოიმ გულთბილი მიმართვა გაუზიარა აჯანყებულ ქართველ გლეხობას 1905 წლის რევოლუციის დღეებში.

ცნობილია, რომ გურული გლეხების შეიარაღებულმა გამოსვლამ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ფართო ხასიათი მიიღო. აჯანყებულმა ქართველმა გლეხებმა ნათლად გამოხატეს თავიანთი მისწრაფება სოფელ ჯვარცმის (ჩოხატაურის რაიონი) დამსჯელი ექსპედიციის უფროსის კრიმ-გირეისადმი მიმართვაში. როგორც ი. ნაკაშიძე იგონებს, გლეხებმა მოითხოვეს კანონის წინაშე ყველა წოდების გათანაბრება, სავალდებულო, საყოველთაო და უფასო სწავლების შემოღება, ამასთან დაბალ კლასებში ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლება.

გურიის 1905 წლის აჯანყებას დიდად აღუდევებია გენიალური მწერალი. იგი ღრმად დაინტერესებულა გურიის ამბებით და ილია ნაკაშიძის შემწეობით სპეციალური წერილი-მიმართვაც კი გაუგზავნია აჯანყებულებსათვის (ეს წერილი ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება).

ილია ნაკაშიძემ ტოლსტოის წერილი გურიაში ჩამოიტანა და ხალხმრავალ მიტინგზე უკითხავდა გლეხობას.

გურიის აჯანყების შესახებ ტოლსტოი აღტაცებით სწერდა ნაკაშიძეს: „არა მარტო მე, არამედ მრავალი შეჰხარის და მზად არიან რითაც შესაძლებელი და საჭიროა დაეხმარონ მათ, რაკი ასეთი დიდი საქმე დაიწყეს და კიდევაც ბევრი რამ გააკეთეს. ისინი ხელს არ აიღებენ ამაზე, ისევ ამ გზას გააყვებიან და ხალხს მავალითს უჩვენებენ“.

აჯანყებულებზე შთამაგონებლად უმოქმედია დიდი რუსი მწერლის გულთბილ სიტყვებს, აღუფრთოვანებია ისინი და მათი საბრძოლო სულისკვეთება კიდევ უფრო გაუღვივებია.

დღეს ტოლსტოის გენიალური მხატვრული მემკვიდრეობა ყველა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის კუთვნილებაცაა, ტოლსტოის ბევრი ნაწარმოები თარგმნილია ქართულად. საქართველოს მშრომელები დიდი სიყვარულით წარმოთქვამენ ტოლსტოის სახელს, ადამიანისა, რომლის შემოქმედება „რუსეთის რევოლუციის სარკედ“ არის აღიარებული. ლევ ტოლსტოიმ ხომ უდიდესი წვლილი შეიტანა „კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“.



# ქ ა ჯ ა რ ი ს ნ ა რ ს ე რ ი ა ზ

## საჩივრთა ახვლედიანი

### ბ რ ძ ო ლ ა დ ა გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეორე დღეს, 26 ოქტომბერს გაიმართა რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტის წევრთა ერთი ჯგუფის საერთო კრება, რომელმაც პეტროგრადის საბჭოს ასეთი მისაღება გაუგზავნა: „ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფი გამოთქვამს თანაგრძნობას და აღტაცებას და ვალდებულებას იღებს მხარი დაუჭიროს საბჭოთა ხელისუფლების პროგრამას, რომელიც პეტროგრადის საბჭომ დასახა“. (გაზ. „კავკასიის რაბოჩი“, 1917 წ. № 194).

რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტის დადგენილებით 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა რევკომი, რომელიც ებრძოდა თეთრგვარდიელებს და რაზმავდა აჭარის მოსახლეობას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. რევოლუციურმა კომიტეტმა შეადგინა წითელგვარდიული რაზმი, რომლის ამოცანას შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა. ასეთივე რევოლუციური კომიტეტი შეიქმნა ტრაპიზონის რაიონში განლაგებულ ჯარის ნაწილებშიც. სექტემბერში ბათუმის კომიტეტთან უკვე არსებობდა სამხედრო საზღვაო კომიტეტი, რომელიც დიდ მუშაობას ეწეოდა ჯარისკაცებსა და

მეზღვაურებთან. იგი მხოლოდ „სოენარკომს“ სცნობდა. („სვობოდნაია ჟიზნი“, 1918 წ., № 189).

როგორც ცნობილია, 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა ამიერკავკასია „დამოუკიდებელ“ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი თავისი „დამოუკიდებელი“ პოლიტიკით ჩამოშორდა რუსეთს და იგი ძლიერი ოსმალეთის პირისპირ აღმოჩნდა. სამწუხაროდ, კომისარიატმა ვერ შეინარჩუნა სამხრეთ საქართველოს ტერიტორია; 1918 წლის აპრილში ოსმალებმა ბათუმის ოკუპაცია მოახდინეს.

სულთანი აჭარლებს ავტონომიას პირდებოდა, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე აჭარლები საქართველოს ერთიანობისათვის იბრძოდნენ. ჩვენი მხარის მკვიდრი ჰაიდარ აბაშიძე სასტიკად ილაშქრებდა სულთანის ამ „დაპირების“ წინააღმდეგ. „დღეს ჩვენ ხალხს, — წერდა იგი, — ოსმალეთის არაფერი სჯერა და არც მისი გულუხეობა ესაჭიროება... ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს არასოდეს არ გვენდობოდა... ეს ასეც უნდა მონდარიყო, რადგან ჩვენ ქართველები



გარტ და შევადგენთ საქართველოს განუ-  
გრელ ნაწილს“.

ოქტომბრითა აღსასრულის დღემ დად-  
გა. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდრო-  
სის შეთანხმების თანახმად ოსმალეთი  
ტოვებს ბათუმის ოლქს. ოსმალთა მიერ  
დევნილი პროგრესული აზრლები 1918  
წლის მაისში თბილისში აარსებენ სამუ-  
სლიმანო საქართველოს განმათავისუფ-  
ლებელ კომიტეტს. ეს კომიტეტი დიდ და  
ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, იგი მუს-  
ლიმან და ქრისტიან ქართველებს გაერ-  
თიანებისაკენ მოუწოდებდა.

სამუსლიმანო საქართველოს განმა-  
თავისუფლებელი კომიტეტი შედგებოდა  
შემდეგი ამხანაგებისაგან: მემედი აბაშიძე  
(თავმჯდომარე) ჰაიდარ აბაშიძე (მოად-  
გილე), სულეიმან დიასამიძე (მდივანი),  
ზაია აბაშიძე, ხასან თხლიაშვილი, ქემალ  
ნოღაიდელი, ყადირ შერვაშიძე, იუსუფ  
ქათამაძე, სულეიმან ბეჟანიძე და სხვ. სა-  
მუსლიმანო საქართველოს განმათავისუფ-  
ლებელმა კომიტეტმა დააარსა საკუთა-  
რი გაზეთი „სამუსლიმანო საქართვე-  
ლო“, რომელიც აქტიურად იბრძოდა სა-  
ქართველოს ერთიანობისათვის.

როგორც ცნობილია, მემედი აბაშიძე  
ამ კომიტეტის არჩევნებს არ ესწრებო-  
და... ოსმალთა ხელისუფლებმა იგი  
რამდენიმე ამხანაგთან ერთად დაპატიმ-  
რეს და ტრაპიზონის ციხეში გაგზავნეს.  
იქედან მემედი მალე გამოიქცა და  
ფოთს შეაფარა თავი.

1918 წელს აჭარიდან განდევნილმა ამ-  
ხანაგებმა თავი შეაფარეს ოზურგეთს  
და იქ განაგრძობდნენ სამუსლიმანო სა-  
ქართველოს განმათავისუფლებელი კო-  
მიტეტის წამოწყებას. ისინი აჭარაში  
გზავნიდნენ პროპაგანდისტებს, ავრცე-  
ლებდნენ ლიტერატურას და აღედგენენ  
მონასტრისათა რაზმს. ეს რაზმი შევიდო-  
და ბათუმის ოლქში, როცა ამ უქანას-  
კნელს დატოვებდნენ თურქები..

\* \* \*

მემედი აბაშიძე ჯერ კიდევ ადრე ოც-  
ნებობდა მეფის თვითმპყრობელობის და-  
შვობაზე. იგი წერდა: — ჩვენ, მცირე  
გვუფს, გვჭერა, რომ თვითმპყრობელი

ბიუროკრატის მიერ შექმნილი უნა-  
დაგო და წარმავალი ძალმომრეობა... უე-  
ჭველია, მალე თუ გვიან მათის დამარც-  
ხებით უნდა. გათავდეს. (ყურნ. „ნიშა-  
დური“, 1907 წ. № 10).

მემედი აბაშიძე თავის „ავტობიოგრა-  
ფიაში“ გადმოგვცემს: — გასული საუ-  
კუნის ბოლოდან ურყევად ვიდექი საქარ-  
თველოს, მთლიანობის ნიადაგზე და ბრძო-  
ლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტი-  
კი იერიში მომიგერიებია როგორც პრე-  
საში, ისე ყრილობაზე გამოსვლით. (მე-  
მედი აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ი. სი-  
ხარულიძის რედაქციით, 1967 წ. გვ. 70).

1917 წლიდან, როცა მემედი გადასახ-  
ლებიდან ბათუმში ბრუნდება, თავის გა-  
რემეო იკრებს ქართველ მუსლიმან ახალ-  
გაზრდებს: ს. დიასამიძეს, ჰაიდარ აბა-  
შიძეს, ზ. შერვაშიძეს, ხ. ვარშანიძეს, ჯ.  
ქიქავას და სხვებს. მისი ხელმძღვანელო-  
ბით აარსებენ ბათუმის ოლქის ქართველ  
მუსლიმანთა კომიტეტს, რომლის მიზანს  
შეადგენდა სამუსლიმანო საქართველოს  
მოსახლეობისათვის გაეცნო ჩვენი ის-  
ტორია, გაეფიქრობინათ იგი, დაე-  
რაზმა საქართველოს ერთიანობისათვის  
საბრძოლველად. შემდეგ უფრო ფართო  
მასშტაბით მუშაობის გასაჩაღებლად მო-  
წვეულ იქნა სამხრეთ საქართველოს ქარ-  
თველოა დიდი კრება, რომლის მონაწი-  
ლეებმა განიხილეს კომიტეტის მუშაობა  
და დაამტკიცეს მისი შემადგენლობა.

ამ პერიოდში აჭარაში ფეხმოკიდებუ-  
ლია პანისლამის წრე, რომელსაც კეპეა-  
ელა ე. წ. ბაქოს საქველმოქმედო საზოგა-  
დოების განყოფილება, იგი ეწეოდა  
პანისლამიზმის პროპაგანდას. მ. აბაშიძემ  
ამ საზოგადოებას დაუპირისპირა მის მიერ  
ახლად შექმნილი საქველმოქმედო საზო-  
გადოება, ეს უქანასკნელი ააშკარავებდა  
ბაქოელ მილიონერთა საქველმოქმედო  
საზოგადოების ბოროტ ზრახვებს, მემედი-  
მა მის მიერ შექმნილი საქველმოქმედო  
საზოგადოება და ქართული საქველმოქ-  
მედო საზოგადოება 1918 წ. გააერთიანა  
და შექმნა ბათუმის ოლქის ქართველ მუ-  
სლიმანთა ერთიანი საქველმოქმედო სა-  
ზოგადოება.



სამუსლიმანო საქართველოს განმათავსებელი კომიტეტი გადმოდიხ ბათუმში და იწყებს გაცხოველებულ მუშაობას. 1919 წელს მოიწვიეს ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც სამუსლიმანო საქართველო დედასაქართველოს განუყრელ ნაწილად ერთხმად აღიარა და აღუთქვა მასთან შეერთება. ყრილობამ აირჩია მეჯლისი შემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით. შემდეგ იგი ფ. მახარაძისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: — მთელი ჩემი წარსული ცხოვრება და საზოგადო მოღვაწეობა ორგანულად დავუკავშირე სამუსლიმანო საქართველოს ბედ-იღბალს.

ანგორის დელეგაციისა და პანისლამისტების ცდა ბათუმის ოლქი შეერთებოდა ოსმალეთს ავტონომიის უფლებით, ჩაშალა შემედ აბაშიძემ. მან ერის ერთიანობის პრინციპი ბოლომდე დაიცვა. მ. აბაშიძე თავის ერთგულ თანამოაზრეებთან ს. დიასამიძესა და ჰ. აბაშიძესთან ერთად მტკიცედ იღვწოდა აჭარის დედასაქართველოსთან შეერთების წმიდათაწმიდა იდეის განსახორციელებლად.

\* \* \*

1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმში შემოვიდა 5 გემი, მათ მოჰყვა ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის 15 ათასი ჯარისკაცი. დაიპყრეს ბათუმის ოლქი და შექმნეს „დამოუკიდებელი“ პატარა სახელმწიფო მარიონეტული მთავრობით, რომელსაც მეთაურობდა შავრაზმელი მასლოვი, ფაქტიურად კი ამ „მთავრობის“ ძალაუფლება გენერალ-გუბერნატორის კუკ-ჟოლისის ხელში იყო. ოკუპანტებს მიზანს შეადგენდა ამიერკავკასიის სიმდიდრის ხელში ჩაგდება, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, ხალხთა შორის შუღლის გაღვივება და, რაც მთავარია, რუსეთში ბოლშევიზმის ჩახშობა.

ბოლშევიკები მასებს ორგანიზაციულად რაზმადგენენ და მოსვენებას არ აძლევდნენ ოკუპანტებს. ბოლშევიკების გადაწყვეტილებით „ჯოჯოხეთური მანქანით“ ააფეთქეს გემები „ვოზროჟდენიე“ და „სვეტი“, რომლებსაც ვრანგელისათვის ბენზინი, ნავთი, სურსათ-სანოვავე

და იარაღი მიჰქონდათ. ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ აჭარელ ხობაშიც, სოფლებში ეწყობოდა გლეხთა გამოსვლები და აჯანყებები.

ინგლისელების ბატონობის დროს ბათუმის პარტიული ორგანიზაცია დიდ ძალას წარმოადგენდა, იგი მხნედ იკრებდა ძალებს ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად მკაცრი საოკუპაციო რეჟიმისა, აჭარის მშრომელ მასებში არა თუ შესუსტდა ბოლშევიკური გავლენა, არამედ გაძლიერდა კიდევ. განსაკუთრებით ძლიერი იყო პარტიული ორგანიზაცია ბათუმში. (საქ. კვ. ისტორიის ნარკვევები, 1957 წ. გვ. 456).

ამ წლებში მუშების და საერთოდ ქალაქის ცხოვრება საშინლად გაუარესდა. 1919 წ. 2 აგვისტოდან პროდუქტებზე შემოღებულ იქნა საბარათო სისტემა. სასურსათო ბარათების გასაცემად ქალაქი დაიყო პუნქტებად. ბარათებს არაგვებდნენ სპეციალურად გამოყოფილი პირები (გაზ. „ნაშ კრაი“, 1919 წ. № 183).

ინგლისელ ოკუპანტებს სრულებით არ აინტერესებდათ მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სამაგიეროდ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, თავგამოდებით ეხმარებოდნენ დენიკინს. ამას ადასტურებს პოლკოვნიკ გედევანიშვილის 1919 წლის 11 იანვრის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრისადმი: — ბათუმში დარჩენილი სამხედრო ქონება და საბრძოლო მასალა ინგლისელებმა მიიღეს თურქეთისაგან და გადასცემენ დენიკინს. ამ ქონების მისაღებად ბათუმში ჩავიდა გენერალი ოგანოვსკი რამდენიმე ოფიცერთან ერთად. ამ ქონების დატვირთვა გემზე უკვე დაიწყო (ცსა, ფონდი 51, საქ. 13, ფ. 31).

პანისლამისტები, შემდეგ სედაიზმ-ლეუტელები, დაირაზმნენ სამუსლიმანო საქართველოს განმათავსებელი კომიტეტის წინააღმდეგ, სედაიზმ-ლეუტელები აჭარის ოსმალეთთან შეერთების მომხრე იყვნენ. როცა ოსმალეთი დამარცხდა, დენიკინთან, ინგლისთან და დან-



კებთან დაიწყეს მოლაპარაკება აჭარის ოკუპაციის შესახებ.

1919 წლის 25 სექტემბერს სედაიმილეთელები ადგილობრივ მუსლიმანთა საბჭოს სახელით ეახლნენ გენერალ კუკ-კოლისს. „დელეგაციამ“ მას განუცხადა: ბათუმის ოლქის მცხოვრებლები ძლიერ კმაყოფილი არიან, რომ ბრიტანეთის ჯარები რჩებიან ბათუმში. კუკ-კოლისმა უპასუხა: ბათუმის ოლქის მცხოვრებლები გამოთქვამენ სურვილს, რომ ისინი იყვნენ შეერთებული ოსმალეთთან, ხოლო მეშვედ აბაშიძე ყველას სახელით აცხადებს, მოსახლეობას აქვს სურვილი შეუერთდნენ საქართველოს. ბოლოს გუბერნატორმა აღუთქვა მათ ამ საკითხის შესწავლა. როცა კუკ-კოლისი დელეგაციას შეეკითხა, ამ საქმის გამორკვევის დროს მეშვედ ბეგ აბაშიძე დაეისწროთ თუ არაო, ამაზე სედაიმილეთელებმა უარი თქვეს. გუბერნატორის შეკითხვაზე — აჭარლებს უნდათ თუ არა საქართველოსთან შეერთებაო, უპასუხეს: არა, ოსმალეთთან შეერთება გვირჩევენიაო (გაზ. „ნაშ კრაი“, 1919 წ. № 214).

აჭარის დედასაქართველოსთან შეერთების საკითხი შემდეგ კიდევ უფრო გაართულდა. საქართველოს ორიენტაციის, მომხრეები მეშვედ აბაშიძის მეთაურობით 1919 წლის 31 აგვისტოს იწვევენ სამხრეთ საქართველოს მცხოვრებთა ყრილობას. ყრილობამ აჭარის დედასაქართველოსთან შეერთების შესახებ გამოიტანა დადგენილება, რომელიც გაეგზავნა პარიზის საზავო კონფერენციას. სედაიმილეთის მეთაურებმაც მოკავშირეთა სახელზე სამხედრო გუბერნატორის ხელით გაგზავნეს განცხადება საზავო კონფერენციაზე განსახილველად. სედაიმილეთის ერთმა ჯგუფმა განცხადებით მიმართა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას ბათუმის ოლქის ოსმალეთთან შეერთების შესახებ. სწორედ ამ მიზნით სედაიმილეთელები კუკ-კოლისის დახმარებით დადიოდნენ აჭარის სოფლებში და ხალხს ძალით ხელს აწებებდნენ. 16, 17 და 18 სექტემბერს

კუკ-კოლისის წარმომადგენლების მონაწილეობით მოუწვევით კრებები მურულში, ბორჩხაში, მარადიში, ქედში, და სხვებთან (გაზ. „ნაშ კრაი“, 1919 წ. № 211). ისინი მაინცდამაინც ვერაფერს გახდნენ, რადგან მეშვედ აბაშიძის მათ წინააღმდეგ მტკიცედ ჰყავდა დარაზმული მოსახლეობა. სედაიმილეთელების წინააღმდეგ პრესაშიც ხმას იმაღლებდნენ მეშვედ და ჰაიდარ აბაშიძეები, სულიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი და სხვები.

ინგლისელების წაქეზებით და ხელმძღვანელობით დენიკინელები ავიწროებდნენ ქართველებს ბათუმის ოლქში. 1919 წელს ამ მხრივ ძალზე ცუდი მდგომარეობა შეიქმნა. მოწინავე პატრიოტები დაიქსაქსნენ. მაშინ მეშვედ აბაშიძე თბილისში იმყოფებოდა, რამაც ხელი შეუწყო საქმის გაართულებას. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი გედევიანიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს თხოვდა მეშვედ აბაშიძის საჩქაროდ გამოგზავნას ბათუმში.

1920 წლის აგვისტოში ამერიკის მისია (ხელმძღვანელი ა. მარტენი — ყოფილი კაპიტანი) ბათუმში ჩამოსულა, თითქმის სავაჭრო საკითხების მოსაგვარებლად. ჩანს, მარტენს, როგორც სამხედრო პირს, შემდეგ „ვაჭარს“, სხვა მუცლის გვრემა სჭირდა. მარტენის მისიის შესახებ „ჩიკაგოდელი-ნიუსის“ ბალკანელი კორესპონდენტი წერდა: ბათუმში ჩამოვიდა მარტენი იმისათვის, რომ გაეცნოს საქართველოსა და შემდეგ აზერბაიჯანს. (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ. № 432). მას აინტერესებდა კავკასიის სიმდიდრე და შავი ზღვის სანაპიროები... და კიდევ ის, რომ... ხმალი აღემართათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ბათუმის პროფკავშირებმა საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს. როგორც ცნობილია, გემი „სვეტი“, რომელიც დატვირთული იყო ნავთის პროდუქტებით, უნდა გადაეცათ თერთვარდრიდლებისათვის. ბათუმის ბოლ-





შევიკებმა ააფეთქეს იგი. გემი დიდხანს იწვოდა. ქალაქში მოსალოდნელი ხანძრის თავიდან ასაცილებლად „სვეტი“ ბუქსირით გაიყვანეს ზღვაში. 13 აგვისტოს ნავსადგურის სამმართველო აცხადებდა: თუ ორი კვირის ვადაში „სვეტის“ მფლობელები არ წარმოადგენენ სათანადო საბუთს, გემი გადაეცემა სახელმწიფოს თავის განკარგულებაში. (გაზ. „გზო ბატუმა“, 1920 წ. № 33). შემდეგ გზავთში გამოცხადებული იყო ცნობა „სვეტის“ საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ.

1920 წელს ბათუმში შექმნილ ეთარქბას ნათლად ასახავს პროფკავშირთა მაშინდელი ორგანო „გოლოს ტრუდა“. იგი მოუწოდებდა კავშირის წევრებს დარაზმულობენ არსებულ ეთარქმის წინააღმდეგ. პროფსაბჭო მოიხსენებდა მუშათა დეპუტატების საბჭოს მხარდაჭერას (რევოლუციის პირველ დღეებში ბათუმში არსებობდა ასეთი საბჭო). თურქებმა ბოლო მოუდეს ამ საბჭოსა და პროფკავშირთა ორგანიზაციებს. ინგლისელების შემოსვლის შემდეგ პროფკავშირები აღსდგნენ, მაგრამ რატომღაც ღუშმა მუშათა დეპუტატების საბჭო. პროფსაბჭო ატარებდა სათანადო ღონისძიებებს პროფკავშირის გასაძლიერებლად.

ამ პერიოდში ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდ მუშაობას ატარებდა ოკუპანტების წინააღმდეგ. იგი თიქმის ყველა წამყვან საწარმოსა და ორგანიზაციაში ქმნიდა ბოლშევიკურ უჯრედებს.

\* \* \*

ბოლშევიკები ბათუმის მუშათა დეპუტატების საბჭოს მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ებრძოდნენ საბჭოში მოკალათებულ კონტრრევოლუციონერებს და მოითხოვდნენ საბჭოს ბოლშევიზაციას ახალი არჩევნების ჩატარებით.

გენერალმა კუკოლისმა საბჭოები გაუქმა და მისი ფუნქციები თავის მოადგილეს გადასცა. მაგრამ მასების ზეგავლენით იგი იძულებული გახდა ჩაეტარებინა სახალხო არჩევნები. ხოლო საბჭოების არჩევნების შედეგების დამტკიცებას

უფლება თვითონ დაიტოვა, რომელიც დაწესდა „საექვო“ დეპუტატებისაგან. მუშები აღშფოთებას გამოთქვამდნენ: რა საჭიროა არჩეული დეპუტატების დამტკიცება. ინგლისელებმა ბოლშევიკური ორგანიზაცია კანონს გარეშე გამოაცხადეს, დახურეს გაზეთი „გოლოს ტრუდა“, ქალაქში შემოიღეს საალყო წესები და სხვ. მაგრამ ბოლშევიკები არ უშინდებოდნენ სიძნელეებს, იბრძოდნენ ოკუპანტების მიერ აღმართული „ბასტიონების“ დასაღწად.

თეთრგვარდიელი გენერლები თავის შავ საქმეს აკეთებდნენ ბათუმში. მათ შორის აღსანიშნავია გენერალი ლიახოვი (მას ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის, ოლქის ჯარების უფროსის, მიხაილოვის ციხე-სიმაგრის კომენდანტისა და სხვა თანამდებობები ეკავა), რომლის მოკვლა განიზრახა ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ. გ. ჯიბლაძე და ა. სურგულაძე თავს დაესხნენ გენერალ ლიახოვს, მაგრამ უშედეგოდ. ეძებდნენ ხელსაყრელ დროს. ამის თაობაზე ს. გუბელი (მემქარიაშვილი) შემდეგს გადმოგვცემს: ჩვენი პირველი უშედეგო ცდის შემდეგ, პირადად მე მოვეიდე ხელი ამ საქმეს. ორ კვირას ვცავდი გენ. ლიახოვს, 1920 წლის 20 აპრილს ამხ. ნოდიამ, კირილე ბერძენიშვილმა და სხვებმა გვაცნობეს, რომ გენ. ლიახოვი ბათუმშია მიხაილოვის ქუჩაზე, ერთ-ერთ მღაზიაში. მაშინ მე, ლევან კვირკველია, გერმანე ჯიბლაძე, მიხა ქავთარაძე და აკაკი სურგულაძე გავემგზავრეთ დანიშნულ ადგილზე. ამ დროს გენ. ლიახოვი ინგლისელ ოფიცერთან ერთად მიდიოდა ოკოლბეიოს ქუჩაზე. მათ დავეწიეთ ვრისთავის ქუჩის კუთხეში, ეუბრძანე ამხანაგებს გაშლილიყვნენ წრედ და გავხსნათ ცეცხლი. პირველად ესროლეს კვირკველიამ და ქავთარაძემ. ამ დროს უცნობმა პირმა სცადა ჩვენთვის ხელი შეეშალა, მაგრამ მე მას დაუფუყე რევოლუციის ცემა, ამ დროს ინგლისელი ოფიცერი გაიქცა ჩვენი პირველი გასროლით დაეცაწმუნდით. რომ მიზანი მიღწეული იყო და წავიდით (გაზ. „იზვესტია“, 1921 წ. № 36).



გუბელი დაპატიმრეს და გაგზავნეს სა-  
პრობილეში. პატიმარი ფიზიკურად რომ  
არ მოესპოთ, მას ბოლშევიკები იცავდ-  
ნენ.

\* \* \*

1920 წლის 8 მაისიდან მუშათა მოძრა-  
ობა თანდათან გაძლიერდა და ბრძოლა  
გაჩაღდა საბჭოთა ხელისუფლების დამყა-  
რებისათვის. ამ დროს აზერბაიჯანში გა-  
მოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, რა-  
მაც ბათუმის მუშათა კლასს განუშტოვო  
გამარჯვების რწმენა.

1920 წელს პირველი მაისის დემონს-  
ტრაცია ბათუმში მანამდე არჩახული  
მასშტაბით ჩატარდა; მასში 15 ათასამდე  
კაცმა მიიღო მონაწილეობა, რამაც კუქ-  
კოლისი ძლიერ შეაშფოთა. მან 8 მაისს  
პროფკავშირის აქტიური ხელმძღვანე-  
ლები დააპატიმრა და ჩანაქვალეს ციხეში  
გაგზავნა.

1920 წლის იანვარში საქართველოს  
მთავრობამ მიიღო გ. ჩიხერინის დე-  
კრეტი, რომ წითელმა არმიამ დაამარცხა  
იუდენიჩის, კოლჩაკის ჯარები და დღეს  
სასიკვდილო ლახვარს სცემს დენიკინის  
ბრძოლებს, რომლებიც უწყსრიგოდ იხევენ  
დონის როსტოვისაკენ. იგი მოითხოვდა,  
ერთობლივი ბრძოლა ეწარმოებინათ დე-  
ნიკინის წინააღმდეგ. ამ წინადადებაზე ვ.  
გეგეჭკორმა უარყოფითად უპასუხა:  
ჩვენ ვერ ჩავერევით რუსეთის სამოქალაქო  
ბრძოლებში. ჩვენ ჩატრეველობის  
პოზიციას ვადგავართო. (გაზ. „სოციალ-  
დემოკრატი“, 1920 წ. № 2). ფაქტიურად  
ვი გეგეჭკორი მხარს უჭერდა და ეხმარე-  
ბოდა დენიკინელებს, აზერბაიჯანის მუ-  
სავლური მთავრობის საგარეო საქმეთა  
მინისტრმა ხან-ხოვლმა კი (რა თქმა უნ-  
და, ბაქოს კომუნისტების ზეგავლენით)  
ჩიხერინს დადებითად უპასუხა და  
რუსეთთან გააფორმა სავაჭრო ხელშეკ-  
რულება.

1920 წლის 12 იანვარს ბათუმში შექ-  
მნილი აუტანელი რევიმისა და სიძვირის

გამო მოხდა გამოსვლები, დაარბიეს ქა-  
ლაქის საბჭო, დაღწეს მალაზიები. ამ  
მდგომარეობას ისიც დამატა, რომ სა-  
ვალდებულოდ გამოაცხადეს ბონის ფუ-  
ლების ხმარებაში შემოღება. ვაჭრებმა  
გაღამაღეს საქონელი. დაცარიელდა სავა-  
ჭროები და ა. შ. ამასთან დაკავშირებით  
კუქ-კოლისი იძულებული შეიქმნა გამო-  
ეცა ბრძანება: როცა გამოსვლები შე-  
მჩნეულ იქნება, კრეისერი ზარბაზნებს  
გაისვრის და ეს იქნება სიგნალი, რომ  
ყველა სახლში შევიდეს და ვინც ქუჩაში  
დარჩება, მას ჯარისკაცები ესვრიანო.  
(გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1920 წ.  
№ 31).

დიდი ჭოჭმანის შემდეგ, მენშევიკურმა  
მთავრობამ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა  
რუსეთთან დადო საზავო ხელშეკრულე-  
ბა. ამ ხელშეკრულებით საქართველოს  
მთავრობა ვალდებული იყო დაეშალა  
თეთრგვარდიელთა რაზმები, გაეწყვიტა  
კავშირი სამხრეთ რუსეთის კონტრრევო-  
ლუციონერებთან, ბათუმიდან გაეყვანა  
ოკუპანტები, მოეხდინა ბოლშევიკური  
პარტიის ლეგალიზაცია და სხვ.

მაგრამ მენშევიკური მთავრობა არ  
ასრულებდა ამ ვალდებულებას იმ საბა-  
ზით, რომ ჩვენ მას შევეუწყვიტეთ სათ-  
ბობისა და პურის მიწოდება. საქმე იმა-  
შია, რომ ჩვენგან მიღებული პურით და  
სათბობით ამარაგებდნენ დენიკინელებს.

ინგლისი სისტემატურად უგზავნიდა  
ვრანგელს სურსათსა და სათბობს: „დე-  
ილი ტელეგრაფი“ იუწყებოდა, რომ მო-  
კავშირეთა შავი ზღვის სამხედრო-საზღ-  
ვაო ძალებს ლონდონიდან ნაბრძანები  
აქვთ გენერალ ვრანგელთან შეთანხმებით  
მოქმედება. (გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნი“,  
1920 წ. № 81).

\* \* \*

დადგა ოკუპანტთა აღსასრულიც. 1920  
წლის 20 ივნისს ინგლისელი ოკუპანტები  
იძულებული შეიქმნენ დაეტოვებინათ ბა-  
თუმის ოლქი. მათ თან წაიღეს უამრავი



სიმდიდრე და რის წაღებაც ვერ შეძლეს, ადგილზე გაანადგურეს.

მუშებთან ერთად რევოლუციური მოძრაობაში ჩაბმული იყვნენ სოფლის გლეხებიც. ბათუმის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოწინავე აჯარღლებიც მუშაობდნენ არალეგალურად. მართალია, რიცხობრივად მცირენი იყვნენ, მაგრამ ვაბეღულად ასრულებდნენ ყოველგვარ დავალებას. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ხასან ჩიჯავაძე, ალი მიქელაძე, სულეიმან ბარამიძე, სალიხ ახვლედიანი და სხვ. ისინი დაკავშირებული იყვნენ გლეხებთან, მათ აწვდიდნენ პროკლამაციებსა და არალეგალურ ბროშურებს.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტსა და პანისლამისტებს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. კომიტეტი მოითხოვდა აჭარის დედასაქართველოსთან შეერთებას ავტონომიის მინიჭებით, პანისლამისტები კი, პირიქით, აჭარის შეერთებას ოსმალეთთან, რომელიც აგრეთვე ამ კუთხეს „ავტონომიას“ პირდებოდა.

ბოლშევიკები რაზმადნენ მოსახლეობას აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მათი გავლენით აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა ჩამოშორდა სედაიმილეთელებს.

ჯერ კიდევ 1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ვ. ი. ლენინს სწერდა: საქართველო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების ალშია გახვეული და დახმარების იმედს გამოეთქვამთო. მართლაც, წითელი არმიის დახმარებით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა დაამხო მენშევიკური მთავრობა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში ააფრიალა წითელი დროშა. ამავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

ორი დღის შემდეგ, 27 თებერვალს, სერგო ორჯონიკიძემ ბაქოს საბჭოს სხდო-

მაზე განაცხადა: „ახლოა ის დღე, როცა ბათუმში წითელი დროშა აფრიალებს, როცა შავი ზღვა მიიღებს გაქცეულ მენშევიკებს“. (საქ. კპ ისტორიის ნარკვევები 1957 წ., გვ. 473).

მენშევიკური მთავრობის გაქცევის შემდეგ ციხიდან გამოსულმა ამხანაგებმა 1921 წლის 17 მარტს შეადგინეს დროებითი რევოლუციური კომიტეტი, 20 მარტს კი აირჩიეს ახალი საოლქო რევკომი, რომელშიც შევიდნენ: ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, დ. მახარაძე, კ. საჯაია, თ. ელენტი, ს. გუბელი, ი. პეცოვი, კ. თავბერიძე (გაზ. „იზვესტია“, 1921 წ. № 4). რევკომში ორი ადგილი დაეთმო აჭარლებს, რომლებიც შემდეგ მეჯლისმა შეარჩია თავისი რიგებიდან. ესენი იყვნენ მემედ აბაშიძე და რეჯებ ნეჟარაძე.

1921 წლის 17 მარტს ქაშიშ ბეის მეთაურობით ბათუმში თურქეთის ჯარები შემოვიდნენ. მათ დაეცა: ბარცხანა, ანარია, პატარა სამება, ფოსტა, მილიცია და ცდილობდნენ რევკომის შენობის, სახალხო და საბარგო სადგურების დაკავებას, მაგრამ ვერ მოასწრეს.

დიდი ბრძოლები გაიმართა ქართველთა და თურქთა ჯარებს შორის. ბოლშევიკებმა რევკომის ხელმძღვანელობით მთელი ქალაქის მოსახლეობა ფეხზე დააყენეს. ამ ბრძოლებს მამინდელი გაზეთები ასეთ შეფასებას აძლევდნენ: „ეს იყო ბრძოლა თავისუფალი საქართველოსათვის. ეს იყო ბრძოლა ქართული მამაცური, ვაჟკაციური“ (გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1921 წ. № 54). ბოლშევიკების მითითებით ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა ჯარების სარდალი გიორგი მაზნიაშვილი. წითელი არმია არ იღებდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში, მაგრამ მზად იყო, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა.

წითელი არმია ორი მიმართულებით მიემართებოდა ბათუმისაკენ — ქუთაისიდან და გოდერძის უღელტეხილიდან. საინტერესოა გოდერძის უღელტეხილიდან მომავალი ღიმიტრი პეტრეს-ძე ელობას ლაშქრობა. ელობას ჯარებმა კაკასიაში დიდი ლაშქრობა ჩაატარეს. მათ ბაქოსა და ერევნის შემდეგ თბილისი აიღეს.



1921 წლის 9 მარტს ახალციხეში დაბანაკებულ ქლობას მე-18 ცხენოსან დივიზიას სარდლობამ დაავალა გადაელახა გოდერძის უღელტეხილი და ზურგიდან შემოვლით აეღო ბათუმი.

დიდი სამზადისის შემდეგ, 12 მარტს გამოვიდა ქლობა ახალციხიდან. მის მეომართა საერთო რიცხვი შეადგენდა 2000-ს. ქლობა ჯარისკაცებს ამხნევებდა: ამხანაგებო, გამაგრდით, დიდი ნაწილი მძიმე გზისა განვლილია!

მათ მამაცურად გადმოლახეს თოვლით დაფარული გოდერძის უღელტეხილი და გეზი აიღეს ხულოსაკენ. ხულოსთან შეეგებათ თურქი ოფიცერი და ჯარისკაცი თეთრი ბაირაღით. თურქმა ოფიცერმა ქლობას განუცხადა:

— მოვედი თქვენთან ოსმალთა ჯარების სარდლის მოწერილობით. ის მოითხოვს, რომ თქვენი ჯარების მოძრაობა შეაჩეროთ!

ქლობამ წყნარად უბასუხა: — ნე სამხედრო კაცი ვარ, ვასრულებ მხოლოდ ჩემი უფროსის ბრძანებას! მისგან არ მიმიღია ასეთი ბრძანება!

ქლობას ლაშქარმა განაგრძო სვლა ბათუმი-საკენ.

თუმისაკენ. ქედაში მათ დახვდა ოსმალთა ჯარების უფროსი. — მე პროტესტს ვაცხადებ თქვენი ჯარების ბათუმში შესვლის წინააღმდეგ! — განუცხადა მან ქლობას, — იქ ჩვენი ჯარებია გამაჯრებული. ჩვენ შეთანხმებული ვართ საქართველოს მთავრობასთან. თუ თქვენ ნაბიჯს გაიღებთ წინ, მე იარაღის ძალით შევაჩერებ თქვენს რაზმს.

ქლობამ მოკლედ უბასუხა: — მე არ ვღებულობ თქვენს ულტიმატუმს, მაქვს პატივი, ბატონო პოლკოვნიკო, დაგემშვიდობო!

ბათუმში ოსმალთა 1500 ჯარისკაცი ყოფილა დაბანაკებული. ქლობას ჯარებმა ბათუმში ნახეს მხოლოდ ბრძოლის ნაკვალევი. შემდეგ, დ. პ. ქლობა ამის შესახებ წერდა: ჩემდამი რწმუნებული ნაწილები შევიდნენ ბათუმში 1921 წლის მარტის 18 — საღამოს 17 საათზე და 18 წუთზე (გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1921 წ. № 60). 17 მარტს ღამით დაწყებული ბრძოლა 20 მარტს ღამით დამთავრდა.

... და აჭარაშიც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.





## ახელ სურგულაძე

# საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში

1920 წლის ივლისის დამდეგს ინგლისელებმა დატოვეს ბათუმი. ამით სამუდამოდ დამთავრდა აჭარაში უცხოელთა ბატონობა, რომელიც ორი წლის მანძილზე (1918 წლის 1 აპრილიდან) სულს უხუთავდა მოსახლეობას. ჯერ თურქებმა, შემდეგ ინგლისელებმა აქედან გაზიდეს დიდძალი სიმდიდრე (ნაეთი, ძვირფასი ზე-ტყე, ჩაი, დიდი რაოდენობით ოქროვერცხლი და სხვ.), ხოლო მოსახლეობას მიჰყენეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის (ოქროთი) ზარალი. მოსალოდნელი იყო, რომ განაწამები აჭარა ამიერიდან მაინც ჰპოვებდა მოსიყვარულე მფარველს, რომელიც იზრუნებდა მისი კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისათვის. დედანამშობლოსთან შეერთება ამის საფუძველს იძლეოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ბათუმისკენ მომავალი ამ კუთხის გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკიშვილი გზიდან იმუქრებოდა: „საქართველოს მტრებს (ბოლშევიკებს — ა. ს.) არ ექნებათ ადგილი ბათუმში და მის ოლქში. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ანტისახელმწიფოებრივო (რევოლუციური - ა. ს.) მუშაობა არ იქ-

ნება დაშვებული<sup>1</sup>“. ანალოგიური იყო მთავარსარდლის „გენერალ კვინიტაძის ბრძანებაც: „ვინც იარაღით გაუწევს წინააღმდეგობას არმიას, იმას მოვეპყრობით როგორც მემკობნეს. მას დავხვერეთ, ხოლო მისი მიწა და ქონება, აგრეთვე მამის, დედისა და ძმების ქონება ჩამორთმეული იქნება კონფისკაციის წესით და გადაეცემა ხაზინას, ოჯახი კი გასახლებული იქნება ბათუმის ოლქიდან. სოფელი, სადაც კი ერთი თოფი გავარდობა, სასტიკად დაისჯება.“<sup>2</sup> მუქარას მალე მოჰყვა პრაქტიკული შედეგი: ახალმა ხელისუფლებამ ქალაქად და სოფლად გააჩაღა მკაცრი ტერორი, დაშალა რევოლუციური პროფკავშირები, დაიწყო მუშათა ორგანიზაციების წმენდა, ბოლშევიკების დაპატიმრება. ჩანდა, მთავრობას რეპრესიებით სურდა ჩაეხშო მშრომელთა სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ.

აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაცია მედგრად დაუხვდა ახალ განსაცდელს. მართალია, საბჭოთა რუსეთსა და საქარ-

1. გაზ. „ერთობა“, № 148, 1920 წ.

2. გაზ. „ბორბა“, № 133, 1920 წ.



თველოს შორის 1920 წლის 7 მაისს გათვორმებული ხელშეკრულებით საქართველოს კ ლეგალიზებულად გამოცხადდა, მაგრამ მენშევიკები მას სისტემატურად არღვევდნენ. 1920 წლის 16 ივლისს ბ. ჩხიკვიშვილმა პირდაპირ განუცხადა ბოლშევიკების ბათუმის კომიტეტს: „ლეგალური არსებობის ნებართვას ჩემგან ნუ ელითო“<sup>1</sup>. ამის გამო მათ უმძიმეს არალეგალურ პირობებში უხდებოდათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, 1919-1920 წლების დარბევების შემდეგ ახალი ორგანიზაციების შექმნა, მასების საბრძოლველად დარაზმვა, რევოლუციური მუშაობის ცეცხლი ბოლშევიკებმა წარმართეს ბათუმის პროფსაბჭოს წინააღმდეგ. ეს აუცილებელი იყო ბრძოლის გაფართოებისათვის, რადგან იქ გაბატონებული მენშევიკები მუშებს ეკონომიურ პრობლემებზეც კი უტრიალავდნენ საუბარს. პროფსაბჭოს მდივანი იოლო ხშირად იმუქრებოდა „მთავრობას მოეპოვება ჯარები შეამოხვითა დასაწყნარებლადო“.

რევოლუციური მუშაობის გაფართოებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მთავრობის სრული უყურადღებობა აჭარის სამეურნეო ცხოვრებისადმი, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისადმი. ამის შედეგად ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი ბათუმის მრეწველობა კიდევ უფრო დაქვეითდა. ნავთობის გატანის შემცირების გამო დაიხურა მრავალი ქარხანა და მასთან დაკავშირებული სახელოსნო. ამან უმუშევართა რიცხვის არაჩვეულებრივი ზრდა და მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.

მიიმე იყო მდგომარეობა სოფლადაც. ბართალია, მთავრობა აჭარაშიც შეუდგა საადგილმამულო რეფორმის ჩატარებისათვის მზადებას, მაგრამ ცდილობდა არ შეებღალა ფეოდალური ზედაფენის ინტერესები, შეენარჩუნებინა მისთვის

მიწების დიდი რაოდენობა, ხოლო დახარჩენი ფონდი დაეტოვებინა თავის განკარგულებაში და შემდეგ გაეყიდა. ამიტომ მენშევიკების კანონმდებლობამ მაქსიმალურად დააკმაყოფილა გაბატონებული წოდების მოთხოვნები, მშრომელთა ძირითადი მასა კი კვლავ უმძიმოდ დეტოვა. ხელუხლებლად დარჩა აგრეთვე ძველი ბეგარა-გადასახადები. გლეხებს არ შეეძლოთ ტყითა და საძოვრებით სარგებლობაც. „ბათუმის მხარეთა მცხოვრებლებისაგან, — ვკითხულობთ აჭარაში ა. ჩხენკელის მოგზაურობის (1920 წლის სექტემბერი) ანგარიშში, — ბევრი ღღესაც განიცდის სურსათის ნაკლებობას. ზოგან შიმშილიც არის... არა ჰყავთ მუშა საქონელი, თითქმის ყველანი ტიტველ-შიშველნი არიან. არა აქვთ მიწის დასამუშავებელი იარაღები, მიწა-ადგილებისა და საძოვრების სარგებლობა არ არის მოწესრიგებული... დეპუტატმა დაათვალიერა ღარიბთა ქოხები და ერთი პეშვი ფქვილიც ვერ ნახა. მდგომარეობა აუწერელია“<sup>2</sup>. ცხადია, ეს იწვევდა აგრარული მოძრაობის აღმავლობას. ამის გამო ნ. ყორდანია კიდევ ამბობდა: „სერიოზული საფრთხე რესპუბლიკას მოეწივს შიგნიდან, გლეხებისაგან. ამის ნიშნები უკვე არის“<sup>3</sup>.

ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელი იყო საერთოდ საქართველოსათვის. რა აქმა უნდა, მიიმე მრეწველობის მოშლა და სოფლის მეურნეობის გაჩანაგება იწვევდა ცხოვრების გაძვირებას. მართლაც, კატასტროფულად დაეცა ფულის კურსი, მნიშვნელოვნად შემცირდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, შესამჩნევად ამაღლდა ფასი პირველი მოხმარების საგნებზეც. უკვე 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში არსებული შინაპოლიტიკური ვითარების გამო ნ. ყორდანია აღნიშნავდა: „ღღეს თეთული ჩვენგანი გრძნობს, მწვავეთ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა

1. გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, № 26, 1920 წ.

2. გაზ. „ერთობა“, № 215, 1920 წ.

3. იქვე, № 185, 1920 წ.



თუ მივდივართ კატასტროფისაკენ, — ჩვენ უკვე მიველით იქამდე<sup>1</sup>.

შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით მენშევიკებმა მოიწვიეს მეორე ინტერნაციონალის ლიდერები (კაუტსკი, მაკდონალდი, რენოდელი, ვანდერველდე და სხვ.). მათი მეშვეობით ვარაუდობდნენ ერთა ლიგაში წევრად საქართველოს შეყვანას, რომ ანტანტისაგან მიეღოთ პრაქტიკული დახმარება. კიდევ ამიტომ მისინი დიდი ზეიმით შეხვდნენ სტუმრებს. ნ. ჟორდანიამ მათ „დიდი მასშაბ-ლებში“ უწოდა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა თავიანთ ქართველ მოწაფეებს დახმარების ნაცვლად „ბრძნულად“ უჩიეს გლეხებზე გადასახადების გაზრდა.

სამოქალაქო ომის ფრონტზე (განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიასა და ყირიმში) საბჭოთა რუსეთის წარმატებებმა და სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ხელსაყრელი საგარეო პირობები შექმნეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოშიც. გათვალისწინა რა ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება, რკპ(ბ) კავკასიის ბიურომ საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტს აჯანყების ორგანიზება დაავალა. მართლაც, 1921 წლის 11 თებერვალს ქვემო ქართლში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მალე მოედო სხვა რაიონებსაც.

აჯანყებულთა წინააღმდეგ მენშევიკებმა საგანგებო ღონისძიებები დასახეს და გაძლიერეს რეპრესიები, დაარბიეს მუშათა ორგანიზაციები. ციხეში აღმოჩნდნენ ასობით კომუნისტი, პარტიის ბათუმის კომიტეტის ყველა წევრი, რსფსრ წარმომადგენელი ა. შეინმანი, აზერბაიჯანისა და სომხეთის საკონსულოების თითქმის მთელი შემადგენლობა. ამასთან, მათ დასახმარებლად მოუხმეს უცხოელ იმპერიალისტებსაც (საფრანგეთის ფლოტი შემოვიდა ბათუმისა და გაგრის ნავსადგურებში).

აჯანყებულთა კრიტიკული დრო დაუდ-

გათ — საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის შექმნილმა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიმართა საბჭოთა მთავრობას: „ვიმედოვნებთ, გვეყრ, რომ დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყანა, რომელსაც დიდი მატერიალური შესაძლებლობაც აქვს, მარტოდმარტო არ დავეტოვებს ამ უთანასწორო ბრძოლაში“. ვ. ი. ლენინის მითითებით ქართველ მშრომელთა დასახმარებლად დაიბრა XI წითელი არმია. 25 თებერვალს აჯანყებულნი წითელი არმიის მეზობლებთან ერთად შევიდნენ თბილისში. მენშევიკური მთავრობა დაემხო და იგი ქუთაისს გაიქცა. საქართველო სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. „თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“ — აცნობა ს. ორჯონიკიძემ მოსკოვში ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს.

ამის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ადგილებზე სწრაფი ტემპით წავიდა. მენშევიკებმა ვერც ქუთაისში მოიკიდეს ფეხი და ბათუმს მოაშურეს, თუმცა უკანდახევისას დიდ წინააღმდეგობას უწყევდნენ საბჭოთა არმიის ნაწილებს. მაშინ უმიჯნო სისხლისღვრის აცილების მიზნით რეკომმა სცადა ყოფილ მთავრობასთან მოლაპარაკება. ამას დაბეჯითებით მოითხოვდა ვ. ი. ლენინი 1921 წლის 2 მარტს ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ წერილში: „უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი“<sup>2</sup>. მენშევიკები დათანხმდნენ და ქუთაისში გამოგზავნეს დელეგაცია (გრ. ლორთქიფანიძე), მაგრამ ეს საბ-

1. გაზ „ერთობა“, № 235, 1920 წ.

2. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32 გვ. 189



ღვარგარეთ გამგზავრებისათვის საჭირო დროის მოგების მიზნით გააკეთეს. ამიტომ ისინი არ ასრულებდნენ რევკომთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს, რის გამოც წითელი არმიის ნაწილებმა განაახლეს შეტევა ბათუმისაკენ.

ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გაართულებით ისარგებლა თურქეთმა და მაშინვე ჯარები დასძრა აჭარისაკენ. 11 მარტს ისინი ბათუმშიც შემოვიდნენ. ყოფილი მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა პოლიტიკურ ასპარეზზე თურქთა გამოჩენას. დასავლეთ ევროპაში საიმედო დასაყრდენის ძებნაში ხელმოცარულმა მენშევიკებმა მოკავშირე ქართველი ხალხის ისტორიულ მტრებში დაიგულისხმეს. ნათი მეშვეობით სცადეს პროგრესისათვის მებრძოლ ძალთა განადგურება, საშუალოდ დაკარგული ხელისუფლების დაბრუნება. მათ ვერ განჴვირტეს საქართველო-ამიერკავკასიის მიმართ თურქთა ზრახვები. სწორედ ეს იყო პოლიტიკური სიბეცე, რადგან თურქები დახმარებაზე კი არა, პირიქით აჭარის (და სხვა რაიონების) ოკუპაციისათვის და თურქეთთან საბოლოო შეერთებისათვის იბრძოდნენ. ამ უკანასკნელთა აზრით, ეს იქნებოდა „პანთურქიზმის“ განხორციელების, კერძოდ „დიდი თურქეთის იმპერიის“ შექმნის დასაწყისი.

აღნიშნული ფაქტი გახმაურდა. მაშინ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მკაცრი ჰროტესტი განაცხადა ბათუმის ოკუპაციის გამო და აღნიშნა: „ყოველი ძალა, რომელიც ბათუმს თავს დაესხმის, ჩვენი მხრით პოვეებს მელგარ წინააღმდეგობას და ჩვენ დარწმუნებული ვართ. ყველა ქვეყნის მშრომელთა თანაგრძნობა და დახმარება ჩვენს მხარეზე იქნება“. მაშინ მენშევიკები 17 მარტს ღამით, იტალიის გემით „ფერენჯოზეფ-მირილით“, საფრანგეთს წავიდნენ ემიგრაციაში და თან წარიტანეს დიდიძალი სახალხო ქონება.

იმავე ღამეს ბოლშევიკებმა შექმნეს ბა-

თუმის დროებითი რევკომი. ხელმძღვანელობამ პირადი ინიციატივით მაშინვე შეთავაზა (ჩანს ვ. ი. ლენინის ზემოქმედებით) წერილის საფუძველზე) ემიგრაციაში მიმავალ ნ. ჟორდანის სამშობლოში დარჩენა, რამდენადაც „საბჭოთა საქართველოში... ნახავდა ჩვენი ხალხისათვის სასარგებლო სამუშაოს, პოლიტიკის ვარსება“, ნ. ჟორდანამ უარი განაცხადა: „არ შემძლია... მე მთავრობის თავმჯდომარე ვარ, მთავრობა კი ტოვებს ქვეყანას“. შემდეგ რევკომი დაუკავშირდა ბათუმის საპატიმროდან ახლადგახთავისუფლებულ რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენელს ა. შეინმანს და თხოვა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა. ასეთ კრიტიკულ ეპოქაში უკანასკნელმა ყოყმანი დაიწყო: „ეს არ უნდა შედიოდეს ჩემს მოვალეობაში, მე სამხედრო კაცი არა ვარ, მე არ მიყვარს სროლა“ და თბილისში გადაგზავნა მოითხოვა<sup>2</sup>. მაშინ რევკომმა ეს საქმე შეთავაზა ჯერ გენ. ფურცელაძეს, შემდეგ პოლკ. გ. ჟურულს. ამ უკანასკნელმა შეადგინა კიდევ საბრძოლო გეგმა, მაგრამ „შეკარად მცდარი“ (ითვალისწინებდა ქალაქის დამცველთა ძალების გაყვანას ქალაქგარეთ, იქ მომზადებას და ისევ ბათუმზე შემოტევას) და ამიტომ იგი უარყვეს. ბოლოს არჩევანი შეჩერდა გენ. გ. მაზნიაშვილზე, რომელმაც ითავა თავდაცვის ხელმძღვანელობა. ენერგიული ღონისძიებებით მან მაშინვე შეკრიბა უკვე დაშლილი მენშევიკური არმიის პატრიოტი ოფიცრები და ჯარისკაცები და 18 მარტს დილის 5 საათზე დაიწყო მძლავრი შეტევა თურქთა პოზიციებზე „გოროდოკის“ მიმართულებით. ქართველებმა გაიმარჯვეს, თუმცა ბრძოლა სასტიკი იყო და მთელ ღღეს გრძელდებოდა. თურქებმა ბათუმი დატოვეს. მართალია, მტერზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იქნა მოპოვებული, მაგ-

2. ს. ქავთარაძე, 1921 წელი თებერვალი. ჟურნ. „მნათობი“, № 11, 1957 წ. გვ. 145.

3. იქვე, გვ. 146.


1. გაზ. „კომუნისტი“, № 7, 1921 წ.



რამ მდგომარეობა მაინც კრიტიკული რჩებოდა — თურქები გამაგრდნენ მეზობელ სოფლებში და შემოტევისათვის ემზადებოდნენ.

ასეთ პირობებში, 18 მარტს, 17 საათსა და 18 წუთზე რეკომს მოელოდნენ მოსულსა სავარძლობი მაშველი ძალა — წითელი არმიის ცხენოსანთა რაზმი და ელობას მეთაურობით. იგი გოდერძის უღელტეხილის გადმოვლით, სწრაფი მარშით, ჩამოვიდა ახალციხიდან ბათუმში, რომ დახმარებოდა ბოლშევიკებს თურქთა განდევნასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. დამხმარე ნაწილების მოსვლამ აღაფრთოვანა მეზობელები თურქებთან ვადამწყვეტი ბრძოლისათვის, მაგრამ იგი საჭირო აღარ გახდა. ამ დროს მოვიდა ცნობა საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ. ამან საბოლოოდ განამტკიცა რეკომის პოზიცია, რადგან აღნიშნული შეთანხმება ამიერიდან კრძა-

ლავდა თურქთა ყოფნას ამ კუთხეში. მართალია, ისინი ერთხანს კიდევ მოელოდნენ ფეხს და არ სურდათ ევაკუირება, რისთვისაც მიმართავდნენ პროტოკოლებს (თვით ზემო აჭარის აჯანყებასაც კი), მაგრამ რეკომისა და წითელი არმიის ხელმძღვანელობის დაყენებული მოთხოვნით, იძულებული გახდნენ არსებული შეთანხმების საფუძველზე, 20 მარტისათვის საბოლოოდ დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია. დამკვირვებებს თან გაჰყვათ კონტრრევოლუციის ბირთვი ჯ. ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით. მთელს აჭარაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ გამარჯვებამ განაპირობა აჭარელი მშრომელების ხვედრი, 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს სსრ შემადგენლობაში. ეს იყო პროგრესის ძალთა უდიდესი გამარჯვება, რომელიც მოასწავებდა ახალი ეპოქის დასაწყისს ამ კუთხის ცხოვრებაში.





## რამაზ სურმანიძე

### ისინი იზრდოდნენ ომებმგზრისათვის

1905 წლის რევოლუციის ბოობაზრ დღეებში ბათუმში მოღვაწეობდნენ ექიმები: გ. ელიავა, კ. მხეიძე, ი. სოკოლოვიკი, ტ. ტრიანდაფილიდესი, ბ. ფროლოვი, ა. თუმანიშვილი, ბ. ფინკელშტეინი, მ. იერუსალიმსკი, ა. შატილოვი და სხვები. მოსახლეობაში სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების გარდა ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ექიმთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 900-იანი წლების დასაწყისში, როცა ახალგაზრდა სამრევლო ქალაქის პროლეტარიატი თავისი უფლებების დასაცავად აღსდგა.

მუშათა კლასის სამართლიან ბრძოლას ქალაქის ინტელიგენციის პროგრესული ნაწილიც მხარს უჭერდა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი ბათუმელ ექიმებსაც შეჰქონდათ. მათი მოღვაწეობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ბათუმის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

1904 წლის 24 ნოემბერს ექიმთა საზოგადოების სხდომაზე ერთ-ერთ წევრს შეუტანია წინადადება, რათა საზოგადოების წევრად და მის ხელშეწყობად შეეყვანათ ბათუმის გაზეთ „ჩერნომორსკი პესტნიკის“ რედაქტორ - გამომცემელი

პალმი. ეს ის პალმია, რომელიც ერთ დროს მწერალმა დავით კლდიაშვილმა გაზეთში მოსახლეობის შეურაცხყოფელი წერილის გამოქვეყნების გამო დუელში გამოიწვია, ხოლო მის გაზეთს „გათახსირებული, ჭუჭყიანი გაზეთი“ უწოდა. პალმი გაქნილი შავრამელი იყო. იგი ცნობილია როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის თავგამოდებული გამტარებელი. როდესაც ექიმთა საზოგადოებაში მის ასარჩევად კენჭისყრა დანიშნეს, წინადადების შემომატნს თავის წინადადებაზე პირველს უთქვამს უარი. ამგვარად, ცარიზმის დამქაში სასტიკად გაუშვებიათ. ასეთ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო 1905 წლის რევოლუციურმა ამბებმა.

1905 წლის 20 თებერვლის ბათუმის სისხლიანი ამბების დროს ექიმები ბ. ფროლოვი, გ. ელიავა, კ. მხეიძე და სხვები ქუჩაში გამოვიდნენ და საექიმო დახმარება აღმოუჩინეს გაფიცულ დაჭრილ მუშებს, მაგრამ ეს მარტო საექიმო დახმარება როდი იყო, ეს იყო ერთგვარი პროტესტი თვითმპყრობელობისა და მისი აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც მეტროლ გაფიცულებს უმოწყალოდ უსწორდებოდნენ. ამ ფაქტზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ექიმთა საზოგა-



დობას მდივანმა ბ. ფროლოვმა მიმართა, — „სისხლიანმა ამბებმა ბათუმში გაიძულათ დაჭრილთათვის ქუჩებში დახმარება აღმოგვჩინათ... ამით თქვენ, როგორც პროფესიონალმა ექიმებმა, აქტიური მონაწილეობაც მიიღეთ დიად ისტორიულ ამბებში. იცოდეთ, ჯერ არ დამთავრებულა ბრძოლა ჩვენი სამშობლოს გასათავისუფლებლად. ამ ბრძოლას თქვენ გულთ გამოეხმაურეთ და ნება მომეცით დასასრულს გისურვოთ, რომ ეს გამოხმაურება ნუ დარჩება უბრალო ეხოდ, არამედ ინიციატივის ძლევამოსილ ხმად უნდა იქცეს“.

ბუნებრივია, რომ ასეთი გულწრფელი მოწოდება კიდევ უფრო აღაფრთოვანებდა ბათუმელ ექიმებს.

ბათუმელი ექიმები გაბედულად გამოესარჩლნენ შავრაზმელების მიერ 1905 წ. ქ. ბათუმში მოწყობილ დემონსტრანტთა სისხლისღვრას და დამნაშავეთა გასამართლებამოითხოვეს. თავიანთი საპროტესტო ხმა სხვა ქალაქების რევოლუციურ ამბებსაც შეუერთეს. მეფის ხელისუფლების მიერ ბაქოში მოწყობილი სისხლისღვრის გამო მოწვეულ სხდომაზე აღშფოთება და პროტესტი გამოთქვეს.

1905 წლის მაისში მუშები თავს დაესხნენ დამრბევ კახაკ-პოლიციელთა რაზმს, რომელიც გოროდოკიდან მოდიოდა, პოლიცემისტერი და მისი თანხლები დაჭრეს, ჯარის ნაწილებმა სროლა აუტეხეს მუშებს. რამდენიმე მუშა დაიჭრა. დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვანეს. ბათუმის კომიტეტმა გადაწყვიტა დაჭრილი ამხანაგების შველა. იცოდა, საავადმყოფოდან პოლიცია მათ დასასჯელად ციხეში წაიყვანდა. ექიმთა მეშვეობით ღამით დაჭრილები საავადმყოფოდან გააპარეს, სოფელ ურეხში გადაიღეს და საიდუმლოდ უმკურნალეს.

ბუნებრივია, პოლიციის მხეცობა და დაჭრილ მუშებთან უშუალო კონტაქტი ბათუმელ ექიმებში არსებული ხელისუფლებისადმი პროტესტისა და წინააღმდეგობის გრძნობას აღვივებდა.

როგორც ცნობილია, ბათუმის ექიმთა

საზოგადოების სხდომები იმართებოდა ქალაქის თვითმმართველობის შენობაში. მიუხედავად ამისა, პროგრესულად მოაზროვნე პირები სხდომაზე არალეგალურად დასწრებას მაინც ახერხებდნენ. ერთ-ერთი სხდომაზე მოულოდნელად გაისმა შემახილი — ძირს თვითმპყრობელობა!

ეს ამბავი კავკასიის სამოქალაქო ნაწილის კანცელარიამდე მისულა, რის გამო ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისათვის 1905 წლის 14 მარტის №-3400 წერილით დაუვალდებიათ დამნაშავეის დასჯა. სამხედრო გუბერნატორი 1905 წლის 30 მარტის წერილით ატყობინებს, რომ ეს პიროვნება არის ნიკოლოზ დიმიტრის-ძე მგელაძე. იგი მისცეს პასუხისგებაში, მაგრამ 1000 მანეთის საფასურად თავდებით გადაურჩენიათ (აჭარის ასსრ სახ. არქ. ფ. 1).

რევოლუციური საქმიანობით ბათუმელ ექიმთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა შემდგომში ცნობილ პროფესორ ფთვამოლოვს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შატილოვს. მარქსისტულ წრეებში მოღვაწეობისათვის იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დააპატიმრეს და გააძევეს მოსკოვის უნივერსიტეტიდან, რის შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. თბილისში. 1901 წელს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ექიმი შატილოვი თბილისიდან გაასახლეს. საცხოვრებლად ჩამოვიდა ბათუმში და მალე დაინიშნა ქალაქის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. იგი ჩაბმული იყო არალეგალურ მუშაობაში. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ჟანდარმერიას და როგორც არასაიმედო პიროვნება 1906 წელს სამუშაოდან დაითხოვეს.

არსებული წყობილებისადმი პროტესტანტულად განწყობილი იყო აგრეთვე პირველი აჭარელი ექიმი, ქედის რაიონის მკვიდრი, ყადირ შერვაშიძე. მან, ჯერ კიდევ ყმაწვილმა, თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებში მონაწილეობა ბათუმის გიმნაზიიდან დაიწყო.

1905 წლის 27 იანვარს მეხუთე კლასის მოსწავლეებმა, სადაც ყადირიც სწავ-



ლობდა, უჩვეულო ხმაური და რევოლვერების სროლა ატეხეს. დაამტკიცეს სააქტო დარბაზის კარები და შეიჭრნენ შიგ. აღმღვებულმა ახალგაზრდებმა ნიკოლოზ მეთრის სურათს ტყვიები დაუშინეს. მამის წყალობით ყადირი დაპატიმრებას გადაურჩა, მაგრამ გიმნაზიიდან მაინც ვარაიციხეს, ამიტომ იგი იძულებული გახდა თბილისში გადასულიყო.

რევოლუციური სული მუდამოხეჭაბუკში არც მამის ჩამცხრალა, როცა იუარიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში სწავლობდა. ქ. ტარტუს ისტორიული არქივის ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ, — „ქართველ სტუდენტთა ფარულ კრებაზე მონაწილეობისათვის 1914 წლის სექტემბერში სტუდენტი ყადირ შერვაშიძე პატიმრობაში იქნა აყვანილი. კავკასიის მეფისნაცვლის ჩარევით მალე დააბრუნეს უნივერსიტეტში, მაგრამ სწავლის ქირის დავიანებისათვის კვლავ დაითხოვეს“. საჭირო გახდა კავკასიის მეფისნაცვლის და განათლების მზრუნველის ისევ ჩარევა, რათა აღედგინათ.

შემდგომ წლებში მეფის არმიაში მყოფი გავლენიანი ოფიცერი შერვაშიძე ყოველთვის მშრომელთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა. გადმოცემით მტკიცდება, რომ ყადირ შერვაშიძის სახლში თავშესაფარს პოულობდნენ მეფის ხელისუფლებისაგან დევნილი ბოლშევიკები: ბელოვი (შემდგომში აჭარის სამხედრო კომისარი) და ლაბაძე (სასაზღვრო ჯარების უფროსი).

ვარდა ზემოთქმულისა, ყადირ შერვაშიძემ დიდი როლი შეასრულა სამხრეთ

საქართველოდან ოსმალთა განდევნისა და მათი აგენტების ლიკვიდაციის საქმეში.

ბათუმის ექიმთა საზოგადოების პროგრესული იდეები გამოვლინდა მისალმებაში, რომელიც გაგზავნილი იქნა 1905 წლის რევოლუციის დღეებში მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით: — „სამგლოვიარო და ღირსშესანიშნავ დღეს, რომელსაც განიცდის ჩვენი დიდი და ღრმად გატანჯული ქვეყანა, ბათუმის ექიმთა საზოგადოება მოსკოვის უნივერსიტეტს უგზავნის მხურვალე სალამს და ულოცავს მას არსებობის 150 წლისთავს. იგი დარწმუნებულია, რომ გაივლის გამოცდის მძიმე დღეები და განახლებულ რუსეთში იკავიაშვებს სიმართლისა და თავისუფლების მზე... ბათუმის ექიმთა საზოგადოება რუსეთის ინტელიგენციასთან ერთად გაიძახის, — „გაუმარჯოს თავისუფალ უნივერსიტეტს თავისუფალ რუსეთში“.

ისტორიის შემდგომმა მსკლელობამ დაადასტურა ბათუმელ ექიმთა ეს მოლოდინი, მეფის თვითმპყრობელობა დავმხო და აშენდა ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება, სადაც, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობას ხმარდება. ჩვენს მოვალეობად ითვლება პატივისცემით მოვიხსენიოთ ჩვენი პროფესიული წინაპრები, რომლებიც იმ შავბნელ დროში, დევნისა და შევიწროების პირობებში, აქტიურად იყვნენ ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში და ხალხის წმინდა იდეალების განხორციელებისათვის იბრძოდნენ.







ზ ე ლ მ ე . ნ ე ჯ ე

## ალექსანდრე მსხალაძე

### ბათუმის ოპერის თეატრი

მე-19 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ბათუმის მუსიკალური ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტა ცნობა მოგვეპოვება ამ პერიოდში ბათუმის მკვიდრნი უმთავრესად დრამატული თეატრით საზრდოობდნენ და არც თუ ისე იყვნენ განვითარებულნი კლასიკური მუსიკით.

90-იან წლებში ცნობილი ქართველი ბანის ფილიმონ ქორიძის კონცერტზე ბათუმში უმღერია მის მოწაფეს ტენორ ვლ. ყლენტს. 1894 წლის 14 იანვარს ბათუმში პირველად მოეწყო დიდი ქართული ლიტერატურულ-ვოკალური და საცეკვაო საღამო. ასეთი საღამოების მოწყობა შემდეგში ტრადიციად იქცა. მათ დიდად შეუწყვეს ხელი ბათუმში ქართული კულტურის განმტკიცება-ამაღლებას.

ბათუმის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1912 წლის თებერვლის მიწურულს თბილისის ოპერის თეატრის გასტროლები, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ს. ევლახოვი და ე. შასტანი. გასტროლები მიმდინარეობდა „რკინის თეატრში“. ბათუმელებმა ნახეს რუბინშტეინის „დემონი“, ვერდის „ტრავიატა“ და „რიგოლე-

ტო“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, პუჩჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“, ბიზეს „კარმენი“, გუნოს „ფაუსტი“. მთავარ პარტიებს მღეროდნენ შულგინა, თარხანოვა, უმანსკაია, მიხაილოვა, ნიკოლსკი, კარატოვი, ევლახოვი, ლავროვი, შერემეტევი და სხვ.

ამ პერიოდში უკვე მომწოდებელი იყო ბათუმში საოპერო თეატრის გახსნის აზრი, მაგრამ იგი ოცნებად დარჩა. ჩვენს მშობლიურ ქალაქში საოპერო თეატრი საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ შეიქმნა. მისი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი მომღერალი ევგენი ვრონსკი.

ვრონსკიმ ვოკალური განათლება მიიღო რტალიაში. მომღერლის კარიერა მან მოსკოვში — სერგეევსკის სახალხო სახლში დაიწყო. ორი წლის შემდეგ მიიწვიეს ოდესის საქალაქო თეატრში, ხოლო შემდეგ მღეროდა თბილისში (1912-13 წ.), რიკაში, პეტროგრადში, ბაქოში, კისლოვოდსკა და ეკატერინბურგში. 1915 წლიდან 1919 წლამდე იგი კვლავ თბილისშია.

1919 წლის გაზაფხულზე ვრონსკი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში. აქ



იგი მთელი გატაცებით შეუდგა საოპერო საქმიანობის მოგვარებას და კარგ შედეგსაც მიაღწია.

1921-22 წლების სეზონში ბათუმის ოპერის სპექტაკლები იმართებოდა „რეინის თეატრში“. ოპერების დირიჟორი იყო ელ. კორშონი, ხოლო რეჟისორი — ბორისოვი.

შემდგომ წლებში ბათუმის ოპერა მუშაობას განაგრძობდა ყოფილ შმავესკის თეატრში, რომელსაც საბჭოთა პერიოდში „აქადემიური თეატრი“ ეწოდა.

თეატრალურ და მუსიკალურ ცხოვრებას ხელმძღვანელობდა განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების ქვე-განყოფილება, რომლის უპირველეს საზრუნავს შეადგენდა ოპერის თეატრის მომღერლებით დაკომპლექტება. ამ დანაჯლის ნაწილობრივ აესებდა თეატრთან შექმნილი ვოკალური სტუდია, რომელსაც თვითონ ვრონსკი ხელმძღვანელობდა. სტუდიამ ბევრი მაღალნიჭიერი მომღერალი აღზარდა. განათლების სახალხო კომისარიატი ყოველ წელს ადგენდა კომისიას, რომელსაც ევალებოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ბათუმის ოპერისათვის მომღერლების მოწვევა. 1922-23 წლის სეზონში კომისიამ მომღერლები თბილისიდან მოიწვია, ხოლო 1923-24 წელს — ოდესიდან.

ევგენი ვრონსკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნიჭიერი ქართველი მომღერლების გამოძებნასა და აღზრდას. ვრონსკის სტუდიაში აღიზარდა მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟი აბ. ბალანჩივაძე, რომლის დებიუტი შედგა ბათუმის თეატრში 1922 წლის 23 ივნისს, ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“. ბალანჩივაძე ელენკის მღეროდა, ხოლო ვრონსკიმ ტომსკის პარტია შეასრულა.

ვრონსკის დიდი დამსახურებაა ახალგაზრდა ტენორის დავით ანდლულაძის აღმოჩენა და აღზრდა.

ანდლულაძემ ვრონსკისთან რეგულარული მეცადინეობა დაიწყო 1922 წლის ივლისში. დიდი ვოკალური კულტურის მქონე ოსტატი ანდლულაძემ პირველი შეხვედრისთანავე მოაჯადოვა.

1922 წლის 7 ნოემბერს ანდლულაძემ პირველად მიიღო საკონცერტო ნათლობა და საზოგადოების საყოველთაო ყურადღება მიიქცია.

1924 წლის ზაფხულში ვრონსკიმ თავის სტუდიელთა მონაწილეობით დიდი საკონცერტო ტურნე ჩაატარა. სადამოები გაიმართა ხაშურში, სურამში, ბორჯომში, წაღვერში, ბაკურიანში, ახალციხესა და აბასთუმანში. მთავარი ძალა დ. ანდლულაძე იყო. იმავე 1924 წელს ანდლულაძე თბილისის კონსერვატორიასა და ქართულ საოპერო სტუდიაში ჩაირიცხა. 1925 წელს ვრონსკი პროფესორად მიიწვიეს თბილისის კონსერვატორიაში და ანდლულაძემ მის კლასში განაგრძო მეცადინეობა. 1925-26 წლის სეზონში ჯერ ისევ კონსერვატორიის სტუდენტი ანდლულაძე თბილისის ოპერის თეატრის დასში ჩაირიცხა. 1926 წლის 12 თებერვალს იგი პირველად გამოვიდა ვერდის „ბალ-მასკარადში“. დებიუტმა მოლოდინს გადააჭარბა. ქართველ მომღერალთა რიგებს მნიშვნელოვანი ძალა შეემატა. ამ მომღერლის აღზრდაში ყველაზე მეტი წვლილი ევგენი ვრონსკის მიუძღოდა.

აჭარის საზოგადოებრიობამ სათანადოდ დააფასა ევგენი ვრონსკის მოღვაწეობა ბათუმის ოპერის თეატრში. 1922 წლის 2 აპრილს მას გადაუხადეს მოღვაწეობის 15 წლის იუბილე. ხელოვანთან მას პირველი მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. გაზეთი „ტრუდოვოი აღჯარისტანი“ იუწყებოდა, რომ 1925 წლის 5 აპრილს გაიმართება აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის ვრონსკის ბენეფისი. საბენეფისოდ შერჩეული იყო ჩაიკოვსკის ოპერა „მაზპა“, რომლის მთავარი პარტია ერთ-ერთი საუკეთესო იყო ვრონსკის რეპერტუარში. იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ ვრონსკი მიწვეულია თბილისის კონსერვატორიასა და ქართულ საოპერო სტუდიაში. 19 სექტემბერს ვრონსკი ემშვიდობება ბათუმის საზოგადოებას გამოსათხოვარი კონცერტით.



კონცერტზე ერონსკიმ და თბილისიდან სპეციალურად ჩამოსულმა დ. ანდლულაქემ შეასრულეს აბესალომისა და მურმანის დუეტი ზ. ფალიაშვილის ოპერადან „აბესალომ და ეთერი“. წარმატებით იმღერა ერონსკიმ ალექს არია რახმანიოვის ოპერიდან „ალეკო“.

კონსერვატორიაში ერონსკიმ განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი არც ბათუმს ივიწყებდა და დროდადრო ჩამოყავდა თავისი მოწაფეები კონცერტების გასამართავად.

დიდი სამსახური გაუწია ბათუმის საოპერო თეატრს მთავარმა ღირიგორმა ვლ. კორშონმა. იგი ყველა სეზონს წარმატებით უძღვებოდა. 1922 წლის 18 მაისს ბათუმის საზოგადოებრიობამ კორშონს გადაუხადა მოღვაწეობის 20 წლის იუბილე. იმ დღეს დაიდგა ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“. 1925 წლის 11 აპრილს კორშონის საბენეფისოდ მოწყობილ საღამოში თეატრის მთელ დასთან ერთად მონაწილეობდა თბილისის ოპერის მსახიობი ქალი მაყაშვილი.

ბათუმის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა შემდეგი ოპერები: პუჩინის „ბოჰემა“ და „ტოსკა“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“ და „მეზება“, ვერდის „აიდა“, „რიგოლეტო“, „ტრავეიატა“, ლენკავალოს „ჩამბაზები“, ჰალევის „რახილი“, დელიბის „ლაკმე“, როსინის „სევილიელი დაღაქი“, რუბინშტეინის „დემონი“, ნაპრაენიკის „დუბროვსკი“, რახმანიოვის „ალეკო“ და სხვ. ასევე განხორციელდა რამდენიმე ბალეტის დადგმა, რასაც ვაჟარეცი ხელმძღვანელობდა. დასში სხვადასხვა დროს ადგილობრივ მსა-

ხიობებთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისიდან, ოდესიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან მოწვეული მსახიობები.

ღარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის ოპერის თეატრს 1924-1925 წლების სეზონში ყველაზე ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა.

ბათუმის ოპერის თეატრის მუშაობის შეწყვეტიდან ოთხი წლის შემდეგ, 1931 წლის დამლევს, თბილისის საოპერო თეატრის ბაზაზე ჩამოყალიბდა მოძრავი საოპერო დასი დასავლეთ საქართველოს ქალაქებისათვის მომსახურების გასაწევად. დასს ერთი თვე ქუთაისში უნდა ემუშავა, 2 — სოხუმში და 4 — ბათუმში. სეზონი გაიხსნა 1931 წლის 1 დეკემბერს ვერდის ოპერა „აიდათი“. წარმოდგენები ქართული დრამის თეატრში იმართებოდა. თვეში 24 დღე ოპერას ჰქონდა დათმობილი, 6 კი — დრამას. დაიდგა „ფაუსტი“, „დუბროვსკი“, „ტოსკა“, „ევგენი ონეგინი“, „დემონი“, „პიკის ქალი“, „ჩამბაზები“, „რიგოლეტო“ და „ტრავეიატა“. დიდი წარმატება ხვდა წილად დ. ანდლულაქეს „ტოსკაში“ და „ჩამბაზებში“. მზადდებოდა დასადგმელად „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“.

ამრიგად, საფუძველი ეყრებოდა ბათუმში საოპერო თეატრის შექმნას. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა კი პირიქით — მას გადაეღობა სერიოზული დაბრკოლებანი და ორთვენახევრის შემდგომ დასი დაიშალა.

ბათუმის ოპერის თეატრმა დიდი სამსახური გასწია მოსახლეობის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისათვის.





# ფორეცია

აზიზ ახვლედიანი

## რევოლუციურ ბრძოლებში შოგილი

მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე პრო-  
ლეტარიატმა შექმნა თავისი საბრძოლველი  
საბრძოლო ლექს-სიმღერები, ჩაგრული  
მისები ქუჩებსა და მოედნებზე სიმღე-  
რით გამოდიოდნენ და ყველას გასაგო-  
ნად მოითხოვდნენ ადამიანური უფლების  
დაცვას. ბათუმის ახალგაზრდა პროლე-  
ტარიატის რევოლუციური სიმღერებით  
გამოხატავდა მჭიდროდ დარაზმულობას  
კავიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.  
ეს იყო ცნობილი სიმღერები „მარსელი-  
ოზა“ და „ვარშავულა“, რომლებსაც ას-  
რულუბდნენ დემონსტრანტები.

ბათუმის რევოლუციური მუშეთმის  
ფონდში დაცულია ერთ-ერთი დემონსტ-  
რანტის მოგონება, რომელშიც ვკითხუ-  
ლობთ: „გატაცებით ესწავლობდით რე-  
ვოლუციურ სიმღერას „ზურგი ვაქციოთ  
ძველ ადამ-წესებს“. როგორც ირკვევა,  
მუშათა ყველა წრე, ჯერ კიდევ ვერ  
ღლოდა ამ რევოლუციურ სიმღერას.  
ამის შესახებ მეორე მოგონება გვამც-  
ნობს: — „დემონსტრაციის დროს კოტ-  
რიკაქემ „ალი-ფაშა“ წამოიწყო, რადგან  
სხვა სიმღერა არ ვიცოდით“, ეს მცირე  
ამონაწერიც ნათლად ადასტურებს იმას,  
რომ ბათუმის მუშათა წრეებში ცნობილ

რევოლუციურ სიმღერებთან ერთად პი-  
რველ ხანებში ქართულ ხალხურ სიმღე-  
რებსაც მღეროდნენ.

1902 წელს „ბრძოლაში“ დაიბეჭდა  
ირიოდონ ევდოშვილის მიერ თარგმნილი  
„მარსელიოზა“. იგი სწრაფად გავრცელ-  
და რევოლუციურად განწყობილ ბათუ-  
მის მუშებშიც. მალე ეს სიმღერა „რევო-  
ლუციის“ სინონიმად იქცა. მეფის ტვით-  
მპყრობელობა გრძნობდა ამ სიმღერის  
ძალას და მის აღსაყვეთად სათანადო ზო-  
მებიც მიიღო. მაგრამ როგორც ლენინი  
ამბობდა: „პოლიციის ვერავითარი შარი  
ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ მსოფლი-  
ოს ყველა დიდ ქალაქში, ყველა საფაბ-  
რიკო დაბაში და მოჯამაგირეთა ქოხებში  
სულ უფრო ხშირად გაისმის ერთსულო-  
ვანი პროლეტარული სიმღერა დაჭირავე-  
ბული მონობისაგან კაცობრიობის მოახ-  
ლოვებული განთავისუფლების შესახებ“.  
(ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, მეოთხე  
გამოც., 1957, გვ. 235).

ბათუმის პროლეტარიატის გაჩენის  
მთავარი წყარო იყო გადატყვევებული გლე-  
ხობა, წვრილი მრეწველები, ვაჭრები და  
ხელოსნები.

ურბანიზაციისადმი სწრაფვის თავისე-  
ბურ გამოხატულებას წარმოადგენს იმ-



დროინდელი ხალხური სენტენცია: „ქვეყნად ათი ბარაქა — ცხრა ქალაქად და ერთი სოფლად. ხალამოს კი ის ერთიც ქალაქში მიდის. ქვეყნად ათი უბედურება — ცხრა სოფლად და ერთი ქალაქად. სალამოს კი ის ერთიც სოფელში მიდის“.

მუშას, რომელიც გუშინ გუთანს ეკიდა, დიდხანს რჩებოდა სსოფნაში სოფლის ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ტრადიციული ფოლკლორის ნიმუშები. ამიტომ იყო, რომ აქ თავდაპირველად ცნობილ რევოლუციურ სიმღერებთან ერთად ტრადიციულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსაც მღეროდნენ (ალი-ფაშა, ხასანბეგურა, ხელხვაი და სხვ.).

მომე და აუტანელი იყო ხვედრი გლეხისა, რომელიც ტოვებდა გუთანს და კავს, შეჩვეულ გარემოს და კაპიტალიზმის კლანკებში ექცეოდა. ახალბედა მუშას აკლდა რევოლუციური გაბედულება და ხმამაღლა ვერ ამბობდა თავის გული-სტკივილსა და ფიქრებს. ამას ადასტურებს, მაგალითად, როტმილდის ქარხნის მუშის კენესა:

ეს ქვეყანა ხალხს მოგვებულდა

და ცხოვრება გვიძნელდება.

ნეტავი თუ მოვესწრებით, —

მწრომელებს გავგიჟებდებო.

(აჭარის რევ. მუზეუმის ფონდი, № 175, გვ. 147).

ყველა ჩაგრული გრძნობდა, რომ დაზარადა ახალმა სიომ... და ახლებურად წარმართება ცხოვრება. პროლეტარიატი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადებოდა და განამტკიცებდა თავის ძალებს. რევოლუციურად განწყობილ მუშას სწამდა და სჯეროდა „მილიონთა კუნთმაგარი მკლავისა“. ამ რწმენას განამტკიცებდა სიტყვის ცხოველყოფელი ძალაც. ამიტომაც მუშები ხარბად ეწაფებოდნენ ახალ ლექსებსა და სიმღერებს. პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის მოწყობილი დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილე იგონებს:

„— მაშაყურად შემოვძახეთ სიმღერა. ისეთი სიმღერა გავაჩაღეთ, რომ მართლაც მოგვიწონებოდა. ბევრ მაყურებელს დაუტკბო სმენა ჩვენმა სიმღერამ“. (აჭა-

რის რევ. მუზეუმის ფ. № 5, ს. 44-45). იქვე ვკითხულობთ: „— შევკარით წრე, გავაჩაღეთ სიმღერა (მუშათა დემონსტრაციის დახვერვების ღამეს — ა. ა. )... ბიჭებო, არ წახდეთ, სიმღერა დავძახეთ, მტრებმა ჩვენი ცრემლები არ უნდა დაინახოს“.

მზადდებოდა შეიარაღებული აჯანყება; ყველას სჯეროდა, რომ მალე დაემხოვოდა ძველი წესწყობილება და გამარჯვებას იზიგებდა მუშათა კლასი. მუშათა ამ განწყობილებას გამოხატავს ერთ-ერთი სიმღერა:

იქნება, რა იქნება,

უსათუოდ იქნება.

მალა მუშა, ძირს მეფე

უსათუოდ იქნება.

უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა დღის წესრიგში აყენებდა კაპიტალიზმისა და მისი დამცველი მეფის ხელისუფლების დამხობის საკითხს.

ვაი, ნიკოს, უი, ნიკოს,

მალე ვნახავთ, რომ არ იყოს,

ყველა ვნახავთ, რომ მის ტახტზე.

ჩვენი მუშა ასულიყოს.

(აჭარის სახ. მუზეუმის ფ. № 175, გვ. 146).

ამ სიმღერას თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში მღეროდნენ, როგორც რევოლუციის აღმავლობის, ისე რეაქციის წლებში. ამიერიდან ტახტი უნდა დაედგას „ძმობას, ერთობას და თავისუფლებას“. მუშებმა შეიგნეს, რომ მხოლოდ შეკავშირებული ძალით შეიძლებოდა მეფის დამხობა:

ძმობას, ერთობას სიყვარულს

ტახტი დაუდგათ ქებული.

ძირს ჩამოვადგოთ ნიკოლოზ,

ჩვენს ზურგზე გასუქებული.

მუშათა კლასი დარწმუნდა იმაში, რომ არ კმაროდა ტახტიდან მხოლოდ მეფის ჩამოგდება, საჭირო იყო მისი ფესვების მთლიანად ამოძირკვა.

ძირს ჩამოვადგოთ ნიკოლოზ,

საქმე ვქნათ ღიდად ქებული.

მას გავაყლოთ ალექსი

ჩვენს ჯიბრზე დაბადებული.

(ნ. ნოღაიდელი, ხალხური რევოლუცი-



ური სიმღერები, „ლიტერატურული აპარატი“, 1958 წ. № 4, გვ. 86).

ეს სიმღერა სხვადასხვა ვარიანტით იყო გავრცელებული საქართველოში.

მშრომელი ხალხი რწმუნდება, რომ მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლა მოუტანს მას გამარჯვებას:

„მამ, ბრძოლა, ძმებო, გმირული,  
ბრძოლა მტრებთანა მედგარი.  
მუსრი მგლებს... მუსრი ქოფაკებს...  
ძირს მეფე, გაუმძლარი...“

ან კიდევ:  
ბრძოლა მტრებთანა მედგარი,  
ეს ჩვენი წმინდა ვალია.  
აწმყოს დაეცა თავზარი,  
ახლოს ჩანს მომავალია.

(ქ. გეგელია, მუშათა ფოლკლორი, მნათობი, 1956 წ., გვ. 164).

ამ ლექსით მთავრდება ბათუმის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ჯგუფის 1912 წლის 29 ივნისის პროკლამაცია.

„რევოლუციონერების სიმღერა“ (მთქმელთა გადმოცემით ასე ეწოდებოდა ერთ-ერთ ლექსს — ა. ა.) შეიქმნა რევოლუციის გარიჟრაჟზე, როცა ახლად ყალიბდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიები, და ახლად ეწაფებოდნენ მუშებმა პოლიტიკურ ცოდნას.

აი, ეს სიმღერაც:  
იქნება, რა იქნება,  
ნეტავი რა იქნება.  
იქნება, რა იქნება,  
მალა მუშა იქნება.  
იქნება, რა იქნება,  
კიდევ რაღა იქნება?  
ძველი ღრთი გაქრება  
და ახალი იქნება.  
იქნება, რა იქნება,  
ბოლოს რაღა იქნება?  
სამური ცხოვრება,  
კომუნისში იქნება.

(აჭარის სახ. მუზეუმი, ფონდი № 145, გვ. 146).

ბევრი ხალხური რევოლუციური ლექსი ვრცელდებოდა მასებში პროკლამაციის სახით.

მაშინდელი მძიმე ეკონომიური ყოფის პოლიტიკური უუფლებობისა და რევო-

ლუციური ბრძოლის სიმძაფრის გაქრობის ნატყვად, როგორც ამას მ. ჩიქოვანი ნიშნავს, ხალხური ლექსის ბევრი სახეობა გამოყენებული: სასიმღერო შაირი, პოლიტიკური ჰიმნი, მოკლე ლირიკული ლექსი, რევოლუციური მოწოდება წყობილსიტყვობად, ბროლაში დაღუპულთა დატირებანი, დატუსაღებულთა და გადასახლებულთა მოსაგონარი მცირე ეპიკური ლექსები, პატიმართა წერილები ლექსად, პოლიტიკურ ფირალთა და პარტიზანთა თავგადასავალი, ჯაშუშ-გამცემთა დახასიათებანი და სხვ. მუშათა ფოლკლორის წამყვანი ჟანრი ლექსი და სიმღერაა, რომელიც მუშათა კლასმა გამოიყენა თავისი ძალების დასარაზმავად და მის ერთ-ერთ ბასრ საბრძოლო იარაღად გაიხიდა.

ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრები ცნობილი იყვნენ თავისი ინტერნაციონალური ტრადიციებით. აქ პროლეტარიატად ყალიბდებოდა სულ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. ამ მხრივ ბათუმიც გამოირჩეოდა. ამიტომ აქაური მუშათა ფოლკლორი ხასიათდება ინტერნაციონალური სულისკვეთებით. აქ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ, ბერძნულ და სხვა ენებზე. მშრომელი მასები გმოხვენ ეროვნულ კარჩაკეტილობას;

ყველა ადამის შვილი ვართ,  
თათარიც ჩვენი ძმა არი,  
ჩვენსა და სომეხებს შუა  
გასაყოფელი რა არი.  
თუ ქალი გეტყვის დობასა,  
ის უკეთესი და არი.  
აგრეთი გქონდეს გუნება  
ვით მოწმენდილი ცა არი.

საპირველმანისო დემონსტრაციების წინა დღეებში მუშები მიდიოდნენ „თამარაზე“ და იქ სწავლობდნენ რუსულ, ქართულ და სხვა ენებზე შეთხზულ რევოლუციურ სიმღერებს. (ბათუმი, რევ. მუზეუმი, ფონდი № 5, ს. 67, გვ. 4).

1921 წელს ბათუმის ბერძენ კომუნისტთა სექციის მიერ გამოშვებული იქნა კრებული „რევოლუციური სიმღერები“.



ამ წიგნში შეტანილია ბათუმის მუშათა შორის სხვადასხვა ენაზე გავრცელებული სიმღერები. ბევრ მათგანს ბერძნულ ენაზე მღეროდნენ დემონსტრანტები.

ყურადღებას იპყრობს ერთი ეპიზოდი. ბათუმის მუშათა საპირველმართო დემონსტრაციიდან (იგი გაიმართა აქარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა დღეებში — ა. ა.). დემონსტრანტები რევოლუციური სიმღერით გაემართნენ ზღვისპირა ქუჩით. ამ დროს ზღვაში რეიდზე იდგნენ ინგლისის სამხედრო ხომალდები, რომელთა ზარბაზნების ლულები მიმართული იყო ქალაქისაკენ. ხომალდზე მყოფნი გაუოცება რევოლუციურად

აღტკინებულ მუშათა დემონსტრაციას (ბათუმი, რევ. მუშუმი, ფ. № 5, ს. 200-201, გვ. 72-73).

ცნობილია ის ფაქტი, რომ დემონსტრაციის მსვლელობის დროს სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ერთად მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს ქართულ, რუსულ, სომხურ, ბერძნულ და სხვა ენებზე. ეს კი ადასტურებს ბათუმის მუშათა კლასისა და მისი ზეპირსიტყვიერების ინტერნაციონალობას.

ბათუმის მუშათა კლასი თავის ფორმირება-განვითარებასთან ერთად ქმნიდა ზეპირსიტყვიერებას — მუშათა ფოლკორს და მას საბრძოლ იარაღად იყენებდა.





## პასო მახარაძე

### წარსულის ფურცლებიდან

ვინც აჭარის წარსულს იცნობს, ვისაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს კუთხე უნახავს, გულისტკივილით იგონებს ძველ დროს. მაშინ აჭარაში წერა-კითხვის მცოდნე იშვიათად მოიპოვებოდა. აქ ყოველ სოფელში შეხვდებოდით მეჩეთს, სადაც ხოჯა-მოლები მომავალ თაობას ასწავლიდნენ მუსლიმანურ საღვთო წიგნებსა და ლოცვებს. უწიგნურობა, სილატაკე და უმეცრება — აი, რა იყო აჭარელთა ხვედრი.

მაგრამ საბჭოთა წყობილებამ განაახლა აჭარა ხორციითა და სულით, აჭარელები დააწაფა სწავლა-განათლებას.

აჭარელმა ზურგი შეაქცია ყოველივე ძველსა და დრომოჭმულს, პირველ რიგში მეჩეთსა და ჩადრს, ბნელეთის ამ ნიშანსეცტს.

მალე, სულ მალე აჭარაში წამოიზარდნენ ახალი კადრები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის მწყობრში ჩადგნენ თავიანთი წვლილის შესატანად.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან აჭარაში დაარსდა ბეჭდვითი ორგანო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ამ კუთხეში კულტურის აღზევებაში.

მაშინდელმა საოლქო გაზეთმა „ფუხარამ“ აღზარდა მრავალი მუშა და გლეხი კორესპონდენტი. ამ გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდნენ და გონებას წაფავდნენ ლიტერატურაში ახლად მოვლენილი, ჯერ კიდევ უჩინარი კადრები, რომლებსაც გულწრფელად სურდათ კალმით გაეწიათ სამსახური სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი.

და მე მინდა რამდენიმე ეპიზოდი მოვიგონო აჭარის მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრებიდან.

1926 წელს სოფლიდან ბათუმში გადასვლით საცხოვრებლად. მუშაობა დაეწყო საოლქო გაზეთ „ფუხარას“ რედაქციაში რეპორტიორად. ჰაბუკი ვიყავი და საქმესაც ხალისით ვეკიდებოდი, დაუზარებლად ვასრულებდი დავალებებს, რედაქციაში მიმქონდა ცხელ-ცხელი ამბები, ვწერდი ინფორმაციებსა და რეპორტაჟებს. რეპორტიორობა ცოცხალი საქმეა და სახალისო იმ ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც ისწრაფვის კალმით ემსახუროს ხალხს. მეც ასეთი სურვილი მიტაცებდა, თუმცა არ კი ვიცოდი, გამოვიდოდა თუ არა ჩემგან ჟურნალისტი. ვცდილობდი ჩემი „ხურჩინი“ მუდამ სა-



ესე მქონოდა ახალი ამბებით, თუმცა ყოველთვის როდი გაგიღიმებს ბედი.

ერთხელ ბათუმს კინომასახიობთა ჯგუფი ეწვია; რომელსაც ხელმძღვანელობდა კოტე მარჯანიშვილი. მგონი იღებდნენ კინოფილმ „კრაზნას“. როცა გავიგე ეს, ინტერვიუსათვის სტუმრებს მივაღწე. პირადად კოტეს ნახვა მინდოდა. დილაადრიან მივაკითხე იმ სასტუმროს, სადაც ეს საპატიო სტუმარი მეგულეობდა. აღმინისტრატორთან წინასწარ გავიგე კოტეს ადგილსამყოფელი. მოხდა ისე, რომ დაუკავუნებლად შევაღე ოთახის კარი (რატომღაც არ იყო ჩაკეტილი). კოტეს ეძინა. როცა ფეხის ხმა ჩაესმა, თვალი გაახილა და გოცებით შემხედა. მე შეეცბი. ალბათ, უკვირდა კიდევ დაუბატიყებელი ახალგაზრდის სტუმრობა. აბა, კოტემ რა იცოდა, რომ მე რეპორტიორი ვიყავი... და ძალიანაც გატაცებული ჩემი პროფესიით.

— რა გნებავთ? — მკითხა მან.

თითქმის ბურანისაგან გამოძარცვია კოტეს მკვეთრმა ხმამ, და დარცხვენით ვუბასუხე: ცოტა რამ თქვენი ჩამოსვლის შესახებ.

— მერე და ამ დილაადრიან? მოგვიანებით შემოიარეთ!

ბოდიში მოვეუხადე და ფეხაკრეფით ოთახიდან გამოვედი. გზაში ჩემს თავს ვტუქსავდი, შეხვედრა ამ საპატიო სტუმართან უტაქტო გამოვივდა. მწარედ განვიცადე ეს შემთხვევა, მაგრამ ნათქვამია დაღვრილ წყალს ვედარ ახვეტავო...

ეს სხვათა შორის გავიხსენე.

გავიდა ხანი და კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში გადამიყვანეს სამუშაოდ, მაგრამ გაზეთ „ფუხარას“ რედაქციასთან კავშირი არ გამიწყვეტია. აქ გავიცანი ახალგაზრდები, რომლებიც მწერლობით იყვნენ დაინტერესებულნი. იმ ხანებში ბათუმში ჩამოვიდა ჩემი სიყრმის მეგობარი, „სპარტაკელი“ ევგრაფი იოსებისძე ჭიჭიშვილი. ისიც მწერლობით იყო გატაცებული. ერთხელ მან მითხრა, აჭარაში საკმაოდ შემოქმედი ძალები და სასურველია შეიმნას პროლეტარულ მწერალთა ასო-

ციაციაო. ცოტა ხნის დუმლის შემდეგ ეუბასუხე: მოვსინჯოთ და ენახოთ... გამოვა ამ საქმიდან-მეთქი.

მეორე დღეს ჰია უკვე მზად გვქონდა. აი ვინ შევიტანეთ სიაში: პარმენ ლორია (პ. ობოლი), პარმენ რურუა, (პ. ოდიშელი), ნესტორ მაღაზოხია (ნ. მანიძე), ნ. ქუთათელაძე, შ. ართილაყვა, ე. ჭიჭიშვილი და სხვები.

იმ ხანებში გაზეთ „ფუხარას“ რედაქტორი თომა სიხარულიძე თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ, ხოლო მის ადგილას დავით ღუმბაძე დანიშნეს. ჩვენი აზრი მასაც გავუზიარეთ. მოგვიწონა და გვირჩია, ამის შესახებ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს მოეღაპარაკეთო. ასეც მოვიქცეთ. მოიწონეს ჩვენი წინადადება და დახმარებაც აღვივტვეს.

1927 წლის დასაწყისში შედგა პირველი საორგანიზაციო კრება, რომელსაც ათზე მეტი მწერალი და ლიტერატორი დაესწრო.

კრებამ აირჩია ხელმძღვანელი ბიურო. მერე კი ამის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება.

განყოფილებას ერთხანს გრ. ნუცუბიძე ხელმძღვანელობდა, მდივანი ე. ჭიჭიშვილი იყო. ამ ორგანიზაციას დ. ღუმბაძე სათავეში რომ ჩაუდგა, პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას ამ სტრუქტურის ავტორი ასრულებდა.

პირველ ხანებში ჩვენი მუშაობა მიმართული იყო ახლადშობილი ორგანიზაციის განმტკიცებისაკენ. უპირველეს ყოვლისა სათანადო ყურადღება მიექცა ჩვენი ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას. ამ მიზნით კვირაში ერთხელ ეწყობოდა ასოციაციის ღია სხდომები, სადაც ვიხილავდით ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს, ვკითხულობდით საკუთარ ნაწარმოებებს, ვაწყობდით დისპუტებს და სხვ.

ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდნენ ქართული პროლეტარული მწერლები: ალ-იო მირცხულავა, კარლო კალაძე, კონს-



ტანტინე ლორთქიფანიძე, სანდრო ეუ-  
ლი, და სხვ. მათთან ერთად ვაწყობდით  
ლიტერატურულ შეხვედრა-საღამოებს.

ჯერ გაზეთ „ფუნარას“, ხოლო შემდეგ  
„საბჭოთა აჭარისტანის“ ფურცლებზე  
გამოჩნდნენ აჭარაში მომუშავე პოეტე-  
ბისა და მწერლების პირველი ლექსები  
და მოთხრობები. გაზეთის ფურცლებზე  
ხშირად იბეჭდებოდა პ. ლორიას, პ. რუ-  
რუსა, ნ. მაღაზონიას, გ. შავიშვილის, თ.  
ლეყავას და სხვათა ნაწარმოებები.

1927 წელს გამოვიდა ჩემი პირველი  
წიგნი „იოლდაში“.

იმასვე წელს შედგა საქართველოს პრო-  
ლეტარულ მწერალთა ასოციაციის მეო-  
რე ყრილობა.

ყრილობის დღეეგათად აჭარიდან მე  
ვიყავი წარგზავნილი.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა  
საქართველოს კომპარტიის ცენტრალუ-  
რი კომიტეტის მდივანი. მოხსენების გა-  
რშემო გაიმართა ცხარე კამათი. მეც გა-  
მოვედი სიტყვით. ვილაპარაკე აჭარის  
მღელვარე ახალ ცხოვრებაზე, ჩვენს ორ-  
განიზაციებზე, იმაზე, თუ რას ვაკეთებ-  
დით და მომავალში რას ვპირდებოდით  
ჩვენს მკითხველებს.

ჩემი სიტყვა დაბეჭდა გაზეთმა „კო-  
მუნისტმა“.

1928 წელს ქ. ბათუმში გამოვიდა კრე-  
ბული „სანაპირო“, რომელშიც დაიბეჭდა  
პარმენ ოდიშელის (რურუსა), პარმენ  
ობოლის (ლორიას), შალვა ართილაყვას,  
ჩემი და სხვათა ნაწარმოებები.

კრებულში მოთავსებული ზოგიერთი  
ნაწარმოები მკითხველთა მოწონებას იმ-  
სახურებდა. ჩვენი ნაწარმოებები დღე-  
ვანდობის ანარეკლი იყო. განსაკუთ-  
რებული მოწონება ხვდა წილად შალვა  
ართილაყვას ლექსს „მოპირდაპირეს“ და  
პარმენ ოდიშელის (რურუსა) ლექსს „ბა-  
თუმთან ომფარეთამდე“ და სხ.

მერე გამოიცა კრებული „სიტყვა ტრი-

ბუნიდან“. კრებულში დაიბეჭდა პ. ოდი-  
შელის, ნ. მაღაზონიას, გრ. შავიშვილის,  
თ. ლეყავას, ხ. იმედშვილის, ხ. კიმახი-  
ძის, შ. ართილაყვას, გ. გრიგორიანის,  
ზ. ქეჭმაძის, ს. ჯორბენაძის, ლ. შარაში-  
ძის, ბ. თავდუმაძის, თ. ჩახვაძის, ალ.  
მგელაძის, პ. ლორიას, ვ. მახარაძის, ნ.  
ქუთათელაძის, ირ. ფერაძის, ი. ნუცუ-  
ბიძის, ჯ. ჭანჭათელის, გრ. შარაშიძის  
ნაწარმოებები. (იმ წელს მე უკვე ბათუ-  
მში აღარ ვიმყოფებოდი). ამ კრებულში  
წარმოდგენილი ყველა ნაწარმოები მხატ-  
ვრულად სრულყოფილი როდია, მაგრამ  
არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ახალ-  
გაზრდა კალმოსნები ახლად ისხამდნენ  
ფრთებს და ოსტატობა აკლდათ.


კრებულმა „სიტყვა ტრიბუნიდან“ არა  
მარტო შეაქაფშირა ახალგაზრდა მწერ-  
ლები ორგანიზაციულად, არამედ შე-  
მოქმედებითი სტიმულიც მისცა მათ.  
ამიტომაც ამ კრებულს თუნდ ბევრი ნა-  
კლი ჰქონოდა, მაინც დადებით მოვლენად  
ჩაითვლებოდა აჭარის ლიტერატურულ  
ცხოვრებაში.

რა შეიძლება ითქვას მომდევნო წლე-  
ბზე?

ჩვენ იმავეითვე ვიცოდით, რომ ყვე-  
ლა, ვინც ასოციაციაში იყო გაერთი-  
ნებული, მწერლობას ვერ შერჩებოდა და  
ეს ბუნებრივიც იყო. აჭარის მწერალთა  
ორგანიზაციას ბევრი გამააკლდა და  
ბევრიც შეემატა. საბოლოოდ შერჩა ის,  
ვინც მწერლობისათვის იყო დაბადებუ-  
ლი.

მოგონების და დაფასების ღირსია,  
ვინც პირველ კვალი გაავლო ყამირზე.  
მერე და მერე მოვიდნენ საბ-  
ჭოთა სკოლებსა და ინსტიტუტებში აღ-  
ზრდილი ახალი კადრები, რომელთაც  
ღირსეული წვლილი შეიტანეს და შე-  
აქვთ კიდევ ქართული ლიტერატურის  
განვითარებაში.

წარმატებას ვუსურვებ მათ!





## ქურნალ „ლიტერატურული აპარის“ 1967 წლის ნომრების შინაარსი

**წინ ახალი ამოცანებია, № 3.**

**თხილამუგელი. ა.** — ოქტომბრით აღო-  
რძინებული, № 4.

**კომახიძე რ.** — დიდი ოქტომბრის  
დროშით, № 6.

### ლექსები

**ხალვაში ფ.** — ხმა, ღიმილი. ეს დღე-  
ვანდელი ხმები კურნავდეს!, ხილი ჭორო-  
ხზე, № 1; შენით ცოცხალი, \*\*\* (დღე-  
ვანდელი დღის მზიურ სახელით), \*\*\*  
(რაც უნდა ვიდგეთ), \*\*\* (შენ თეთრი  
კაბით), \*\*\* (წავალ, მოვივლი), იალაღე-  
ბის ბალახი, № 5; იმედით ღამაში, № 6.

**მელაი ი.** — საღ ზარტ ნეტავი, ღამე  
წისკვილში, № 1; ბაზრობა აბაშაში, № 4,  
ამირანი, № 6.

**ქათამაძე ჯ.** — ზღვის სიყვარული,  
№ 1; ბაღდადის ზეცა, ბაბუაჩემი, პოე-  
ტის გული, ნუ გეშინია, № 3; მშვიდობის  
დილა, № 6.

**ჯაყელი ჯ.** — კახაბრის ველი, დავდი-  
ვარ რწმენით და მოლოდინით, მიწიდან  
ამორბის ია, № 1; გემი „როსია“, გზას  
გაუმარჯოს თბილსა და ცისფერს, № 3;  
ღენინი, № 6.

**გორგანელი ვ.** — შენ „დედა-ენას“  
უკითხავდი, ქარი და ალუბლის ტოტი,  
№ 1.

**ანანიძე შ.** — ამდენ ფიქრს და ამდენ  
განცდას, № 1.

**გვარიშვილი ნ.** — მრავალ გაზა-  
ფხულს, \*\*\* (გაზაფხულმა დარდი  
იცის). თეთრი, თეთრი თოლიები, \*\*\*  
(მიწას სცოდნია ტკივილი თურმე), \*\*\*  
(მე ფაღიშაპის ხათუნს გაგონებ?), \*\*\*  
(მწუხრის უამს ფიქრი), წვიმებო ჩემო  
წვიმებო!, \*\*\* (ყველა დარდი მე),

\*\*\* (აპრილმა მუხლზე დაისვა ია),  
№ 2; დიდება ოქტომბერს, ხომ ღამა-  
ზია!, ქარი... ქარი..., ააფრინე ალალი,  
გოგო, გოგო!.. ყვითელი ფოთოლი, № 4;  
აწვესი — ოქტომბრის პირველი ძეგვლე,  
№ 6.

**მაღაზონია ნ.** — ჩემი სოფლის სიყვა-  
რული, № 2; დედა, საქართველო, სიყვა-  
რულის რამაშა, № 5; ოქტომბრის ღი-  
ლა, № 6.

**ვარშანიძე მ.** — მე გიგონებთ..., \*\*\*  
(სულ ამ მშვენიერებას თუ დავეშვებ),  
\*\*\* (ჩემო კერიაზე, მოვალ, გამათბე),  
\*\*\* (ჩემი აჭარა არა მსურს გიქო). შე-  
ნი ღუმილი..., № 2; სულ პატარა მამე-  
ლი მაქვს., რობერტ ბერნსი. ჩემი გზა  
ცისკარს მიაგავს..., ჩემი მამა, მინაწერი  
ღაღო ასათიანის წიგნზე, № 4.

**უშვერიძე ი.** — როცა დაცვივა ვა-  
ზებს ცრემლები..., \*\*\* (რა სანახავი  
არის ამ დილით), წერილი მეგობარს,  
№ 2.

**გორგილაძე ზ.** — ბავშვი დაბიდან,  
\*\*\* (ასე დამთავრდა ეს სინორჩე), ყვა-  
ვილი თოვლზე, № 3; დროშები, № 6.

**ართილაყვა რ.** — ზღვაო, მიყვარხარ,  
\*\*\* (სამყარო ხომ ვრცელია...) № 3.

**ხალუქაძე გ.** — ძველი სახლი, \*\*\*  
(ახლა, როდესაც...), ხელვაჩაური, ზღვა  
სარფთან, \*\*\* (კოროხი...), \*\*\* შხა-  
პუნას როკვას რა დააოკებს), \*\*\* (რო-  
ცა სითვთრეს სიმწვანე წაშლის), \*\*\*  
(მზე დასავლეთით გადახრილია), სამყუ-  
რა, \*\*\* (მესმის ნიაღვრის ბღავილი), № 4;

**ზოიძე შ.** — მე შემოდოა, № 4.

**გურგენიძე ა.** — ახალგაზრდობა, № 4.  
მე ფიქრადგმული მიწა ვარ, ცხრა მთას  
იქით, № 6.



**სალუქვაძე გ.** — უშენოდ ბათუმში, \*\*\* (აწერილად ტელეფონის ზარი), \*\*\* (ქარს მოეწყინა...), სადღეგრძელო, \*\*\* (ველარ ვიკარებ შენს ნაყიდ ხალათს), № 5.

**გურგენიძე მ.** — ჩემი ჩანჩქერი, № 5.

**ტაბიძე გ.** — წინ, წინ სამშობლო მხარე, № 6.

**მუავია ქს.** — ორმოცდათი წლისა ხარ!, № 6.

**როყვა შ.** — ოქტომბრის დილა... მამის ღიმილი..., № 6.

**ხეიღიშვილი ლ.** — სამსხვერპლოდ შენდა..., № 6.

### თარგმნილი ლექსები

**ევბუშენკო ევა-** — \*\*\* (არ მსურს ზიარი აღარაფერი!), იუმორი (თარგმნა გ. სალუქვაძემ), № 1.

**ტარასოვა მ.** — „ქარს გავატანე“. \*\*\* (ვზივარ ცარიელ დიდ სახლში ისევ), \*\*\* (მე გავიზარდე მეგობრის ხელით), № 2.

**...ესესინი ს.** — \*\*\* (თუმცა წყურვილი...), ძროხა, (თარგმნა გ. სალუქვაძემ), № 3.

### მოთხრობები, ნოველები, მინიატურები, პიესები

**ძირკვაძე ნ.** — მამის ღიმილი, № 1.

**როყვა შ.** — ყველას გული დაგვწყდა, № 1; მამულს ვუთხრათ გამარჯვება, № 5.

**ლორია პ.** — გზა ფანდურით გაკვლეული, № 1; ნაპერწკლიდან ავარდნილი ალი, № 3; ამბავი უბრალო აღამიანებისა, № 6.

**ჭუთათელაძე გ.** — წვიმიანი ღლე, № 2.

**ხოფერიძე ჯ.** — ბიჭი და მტრედი, № 2; ნაცრისფერი ფანტელები, № 5.

**ჩხაიძე ნ.** — საყვალა, № 2.

**მოდებაძე ნ.** — დაბრუნება, № 3; საქანელა, № 5.

**კეკელიძე გ.** — ოცდათი წლის შემდეგ, № 3.

**გორგილაძე მ.** — მოწმენდილი ცა, № 4.

**რომანაძე შ.** — სიცოცხლის წყურვილი, № 4.

**ჩხაიძე ა.** — ზღვა და ოთხი ქალიშვილი, № 4.

### თარგმნილი მოთხრობები

**ფან ტი** — ძმები (თარგმნა ირ. ქებაძემ), № 1.

**ტელუგოვი ვ.** — ნობათი (თარგმნა ტ. ხინთიბიძემ), № 2.

**ტურგენევი ი.** — ზღრუბლი, (თარგმნა ლ. ჩიქოვანმა), № 2.

**ახალგვინეური თქმულება** — ლეგენდა დედაზე (თარგმნა ქ. ჩავლიშვილმა), № 3.

**იაკოვლევი ი.** — მიწის გული (თარგმნა ტ. ხინთიბიძემ), № 4.

**უისტი ჯ.** — ჩენსილში (თარგმნა გ. მაჭუტაძემ), № 5.

**ჟუკროვსკი ვ.** — შეხვედრა გზაში (თარგმნა ტ. ხინთიბიძემ), № 6.

### დღეები და აღამიანები

**გორგილაძე მ.** — პროპაგანდისტი — ენთუზიასტი, № 1.

**ცერცვაძე ი.** — გმირთა ხსოვნა უკვდავია, № 3.

**გორგაძე რ.** — დღეს სოფელ ოქტომბერში, № 4.

**მოდებაძე ნ.** — კაი კაცი, № 4.

**ლორია პ.** — აყვავებული მდელო, აყვავებული მთები! № 5.

**კობალაძე დ.** — მარად სანუკვარი, № 5.

**ვარშანიძე მ.** — გულს ვარსკვლავები ეჯახებიან, № 6.

### პრიტიკა და კუპლიცისტიკა

**დუმბაძე ნ.** — ქართველი სიმბოლისტები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, № 1.

**მებაუჯე გ.** — დემონი — ღიმიტრი ქავთარაძე, № 1.

**ჭურბიძე შ.** — ოქტომბრის იდეებით შთაგონებული, № 2; მხატვრული ლიტერატურა აჭარაში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავზე, № 3.

**ჯორბენაძე პ.** — რომანის კრიზისის პრობლემა და მოდერნისტული მითი, № 2.

**ართილაყვა ა.** — ერთნაირია თუ არა



ტარიელისა და ავთანდილის ხასიათი? № 2.

**ვადაკორია ს.** — ლექსის კითხვის ზოგიერთი საკითხი, № 2.

**ცივაძე ჯ.** — ვაჭრობის ეკონომიური ეფექტურობის ამალების ზოგიერთი საკითხი, № 2.

**ლევინა ი.** — სინამდვილის რომანტიკის მისაღმომებზე, № 3.

**მშვიდლობაძე მ.** — სულიერი ნათესაობა, № 3.

**ნაცვლიშვილი პ.** — სოციალისტური გარდაქმნების ასახვა აჭარის ლიტერატურაში, № 4.

**ჩხაიძე ს.** — გიორგი მცირის „გოდება გიორგი მთაწმინდელისა“, № 4.

**შერვაშიძე ა.** — დრამატიკული და ჩვენი ქვეყანა, რუსეთის რევოლუციის სარკე, № 6.

**მშვიდლობაძე მ.** — ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი თანამედროვენი, № 5.

**სალუქვაძე გ.** — რუსთაველის კიდევ ერთი მაჯამის გამო, № 5.  
ნანი 23 ნომებერი ჟურნალი გ. 3 ჰყვ თბ

### სამოთხელო და გამარჯვება

**ბეჟანიძე ხ.** — მშობლიური მიწის მისაღმომებთან, № 6.

**ცერცვაძე ი.** — გმირთა ნაკვალევზე, № 6.

### ზოლკლორი

**გაბისონია გ.** — ჭიბონი, № 2.

**ახვლედიანი ა.** — რევოლუციური ბრძოლებში შობილი, № 6.

### ხელოვნება

**კიკნაძე ვ.** — გამოჩენილი ქართველი მსახიობი, № 1.

**ლონტი ზ.** — გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორი, № 2.

**შარაშიძე ლ.** — სახვითი ხელოვნება აჭარაში, № 5.

**მსხალაძე ა.** — ბათუმის ოპერის თეატრი, № 6.

### აჭარის წარსულიდან

**სურგულაძე ა.** — ბათუმში რუს ხალხოსანთა მოღვაწეობის ისტორიიდან, № 1; აჭარა ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლაში, № 3; საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში, № 6.

**სურმანიძე რ.** — სამი „აჭარა“ საქართველოში, № 1; ისინი იბრძოდნენ ოქტომბრისათვის, № 6.

**ცეკიტარია პ.** — აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ისტორიიდან, № 2.

**თურმანიძე ო.** — ჩაის სამრეწველო წარმოების პიონერი, № 2.

**დავითაძე ა.** — აბდულ მიქელაძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობიდან, № 3.

**ინწიკიშვილი ნ.** — ქარხნის დაბადება, № 4.

**ახვლედიანი ხ.** — ბრძოლა და გამარჯვება, № 6.

### წიგნის თარო

**საბაშვილი ნ.** — „ილია ჭავჭავაძის ენა“, № 1.

**ქურიძე შ.** — ივანე გომართელის თხზულებათა გამოცემის გამო, № 4.

**ვარშანიძე მ.** — აჭარა და მემედ აბაშიძე, № 5.

### საზღვარგარეთ

**ანა ფილიპი** — ამონაყენის (ფრანგულიდან თარგმნა ი. არეშიძემ), № 1.

**ჩხაიძე ნ.** — გადაუფურცლავი წიგნი, № 5.

### მოგონება

**მებუჯე გ.** — ზოგიერთი ცნობა გალუკტიონზე, № 5.

**მახარაძე ვ.** წარსულის ფურცლებიდან, № 6.

### სატირა და იუმორი

**გეგენავა ა.** — ძველი ისტორია, № 1.

**ქათამაძე თ.** — უიღბლო მელა, № 2.





661/11



ფან 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

*„ლიტერატურული აჭარა“*

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76118